www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 26 ნოემბერი, 2004 წელი. №281 (830)

ფასი 50 თეთრი

ამბები

„ნუ იტყვით, საქართველოში ლაზები ჩამოვიდნენო...”



"ოღონდაც, ერთს გთხოვთ - ნუ იტყვით, საქართველოში ლაზები ჩამოვიდნენო. თქვით, რომ ქართველები მოვედით ჩვენს მიწაზე. იქ ჩვენ ლაზებს გვეძახიან, აქ კი ქართველები ვართ."

A2

უცხოეთი

დაძაბული მოლოდინი



უკრაინელმა ხალხმა გააკეთა თავისი არჩევანი სტაბილურობის, სახელმწიფოებრიობის გაძლიერების, დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების სასარგებლოდ.

A5

სამართალი

შარაძის გახსენება



მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურორის პაატა ტყეშელაშვილის განცხადებით, ეროვნულ ბიბლიოთეკაში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით შარაძე წვრილმან ხულიგნობაში იქნა დადანაშაულებული.

A7

# "მერხების რევოლუცია"



კახა ლომაია მიიჩნევს, რომ ოპონენტთა არგუმენტები უსუსურია.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

გიორგი ასანიშვილი

*"უმაღლესი განათლების შესახებ" კანონპროექტმა საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, მაგრამ პარლამენტში პირველი მოსმენით მისმა განხილვამ გუშინ უჩვეულოდ მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. დოკუმენტმა, რომელიც დეპუტატებს განათლების მინისტრმა კახა ლომაიამ წარუდგინა, საპარლამენტო უმრავლესობის მოწონება დაიმსახურა. მეტიც: კანონპროექტს ოპოზიციონერი რესპუბლიკელებიც უჭერენ მხარს.*

ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონპროექტს აკრიტიკებს, "მემარჯვენე ოპოზიციაა". მისი წარმომადგენლები წინააღმდეგი არიან, რომ სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს სტუდენტების ინდივიდუალური დაფინანსება; აგრეთვე მიაჩნიათ, რომ უმაღლესი სასწავლებლების ავტონომია ფიქციაა და რეალურ საფუძველს არ ემყარება. თუმცა, კანონპროექტის მიმართ "მემარჯვენეების" დამოკიდებულება თითქმის არაფერს წყვეტს - საკანონმდებლო ორგანო დოკუმენტს პირველი მოსმენით დღეს უპრობლემოდ მიიღებს.

**"ფსევდოპატრიოტული მისტერიების დრო წავიდა. პლაკატების გამოკვრითა და ქვენა გრძნობების გაღვივებით ვერაფერს მიაღწევთ. თქვენი არგუმენტები საპნის ბუშტივით გასკდა,"** - ნიშნის მოგებით მიმართავს გიგა ბოკერია "მემარჯვენეებს".

გაგრძელება A2 გვერდზე

# იმერეთის რწმუნებულის ორი თვე

ბექა სისაური
ქუთაისიდან

თითქმის ორი თვე მიიწურა, რაც იმერეთს ახალი რწმუნებული გია გეწაძე ჰყავს.

ამ ხნის განმავლობაში მისი საქმიანობის შესახებ იმერეთში ბევრი არაფერი უწყიან. კითხვაზე, თუ როგორ აფასებს რწმუნებულის საქმიანობას, მოსახლეობის უმეტესობა, ძირითადად, მხრების აჩეჩვით პასუხობს. რწმუნებულის საქმიანობის დადებითად შემფასებელთა რაოდენობა ზამთრის დადგომასთან ერთად სულ უფრო კლებულობს. აღნიშნული მოსაზრების ჩამოყალიბებაში კი უმეტესი წვლილი თავად რწმუნებულს მიუძღვის, რომელიც პრესისა და საზოგადოების მიმართ გაცილებით მეტად კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა, ვიდრე მისი წინამორბედები. შექმნილმა ტენდეციამ ქუთაისის მერიაზეც გადაინაცვლა, ამ ეტაპზე ხმები ქუთაისის მერიიდან და სამხარეო ადმინისტრაციიდან, ძირითადად, ჭორების სახით ვრცელდება, თანაც ადგილობრივი თვითმმართველობისათვის არცთუ სახარბიელო შინაარსით. არადა ქუთაისი საპირისპიროს იყო ნაჩვევი. მაგალითად, თემურ შაშიაშვილი ბრიფინგებს ხანდახან დღეში ორჯერაც მართავდა. დათო მუმლაძისთვის კი პრესკონფერენციების ჩასატარებლად განსაზღვრული ადგილი არ არსებობდა, პრესასთან შეხვედრებს იგი მართავდა ყველგან, მათ შორის - ნაგავსაყრელებზეც... "24 საათი" შეეცადა, გაერკვია, რწუნებულად დანიშვნიდან ორი თვის თავზე რის გაკეთება შეძლო გია გეწაძემ და რას აპირებს მომავალში.

**"პრეზიდენტის გადაწყვეტილება ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო. რწუნებულად დანიშვნას საერთოდ ვერ წარმოვიდგენდი. პრეზიდენტმა მიიჩნია, რომ იმერეთში შემეძლო რაღაც-რაღაცები უკეთესობისკენ შემეცვალა. მას შემდეგ, რაც ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული, მთელ ჩემს რესურსებს რეგიონში ვითარების გამოსწორებას მოვახმარ. პრეზიდენტს სურს, ისეთივე განვითარებული რეგიონული ცენტრები ჰქონდეს, როგორიც დედაქალაქია,"** - ამბობს გია გეწაძე.

იმერეთის მოსახლეობას კი ახალი რწმუნებულის დანიშვნამ რამდენიმე პრობლემური საკითხის მოგვარების მიმართ იმედები ჩაუსახა. პირველი, რასაც რწმუნებულისგან მოსახლეობა ელოდება, გამწვავებული კრიმინოგენური ვითარების გამოსწორებაა. მიუხედავად იმისა, რომ იმერეთი კარგა ხანია, რაც "კანონიერი ქურდებისგან" გათავისუფლდა, აღნიშნულის გამო კრიმინოგენური მდგომარება სულაც არ შემსუბუქებულა. რახან გია გეწაძე მანამდე შს მინისტრის მოადგილე გახლდათ, ქუთაისელები იმედოვნებდნენ, რომ იგი პირველ რიგში კრიმინალებისა და კორუმპირებულების მიმართ იქნებოდა დაუნდობელი. იმერეთში ხმაურიან სპეცოპერაციებსაც ელოდნენ, თუმცა, თვენახევრის განმავლობაში მსგავსი არაფერი განხორციელებულა. უფრო მეტიც, გეწაძის ქუთაისში

გაგრძელება A2 გვერდზე

# აფხაზეთის კონსტიტუცია ძირეულად შეიცვალა

## ავტონომიის უმაღლესი ორგანო აღმასრულებელი ხელისუფლება გახდა

ვერიკო თევზაძე

*გუშინ აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ კონსტიტუციური ცვლილებები მიიღო. ახალი კანონის თანახმად, აღმასრულებელი ხელისუფლება მთავრობად იწოდება და იგი ავტონომიის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა. მთავრობის თავმჯდომარე კი უმაღლესი თანამდებობის პირს წარმოადგენს. მთავრობა გუნდური პრინციპით მტკიცდება.*

კენჭისყრის დასრულების შემდეგ, აფხაზეთის უმღლესი საბჭოს დეპუტატებს დიდხანს არ დაუტოვებიათ დარბაზი, სადაც სესია მიმდინარეობდა. დახურული კარიდან ისმოდა ხმამაღალი შელაპარაკებები, ზოგჯერ - ყვირილიც. როგორც დარბაზიდან დროდადრო გამოსული დეპუტატები გვიხსნიდნენ, **"ეს იყო ჩვეულებრივი კამათი,"** ისინი **"ყველაფერზე შეთანხმდნენ."**

ჟურნალისტებთან ოფიციალურ კომენტარებში კი ცვლილებები ყველამ, დაწყებული ირაკლი ალასანიათი, უმაღლესი საბჭოს რიგითი დეპუტატით დამთავრებული, დადებითად შეაფასა.

ვახტანგ ყოლბაიამ განაცხადა, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ფუნქცია მნიშვნელოვნად შესუსტდა. **"აფხაზეთის უმაღლესი საბჭო წარმოადგენს არასრულფასოვან პოლიტიკურ ინსტიტუტს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ საჯილდაო ქვა იქნება მოლაპარაკებების პროცესებში."** ყოლბაია უმაღლესი საბჭოს გაუქმების წინადადებას აყენებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# უკრაინამ პუტინის სრული კრახი აჩვენა

## ინტერვიუ რუსეთის ნაციონალური სტრატეგიის ინსტიტუტის პრეზიდენტ სტანისლავ ბელკოვსკისთან

რუსუდან ნიკურაძე
საკ.კორ.მოსკოვში

**- თქვენ გუშინ დაბრუნდით კიევიდან, როგორი სიტუაცია დატოვეთ?**

- ის, რაც კიევში ხდება, რასაკვირველია, რევოლუციაა. მასობრივ აქციებში იანუკოვიჩის 400 ათასი მოწინააღმდეგე მონაწილეობს. უკრაინის მოქმედ ხელისუფლებას კი არ აქვს ძალისმიერი რესურსი მომიტინგეთა დასარბევად. უკრაინის უშიშროების სამსახური იუშენკოს უცხადებს ნდობას, შსს და გენპროკურატურა კი მთლიანად იანუკოვიჩის მხარესაა. კიევის მერი კი იუშენკოს უჭერს მხარს. სიტუაცია რთულია: გადამოწმებული ინფორმაციით, უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობასთან ბანკის ქუჩაზე იმყოფებიან რუსეთის სპეციალური დანიშნულების რაზმები, რომლებმაც უკვე მიიღეს ბრძანება, ვითარების გამწვავების შემთხვევაში, ცეცხლის გახსნის შესახებ. თუ რუსეთის მოქალაქეების მონაწილეობა უკრაინული რევოლუციის ძალით ჩახშობაში დამტკიცებული იქნება, ეს მიგვიყვანს კიევში და უკრაინის ორ მესამედ ტერიტორიაზე ანტირუსული განწყობილებების აგორებამდე, რაც რუსეთ-უკრაინის ურთიერთობების პრესპექტივისათვის საშიში სიმპტომია.

გაგრძელება A3 გვერდზე

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

ამინდი

| | 26/11 | 27/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 9 | 6 |
| ქუთაისი | 14 | 8 |
| ბათუმი | 13 | 8 |
| სოხუმი | 6 | 4 |
| ფოთი | 14 | 9 |
| თელავი | 8 | 3 |
| ზუგდიდი | 13 | 8 |
| გორი | 7 | 1 |
| ახმეტა | 8 | 4 |
| ჭიათურა | 10 | 5 |

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7800 |
| ევრო | 2.3380 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3373 |
| რუბლი | 0.0626 |




A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ავტომობილი | B7 კვირის TV პროგრამა | B8 სხვადასხვა

# იმერეთის რწმუნებულის ორი თვე

პირველი გვერდიდან

ჩამოსვლას კრიმინალური მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესება დაემთხვა. ამ პერიოდში დააყაჩაღეს ქალაქში ცნობილი ექიმი მამუკა მაჩიტიძე, გაქურდეს ინტელიგენციის რამდენიმე წარმომადგენელი და უშიშროების ერთ-ერთი მაღალჩინოსანი. განსაკუთრებით იმატა წვრილმანმა ქურდობებმა. გეწაძის მხრიდან კი აღნიშნულ ფაქტებზე საჯარო რეაგირებაც კი არავის სმენია. რწმუნებული გართულებულ კრიმინოგენურ ვითარებასთან საბრძოლველად საპატრულო პოლიციის შემოღებას ელის. **"თუ შევადარებთ იმას, რა ხდებოდა შარშან იმერეთსა და ქუთაისში, მდგომარეობა გაუმჯობესებულია. რაც შეეხება შს სამინისტროს მუშაობას, მგონია, რომ ისინი ძალიან კარგად მუშაობენ. 25 დეკემბრიდან კი ქუთაისში საპატრულო პოლიცია გამოჩნდება. ქალაქში 24 საათის განმავლობაში 15 საპატრულო ავტომობილი იმოძრავებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ქუთაისში ბევრად გაუმჯობესებულ ვითარებას მივაღწევთ,"** - აცხადებს გია გეწაძე

მეორე იმედი, რაც მოსახლეობის მხრიდან გია გეწაძის დანიშვნას უკავშირდებოდა, სახელმწიფო სამსახურში მყოფი საეჭვო და კორუმპირებული რეპუტაციის ადამიანების მიმართ საკადრო ცვლილებების გატარება გახლდათ. ახალ რწმუნებულს ქუთაისის მერიისა და სამხარეო აპარატის სტრუქტურებში მნიშვნელოვან საკადრო ცვლილებებისათვის არ მიუმართავს. აღნიშნული სამსახურის თანამშრომლები, ჯერ კიდევ მუმლაძის რწმუნებულობის დროს, თითქმის სრული შემადგენლობით გადახალისდნენ და კონკურსის წესით შეირჩნენ. **"მხარის მასშტაბით, ცალკეული საკადრო ცვლილებები განხორციელდა. მაგალითად, ხარაგაულში, თერჯოლასა და სამტრედიაში გამგებლები შეიცვალა. რაც შეეხება ჩემს მოადგილეებს, მე მათთან ერთად ვმუშაობ. პრინციპი მაქვს ასეთი - მისვლისთანავე ადამიანებისათვის უნდობლობის გამოცხადება არ მახასიათებს. თუკი შეუძლიათ საკუთარი ფუნქციების განხორციელება და ტემპშიც აგვყვებიან, იმუშავებენ, დანარჩენებს კი სახლში წასვლა მოუწევთ, მათ ვადა ახალ წლამდე აქვთ. რაც შეეხება ქუთაისის მერიას, ჩემი აზრით, მას გაძლიერება სჭირდება, ისევე, როგორც სხვა რიონის გამგეობებს. ამავე დროს რწმუნებული არ უნდა ერეოდეს ისეთ საკითხებში, რაც უშუალოდ მერის ან ადგილობრივი საკრებულოს გადასაწყვეტია. რაც შეხება ქუთაისის მერის არჩევნებს, ამის შესახებ ვესაუბრე ცენტრალურ ხელისუფლებას. იმედი მაქვს, რომ არჩევნები მალე დაინიშნება,"** - განმარტავს რწმუნებული.

მხარის მოსახლოება ახალ რწუნებულს იმერეთში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნასაც სთხოვს. მნიშვნელოვანი შედეგები, ჯერჯერობით, არც ამ კუთხით იგრძნობა. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ქუთაისელები გეწაძეს აღნიშნული კუთხით, ყველაზე ნაკლებად უყენებენ პრეტენზიებს, რადგანაც კარგად უწყიან, რომ წლების განმავლობაში "კანონიერი ქურდებისა" და კორუმპირებული ჩინოვნიკების მიერ გაფუჭებულ ბიზნეს-გარემოს, თვენახევარში ვერავინ გამოასწორებდა.

**"ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი ინფრასტრუქტურა, რომ ინვესტორს საკუთარი ბიზნესის დაცვის გარანტიები შეექმნას. ეს ნიშნავს გზის მოწესრიგებას, გარე განათებას, საპატრულო პოლიციას და ისეთ ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელიც ორიენტირებულია ბიზნესის ხელშეწყობაზე და არა წილებში ჩაჯდომაზე. აღნიშნული პირობების შექმნის შემდეგ, ვფიქრობ, რომ ქუთაისში დიდი ინვესტიციები წამოვა,"** -აცხადებს რწუნებული.

გია გეწაძისადმი მოსახლეობის დამოკიდებულებას, ზამთრის დადგომასთან ერთად, უმეტესად დენისა და წყლის საკითხის მოგვარება განსაზღრავს. მთავრობის მიერ შეპირებული გრაფიკი ქუთაისში უკვე გადაავიწყდათ, მოსახლეობას დენი დღეში საშუალოდ 4-5 საათით მიწოდება, წყალი კი ხანდახან 5-6 დღის განმავლობაში საერთოდ არ მოდის. რწმუნებული აცხადებს, რომ პრობლემის მოსაგვარებელი გეგმა აქვს. **"თუკი დეკემბერში იმერეთისათვის, პიკის საათში, 120 მეგავატი დამტკიცდება, ეს ნიშნავს რომ ქუთაისს 24 საათის მანძილზე მიეწოდება შუქი. რაც შეეხება რაონულ ცენტრებს, იქ შუქი შედარებით კარგად იქნება, სოფლებს კი 8 საათიან გრაფიკს შევთავაზებთ. ეს, ჩემი აზრით, რეალურია, მაგრამ ამასთან დაკავშირებით რეკომენდაციის მიცემისა და ხანდახან ჩხუბის გარდა, არაფერი შემიძლია. ენერგოსისტემა ისეა აწყობილი, რომ ხშირ შემთხვევაში პასუხისმგებელ ადამიანსაც ვერ ნახავ,"** – ჩივის რწმუნებული.

ზემოთ აღნიშნულ პრობლემებთან ერთად, გეწაძის შესახებ ქუთაისში ჭორებიც ვრცელდება.

ქუთაისელებმა უკვე კარგად უწყიან რწუნებულის ბარ-რესტორნებისადმი მიდრეკილება. თვენახევრის განმავლობაში მან ქალაქის თითქმის ყველა კაფე და რესტორანი მოინახულა. იმერეთში მოქეიფე ხალხს რა გამოლევს, ჰოდა, როგორც ამბობენ, დღე არ გავა, გეწაძე რომელიმე ბარსა თუ რესტორანში არ დალანდონ, ძირითადად - მოადგილეების გარემოცვაში. გია გეწაძე აცხადებს, რომ ქეიფი უყვარს, თუმცა ქუთაისის რესტორნებში მხოლოდ ინფრასტრუქტურის გასაცნობად დადის: **"მინდა, ქუთაისში ყველა ადგილი მოვინახულო, თითქმის ყველა ბარში ვიყავი, მაინტერესებს, ინფრასტრუქტურა როგორაა განვითარებული. კუპეში არსად ვჯდები და ხალხს არ ვემალები, ალბათ, ჭორებიც ამის შედეგად გავრცელდა."**

# „კავკასიის ავიახაზებმა" ამერიკელ კრედიტორთან პრობლემა მოაგვარა

ავიაკომპანია "კავკასიის ავიახაზების" გენერალური დირექტორის რობერტ კრისტიანის აშშ-ში ვიზიტი წარმატებით დასრულდა. ამერიკის საფინანსო კორპორაციის (OPIC) წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე კრისტიანმა მიაღწია შეთანხმებას და ავიაკომპანიას კორპორაციამ 4 მილიონი აშშ დოლარის დავალიანების გასტუმრება გადაუვადა. აღნიშნული დავალიანების გადაუხდელობის გამო, 10 დღის წინ OPIC-მა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას მიმართა და ავიაკომპანიის კუთვნილი ორი თვითმფრინავისთვის რეგისტრაციის გაუქმება ითხოვა.

"კავკასიის ავიახაზებმა" OPIC-ის მიერ გამოყოფილი კრედიტით "ემბრაერის" ტიპის ორი თვითმფრინავი შეიძინა. კრედიტორთან პრობლემების გამო, ერთი თვეა, ავიაკომპანია რეისებს ვერ ასრულებს. "კავკასიის ავიახაზები" ბაქოს, სოჭის და მინერალური წყლების მიმართულებით დაფრინავდა.

"კავკასიის ავიახაზების" 40 პროცენტი რამდენიმე ამერიკულ კომპანიას, მათ შორის "PIH" და "PIA" ეკუთვნის, ხოლო 60 პროცენტს ქართველ ბიზნესმენთა ჯგუფი ფლობს, რომელთა შორის, 5-პროცენტიანი წილით, "საქართველოს თამბაქოს წარმოების" გენერალური დირექტორი ავთანდილ წერეთელიცაა.

*პრაიმ-ნიუსი*

# აფხაზეთის კონსტიტუცია ძირეულად შეიცვალა

პირველი გვერდიდან

იგი მოითხოვს დევნილობაში მყოფი ხალხისათვის არჩევნების ჩატარებას და დევნილთა წარმომადგენლობითი ლეგიტიმური ორგანოს შექმნას, რომელიც, უმაღლესი საბჭოს დეპუტატის აზრით, "სრულფასოვანი" იქნება.

კონსტიტუციური ცვლილებების გატარების შემდეგ, ძირითადი პასუხისმგებლობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაზე გადადის. მთავრობის ხელმძღვანელი ხელს აწერს და აქვეყნებს ყველა კანონს, რომელსაც აფხაზეთის უზენაესი საბჭო მიიღებს. უზენაეს საბჭოს, როგორც საკანონმდებლო ორგანოს, სერიოზული დატვირთვა არ გააჩნია. მას წმინდა წყლის წარმომადგენლობითი ფუნქცია რჩება.



კონსტიტუციური ცვლილებების შემდეგ, აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლესი პირი გახდა ირაკლი ალასანია.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

უმაღლესი საბჭოს ფუნქციის შესუსტებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მთავრობის თავმჯდომარე უმაღლეს საბჭოს მხოლოდ იმ შემთხვევაში წარუდგენს მთავრობას დასამტკიცებლად, თუ საქმე მთავრობის წევრთა ნახევარზე მეტს ეხება. მთავრობის წევრთა ნახევარზე ნაკლებს მთავრობის ხელმძღვანელი უმაღლეს საბჭოსთან შეუთანხმებლად ამტკიცებს.

უმაღლესი საბჭოს დეპუტატების განმარტებით, ავტონომიის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთმიმართებისას, ზოგიერთ შემთხვევაში, ქვეყნის პრეზიდენტს განსაკუთრებული უფლება ენიჭება. **"თუ მთავრობამ ბიუჯეტის დამტკიცება ორჯერ ვერ მოახერხა, საკითხს საბოლოოდ ქვეყნის პრეზიდენტი წყვეტს. ადრე ასეთ შემთხვევაში მთავრობა დათხოვნილად ითვლებოდა,"** - განაცხადა პრესასთან კომენტარისას დეპუტატმა ვახტანგ ყოლბაიამ. მისივე თქმით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ავტონომიის მთავრობას პრეზიდენტთან შეთანხმებით ნიშნავს.

ცვლილებებს აფხაზეთის კონსტიტუციაში წინ უძღოდა პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივა, რომლითაც იგი, ყოლბაიას თქმით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებაში შევიდა. **"პრეზიდენტმა თავისი ნება, ჯერ კიდევ საკანონმდებლო ინიციატივამდე, საქვეყნოდ განაცხადა. კერძოდ, მან თქვა, რომ აფხაზეთის ხელისუფლების ხელმძღვანელი იქნება ერთადერთი, ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც წარმოადგენს სპიკერს აფხაზეთის საკითხში,"** – დასძინა ყოლბაიამ.

გუშინდელ სესიაზე, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე (როცა საკონსტიტუციო ცვლილებები ჯერ კიდევ კენჭისყრაზე დაყენებული არ იყო) აფხაზი ეროვნების სვეტლანა ქეცბა დაამტკიცეს. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ალასანია, რომელიც ახალი საკონსტიტუციო ცვლილების თანახმად, აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელად იწოდება, ამ დანიშვნას პოლიტიკურ გადაწყვეტილებას უწოდებს: **"ეს არის ჩვენი გაწვდილი ხელი აფხაზური საზოგადოებისადმი და ჩემი აზრით, იგი ჯეროვნად იქნება შეფასებული,"** - დასძინა ალასანიამ. როგორც ირაკლი ალასანიამ მასმედიას განუცხადა, აფხაზეთის სახელისუფლებო სტურქტურებში გატარდება ცვლილებები, რაც მთავრობის აპარატს უფრო მობილურს და ეფექტურს გახდის.

# "მერხების რევოლუცია"

პირველი გვერდიდან

მათზე ("მემარჯვენეებზე") რევანშის აღებას წინასწარვე ზეიმობს განათლების მინისტრიც.

**"ოპოზიციისგან უფრო სერიოზულ შენიშვნებსა და წინადადებებს ველოდი. მათი არგუმენტები კი მეტად არადამაჯერებელია,"** - აცხადებს კახა ლომაია.

რაც შეეხება თავად კანონპროექტს, განათლების მინისტრის თქმით, იგი ხუთ ძირითად პრინციპს ემყარება. ესენია: უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიურობა; მათი ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე; უმაღლესი სასწავლებლების დემოკრატიულად მოწყობა; სტუდენტთა მზარდი მონაწილეობა სასწავლებლების თვითმმართველობაში; უმაღლეს სასწავლებლებში ფინანსური და საგანმანათლებლო ფუნქციების გამიჯვნა.

რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, უმაღლესი განათლების სფეროში დაგეგმილი რეფორმის მიმართ ოპოზიციაზე მეტ სიფრთხილეს სახელისუფლებო გუნდის წევრები იჩენენ. განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის ნოდარ გრიგალაშვილის თქმით, რეფორმა გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული.

**"ბევრი უმაღლესი სასწავლებელი სახელმწიფოსგან აკრედიტაციას ვერ მიიღებს და მის დიპლომს ჩალის ფასი ექნება, რაც საზოგადოების გარკვეულ ნაწილში უკმაყოფილებას გამოიწვევს,"** - შიშობს გრიგალაშვილი.

მისგან განსხვავებით, ლევან ბერძენიშვილი განათლების სისტემის მომავალს მხოლოდ ნათელ ფერებში ხედავს.

**"დღევანდელი საბჭოური განათლების სისტემა ძირფესვიანად შესაცვლელელია და ამის გაკეთება წარმოდგენილი კანონპროექტით უნდა დაიწყოს. 10-15 წლის შემდეგ განათლების სფეროში ძალიან წინწასული ერი ვიქნებით,"** - აცხადებს ბერძენიშვილი, რომლის თქმითაც, უმაღლესი განათლების სისტემის გარდაქმნას შეიძლება "მერხების რევოლუციაც" კი ეწოდოს.

გუშინდელი პლენარული სხდომის დროს კიდევ უფრო აღმატებული ეპითეტებიც ისმოდა: "რევოლუციური ნაბიჯი", "ისტორიული გადაწყვეტილება", "აზრის რევოლუცია", - კანონპროექტის ქებაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს დეპუტატები.

გუშინვე 135-მა დეპუტატებმა ერთხმად მიიღო განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოს პარლამენტი უერთდება ეუთო-ს, ევროკავშირის, ევროსაბჭოსა და დემოკრატიული სახელმწიფოების მიერ გამოთქმულ უარყოფით შეფასებებს, უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებასა და მასობრივ საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებით.

**"მივმართავთ უკრაინის ყველა შესაბამის ორგანოსა და ყველა ხელმძღვანელს, რათა გამოირიცხოს ძალის გამოყენება საკუთარი ხალხის დემოკრატიული მოთხოვნების მიმართ,"** - აღნიშნულია განცხადებაში.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ასეთი განცხადების მიღებისგან საქართველოს პარლამენტი დღემდე თავს იკავებდა, რათა ეს სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად არ ჩათვლილიყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც რიგმა სახელმწიფოებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა თავიანთი დასკვნები გამოაქვეყნეს, ასეთი ნაბიჯის გადადგმა უკვე მიზანშეწონილია.

"უკრაინული ფონი" საქართველოს პარლამენტში გუშინ ვიზუალურადაც ჩანდა: ზოგიერთ დეპუტატს, ვიქტორ იუშენკოს გუნდისადმი სოლიდარობის ნიშნად, ნარინჯისფერი ბაფთები და შარფები ეკეთა.

გუშინვე საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უფლებამოსილების ვადა 2005 წლის 1 მარტამდე გაუგრძელდა.

# "ნუ იტყვით, საქართველოში ლაზები ჩამოვიდნენო..."

ნინო ბერელიძე



ლაზი მომღერლების ჯგუფი.

საქართველოს საპატრიარქოსა და ასოციაცია "ქართული კულტურა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ" ძალისხმევით, თბილისში ერთკვირიანი საერთაშორისო ფესტივალი "ჩვენებურები" მიმდინარეობს. მასში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში ჩამოვიდნენ ქართველი ებრაელები ისრაელიდან, ლაზები თურქეთიდან და ინგილოები აზარბაიჯანიდან. როგორც ასოციაციის პრეზიდენტმა ქალბატონმა გიული ალასანიამ გუშინ სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე აღნიშნა, ეს ფესტივალი გრანდიოზულ ზეიმს – საქართველოს გაქრისტიანების ოც საუკუნეს დაამთხვიეს, თუმცა მისი მთავარი მიზანი ერთმანეთის მონატრებაა, სურვილი, რამდენიმე დღე შორეულ ჩვენებურებთან გავატაროთ. "ჩვენებურებმა" უნივერსიტეტში საგანგებო კონცერტიც გამართეს. მათი გამოსვლები მაყურებლების დიდ აღტაცებას იწვევდა, მაგრამ გამორჩეული ლაზური "მაჭახელა" იყო. ამ გუნდში მღერის თორმეტამდე უხუცესი, რომელთა საშუალო ასაკი ოთხმოცი წელია. ბაიარ შაჰინი: "ეს მოხუცები ლაზური ხეობის - მაჭახელის მკვიდრნი არიან. მათი მონაყოლით გავიზარდეთ და დღესაც მათ გარეშე არაფერი ხდება, სიმღერით და ცეკვით დადიან ყველგან, სატირალშიაც და ქორწილშიაც. ეს დღეები ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია. ოღონდაც, ერთს გთხოვთ - ნუ იტყვით საქართველოში ლაზები ჩამოვიდნენო, თქვით, რომ ქართველები მოვედით ჩვენს მიწაზე. იქ ჩვენ ლაზებს გვეძახიან აქ კი ქართველები ვართ." ფესტივალი რამდენიმე დღეს გასტანს და დიდ სიხარულს მიანიჭებს ყველა მნახველს, რადგან მასში მონატრებული სულია ჩადებული.

## მოკლედ

### პარლამენტის რიგგარეშე სხდომა 2 დეკემბრისთვის დაინიშნა

საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომა 2 დეკემბერს გაიმართება.

როგორც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, პარლამენტის რიგგარეშე სხდომამ ახალი "საგადასახადო კოდექსი" მეორე და მესამე მოსმენით უნდა მიიღოს.

"უნდა ვეცადოთ, რომ დეკემბერში შევძლოთ ახალი "საგადასახადო კოდექსის" მიღება, რათა ახალი წლისთვის "საგადასახადო კოდექსის" ამოქმედება შესაძლებელი გახდეს," - აღნიშნა ბურჯანაძემ. **ინტერ-პრესი**

### ევროკავშირი საქართველო-რუსეთს შორის შუამავლის როლს იკისრებს

"ევროკავშირი საქართველო-რუსეთს შორის შუამავლის როლს იკისრებს," - განაცხადა საქართველოში ხუთდღიანი სამუშაო ვიზიტით მყოფმა ევროპარლამენტის დელეგაციის წევრმა მარიენ ისლერ ბეგუინმა.

მისი თქმით, უახლოეს მომავალში ევროკავშირისა და რუსეთის სამიტი შედგება, სადაც ევროკავშირი რუსეთს თანამშრომლობის ახალ პროგრამას შესთავაზებს, რათა სამხრეთ ოსეთის პრობლემა საქართველოში საბოლოოდ გადაწყდეს.

როგორც მარიენ ისლერ ბეგუინმა განაცხადა, ჩვენს ქვეყანას ევროკავშირის სახით ძლიერი მოკავშირე ჰყავს. ევროპარლამენტის წევრები ხმას მიაწვდენენ ევროკომისიასა და ევროკავშირს, რათა მათ მუშაობა გააააქტიურონ და საქართველოს არსებული პრობლემების მოგვარებაში დაეხმარონ.

"საქართველოში "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ახალი ერა დაიწყო და იმედი გვაქვს, რომ ქვეყნის ხელისუფლება სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოსაგვარებლად რუსეთთან დიალოგს აუცილებლად გააგრძელებს," - აღნიშნა მარიენ ისლერ ბეგუინმა.

ევროპარლამენტის წარმომადგენლის განცხადებით, ევროკავშირი, ახალი სამეზობლო ინიციატივის ფარგლებში, სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის სპეციალურ ეკონომიკურ პროგრამებს შეიმუშავებს. **ინტერ-პრესი**

### სოხუმის მთავრობის პრემიერი მოსკოვში გაემგზავრა

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ნოდარ ხაჟბა მოსკოვში გაემგზავრა.

რუსეთის დედაქალაქში მისი ვიზიტის მიზნების შესახებ არ საუბრობენ.

თავის მხრივ, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულმა ოპოზიციის ლიდერმა სერგეი ბაგაფშმა განაცხადა, რომ იგი რუსეთის სამხრეთის ფედერალურ ოლქში პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის წარმომადგენელთან, დიმიტრი კაზაკთან აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შექმნილი ვითარების განხილვას მოითხოვს.

კაზაკთან შეხვედრის სურვილი ასევე გამოთქვეს თვითაღიარებული რესპუბლიკის პარლამენტარებმა, რის შესახებაც მათ დიმიტრი კაზაკს ოფიციალური თხოვნით მიმართეს. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**ქუთაისი.** ქუთაისში განთავსებული, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 21-ე ბრიგადა გენერალური შტაბის უფროსმა ვახტანგ კაპანაძემ მოინახულა. საჯარისო ნაწილში ახლახან კაპიტალურად გარემონტდა ქვეითთა ყაზარმები, სატანკო ფარეხები და უზრუნველყოფის სამსახურის შენობები, ასევე კვებისა და სანიტარიული ბლოკები. ვახტანგ კაპანაძემ შესრულებულ სამუშაოებს მაღალი შეფასება მისცა და კოხის საწვრთნელი ველი, ვარციხისა და კოპიტნარის საავიაციო ბაზებიც მოინახულა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის გაერთიანებული ოპოზიცია "არაკონსტიტუციურს" უწოდებს მოქმედი პრეზიდენტის, ვლადისლავ არძინბას განცხადებას, რომელიც 6 დეკემბრის შემდეგ საკუთარი პოსტის დათმობას არ აპირებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საკრებულოს ფრაქცია "კონსერვატორების" თავმჯდომარე გიორგი ტაბიძე "საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" ლიდერს შალვა ნათელაშვილს "კა-გე-ბე"-ს აგენტობაში ადანაშაულებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს მესამე სექტორს კიდევ ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია - "დემოკრატიული ცენტრი" შეემატა. მისი დამფუძნებელია "ლეიბორისტული" პარტიის ყოფილი წევრი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი ბადრი ნიაური. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

მილიონი მომიტინგე საკუთარ ძალებში სულ უფრო ვრწმუნდებით და ბოლომდე ვიბრძოლებთ!“

რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო

**FM 107.4**

ხალხის ტრიბუნა ყოველ საღამოს შაბათ-კვირის გარდა 7-დან 8 საათამდე

| | | |
|---|---|---|
| **წამყვანი -** | **რატი გარსევანიშვილი** | |
| **სტუმრები -** | **ირინა ჟურბა** | უკრაინული პი-არ სააგენტოს ხელმძღანელი |
| | **ლევან თარხნიშვილი** | ევრაზიის ფონდის პროგრამა - კავკასიური კვლევების რესურს-ცენტრის დირექტორი |
| | **ლევან გახელაძე** | ჟურნალისტი |



**ირინა ჟურბა:** "კიევში მომიტინგეთა რიცხვმა მილიონს გადააჭარბა. აქციის მონაწილეები საკუთარ ძალებში სულ უფრო ვრწმუნდებით. გვაქვს საბრძოლო განწყობილება და ბოლომდე ვიბრძოლებთ!"

**ლევან თარხნიშვილი:** უკრაინის რევოლუცია შეცვლის მთელი რეგიონის, მათ შორის, საქართველოს ბედსაც. უკრაინის რევოლუცია რუსეთისთვის ვერ იქნება დასასრულის დასაწყისი, რადგან ეს პროცესი ისედაც დიდი ხანია დაიწყო.

**ლევან გახელაძე:** უკრაინის მოვლენების მიმართ რუსეთის ხელისუფლებისა და მედიის პოლიტიკა რუსეთის ღრმა კრიზისს და უსუსურობას კიდევ ერთხელ ადასტურებს. დარწმუნებული ვარ, რომ იუშჩენკო და მისი მომხრეები კომპრომისზე არ წავლენ და საბოლოო გამარჯვებას მოიპოვებენ.

# რეპორტაჟი კიევიდან

**რადიო "მწვანე ტალღამ" პირდაპირ ეთერში ჩართო უკრაინელი ჟურნალისტი ირინა ჟურბა, რომელიც უშუალოდ კიევის ქუჩებიდან აღწერს შექმნილ სიტუაციას. ამასთან, ირინა ჟურბამ გამოაგზავნა ფოტომასალაც, რომელზეც აღბეჭდილია კიევის ცენტრი 25 ნოემბერს. გთავაზობთ უკრაინელი ჟურნალისტის რეპორტაჟს.**





■ ბოლო მონაცემებით, კიევში მომიტინგეთა რაოდენობამ მილიონს მიაღწია. ამასთან, ვრცელდება ინფორმაცია, რომ დედაქალაქში არ უშვებენ სხვა ქალაქების წარმომადგენლებს. მათ ავტობუსებს გზას უხერგავენ ქვიშით დატვირთული სატვირთოებით, უზიანებენ საბურავებს და ა.შ.

■ კრეშჩატიკზე გავლა უკვე ძალიან ჭირს. თუ ხალხის ძირითადი მასა აქამდე მხოლოდ თავისუფლების მოედანზე იდგა, ახლა მთელი კრეშჩატიკი მოფენილია მომიტინგეებით.

■ პრეზიდენტის ადმინისტრციის შენობა გარშემორტყმულია ქვიშით დატვირთული თვითმცლელებით. ხალხი კი მათ ტრიბუნად იყენებს. ადიან ზარებზე და იქიდან წარმოთქვამენ სიტყვას.

■ ძალიან ცივა, მაგრამ ხალხი არ იშლება. ბევრს მეტროს გადასასვლელებში სძინავს. მათთვის სახლებიდან მოაქვთ საბნები, აფთიაქებში ყიდულობენ აბებს, საცხებს და ურიგებენ მომიტინგეებს.

■ გამოჟონა ინფორმაციამ, რომ 18 საათიდან ქალაქში ტანკების შემოყვანას აპირებენ, მაგრამ, საბედნიეროდ, მე ისინი არ მინახავს. ამბობენ იმასაც, რომ დაბინდებისთანავე, თავისუფლების მოედანზე, კრეშჩატიკზე და, საერთოდ, კიევის ცენტრში სინათლეს გამორთავენ, რათა მომიტინგეებს შორის პანიკა დათესონ.

■ რადიოსადგურების 80 პროცენტი მოედანზე არის გამოსული და პირდაპირ რეპორტაჟებს გადასცემს. დროდადრო რთავენ იუშენკოს მხარდამჭერი მომღერლების შემოქმედებას.

■ რაც შეეხება ტელევიზიას, ოპოზიციას დარჩა მხოლოდ მეხუთე არხი და, ამ ბოლო დროს, ოპოზიციური გადაცემები გამოჩნდა ტელეკომპანია "ერა"-ს ეთერში. ეს არის და ეს. გუშინ გავრცელდა ხმა, რომ ამ ტელეკომპანიებს დახურვას უპირებდნენ, მაგრამ ისინი აგრძელებენ მუშაობას, თუმცა, დროდადრო, მათ თიშავენ.

■ რუსეთის პრეზიდენტის ყველა გამოსვლაზე ძალზე ნეგატიური რეაქციაა. სამაგიეროდ, მოედანზე მქუხარე აპლოდისმენტებით შეხვდნენ ბორის ნემცოვს და მიხეილ გორბაჩოვს, რომლებიც იუშენკოს უჭერენ მხარს.

■ ოვაციებით შეხვდნენ მიხეილ სააკაშვილის მიმართვას. განსაკუთრებით გააოცა ყველა საქართველოს პრეზიდენტის საკმაოდ რიგიანმა საუბარმა უკრაინულად. მიტინგზე ფრიალებს ქართული დროშაც.



# უკრაინამ პუტინის სრული კრახი აჩვენა

პირველი გვერდიდან

**- თქვენი აზრით, რა სახის შეცდომები დაუშვა კრემლმა?**

- პოლიტიკურ-ტექნოლოგიურ პროექტში, სახელწოდებით "ვიქტორ იანუკოვიჩი", 700 მილიონი დოლარია ჩადებული, თუმცა, კრემლის ინვესტიციამ ამ პროექტში არ გაამართლა, რადგანაც პრეზიდენტ პუტინის განცხადებებმა ერთ-ერთი კანდიდატის მხარდაჭერაზე მსოფლიო საზოგადოებრიობის ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. დღეს უკვე ცხადია, რომ ლეონიდ კუჩმა არასოდეს აპირებდა და არც დააპირებს იანუკოვიჩისათვის მთელი ხელისუფლების გადაცემას: მან ოპოზიციის ჩასახშობად ე.წ. დონეცკის კლანი მხოლოდ გამოიყენა. კუჩმა მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს: აქ მას უმაღლესი რადის მხარდაჭერა სჭირდება უკრაინაში კონსტიტუციური რეფორმის მოსახდენად. ეს უკვე გადაწყვეტილი საკითხია. უკრაინის პოლიტიკური ლანდშაფტი შეიცვლება, გამოცხადდება საპარლამენტო რესპუბლიკა.

**- რუსეთს არაფერს შეეკითხებიან?**

- რუსეთმა უკრაინული პარტია უიმედოდ წააგო. უკრაინის არჩევნებმა აჩვენეს კრემლის პოლიტტექნოლოგიისა და პუტინის პოლიტიკის სრული კრახი. თავისი მოუზომელი განცხადებებით, პუტინმა საკუთარი ავტორიტეტი ძირს დასცა. ეს არის კრემლის პროექტის ჩავარდნა. უკრაინის არჩევნების პერიოდში რუსეთმა მთელი რიგი უხეში შეცდომები დაუშვა. სტრატეგიული შეცდომაა იანუკოვიჩზე ფსონის დადება, რადგანაც ეს კანდიდატი ვლადიმერ პუტინს თავზე კუჩმამ მოახვია. კრემლის ტაქტიკური შეცდომა იყო იანუკოვიჩის კამპანიის ჩატარების მეთოდები.

**- როგორ განვითარდება მოვლენები უკრაინაში?**

- უკრაინა დღეს გახლეჩის რეალური საფრთხის წინაშე დგას. უკრაინის დაშლის პროცესის შეჩერება შეუძლიათ მხოლოდ იუშენკოსა და იანუკოვიჩის მოლაპარაკებებს. უკრაინის პოლიტიკური რეფორმების მთავარი შედეგი იქნება ქვეყნის "რბილი" ფედერალიზება, რეგიონების მეთაურთა არჩევითობაზე გადასვლით, ორპალატიანი პარლამენტის ფორმირებით.

**- პრეზიდენტი ვინ უნდა იყოს?**

- კოალიციური ხელისუფლების მოდელი ითვალისწინებს ვიქტორ იუშენკოს - უკრაინის პრეზიდენტის როლში (შეზღუდული უფლებამოსილებებით), ხუთპარტიულ მთავრობას ფართე უფლებებით.

**- ამ დღეებში ბევრი პოლიტიკოსი ავლებდა პარალელს "ვარდების რევოლუციასა" და უკრაინის მოვლენებს შორის.**

- უკრაინაში ქართული სცენარი არ გათამაშდება, იქ სხვა მენტალიტეტია. თანაც, საქართველოში დიდი როლი ითამაშა შევარდნაძის ძველი რეჟიმით გადაღლამ და სააკაშვილის, როგორც ლიდერის ქარიზმატულობამ. იუშენკო სააკაშვილი არ არის. იგი მეტად სუსტი და ფერმკრთალი ლიდერია. ამიტომ "წაბლების რევოლუციას" არ უნდა ველოდოთ. არც იულია ტიმოშენკო გამოდგება ლიდერის როლში - იგი ზოგადნაციონალური პოლიტიკოსია, მაგრამ საეჭვო რეპუტაციით. ამიტომ თბილისი-კიევის მოვლენებს შორის არის ფორმალური, მაგრამ არ შინაარსობრივი პარალელები.

**- თქვენ კიევის მოვლენებში რუსი პოლიტტექნოლოგების კრახი ახსენეთ. ამ მხრივ თუ არსებობს პარალელები აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნებთან?**

- რუს პოლიტტექნოლოგთა ქმედება აფხაზეთში ისეთივე მავნე და უნაყოფო იყო, როგორიც კიევში. დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ აფხაზეთის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში იქნება. ის, რაც კრემლმა ვერ შეძლო, შეძლო ამერიკამ. ამიტომ აფხაზეთის ახალი ხელისუფლება თავის საიმედო დასაყრდენს აშშ-ში მოძებნის, სადაც მეტად ძლიერი აფხაზური დიასპორა მოქმედებს. აფხაზეთსა და უკრაინაში კრემლის პოლიტტექნოლოგების კრახით ჩანს, რომ ამ პერსონების იდეოლოგია უკვე პრეზიდენტ პუტინის წინააღმდეგ მუშაობს. ეს კი რუსეთის პრესტიჟს მსოფლიოს თვალში დაბლა სწევს.







# დეპუტატებმა მთავრობის კანონპროექტი დაიწუნეს

*"ფინანსთა სამინისტროს მიერ შემოტანილ კანონპროექტს ნაკლებად შეიძლება ცვლილებები ეწოდოს. ეს უფრო არსებული მდგომარეობის აღწერის მცდელობაა. ეს აბსოლუტურად არაპროგრესული, არსებულ რეალობასთან შეუსაბამო კანონპროექტია," - ასე შეაფასეს ფინანსთა სამინისტროს მიერ შექმნილი "ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების საბიუჯეტო სისტემის შესახებ" კანონპროექტი პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტში გუშინ გამართულ სამუშაო შეხვედრაზე და მთავრობისგან კანონპროექტის დახვეწისა და პაკეტად წარმოდგენის მოთხოვნით მისი უკან გაწვევაც მოითხოვეს.*

სოფიკო ოხანაშვილი

გუშინ პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტში კანონპროექტის განხილვისთვის სპეციალურად ორგანიზებული ორდღიანი სამუშაო შეხვედრა დასრულდა, რომელშიც კომიტეტის წევრების გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ქართველი და ევროსაბჭოს კომისიის ექსპერტები მონაწილეობდნენ. მათი დასკვნა ცალსახაა: წარმოდგენილი კანონპროექტი არ წარმოადგენს წინ გადადგმულ და პროგრესულ ნაბიჯს, აბსოლუტურად არ შეესაბამება პრობლემის მოგვარებისადმი ჯანსაღ დამოკიდებულებას, არ ითვალისწინებს საერთაშორისო ხელშეკრულების (ადგილობრივი თვითმმართველობების ევროპული ქარტია) მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც, თვითმმართველობის ორგანოს საკუთარი შემოსავლები უნდა ჰქონდეს, რომელსაც დამოუკიდებლად დახარჯავს, გამიჯნული უნდა იყოს ცენტრალური (დელეგირებული) და ადგილობრივი (ექსკლუზიური) ფუნქციები, ცენტრალური ხელისუფლებისგან ფუნქციების დელეგირებისას მისი განხორციელება მთლიანად ცენტრალური ბიუჯეტიდან უნდა ფინანსდებოდეს, უნდა არსებობდეს გარანტია, რომ ვერც ერთი ზედა დონის ხელისუფლება (ცენტრალური თუ შუალედური რგოლი) თვითმმართველობის ორგანოს მისი საკუთარი შემოსავლების ცენტრალურ ფუნქციებზე დახარჯვას ვერ აიძულებს. **"სამწუხაროდ, ჩვენთან ფუნქციები აღრეულია. ქვეყანაში, ფაქტობრივად, არ ფინანსდება თვითმმართველობების ექსკლუზიური უფლებები, მაშინ, როცა თითქმის 100 პროცენტითაა დაფინანსებული ცენტრალური ხელისუფლების მიერ დელეგირებული ფუნქციები. საქმე ისაა, რომ დელეგირებული ფუნქციები ადგილობრივი ფინანსური წყაროებით ფინანსდება. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ფუქნციების დელეგირებისას ცენტრალური ხელისუფლება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ამ ფუნქციების დასაფინანსებელ საჭირო თანხებს აღარ აძლევს,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბარში რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვანო ხუხუნაიშვილმა.

ცალსახაა, რომ თვითმმართველობას საქართველოში მხოლოდ ფაქტობრივი სახე აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ მას თითქმის არ გააჩნია დამოუკიდებელი ფინანსური ბაზა, რომლის მეშვეობითაც თავისი კომპეტენციისა და უფლებების ფარგლებში დამოუკიდებლად იმოქმედებს. არადა, ექსპერტები და ქართველი დეპუტატები ცალსახად აღიარებენ, რომ თვითმმართველობების შესახებ კანონპროექტი, პირველ რიგში, თვითმმართველობების ფინანსურ დამოუკიდებლობას და ცენტრალურ ხელისუფლებასთან უფლებების გამიჯვნას უნდა გულისხმობდეს.

"ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" თავმჯდომარის თენგიზ შერგელაშვილის შეფასებით, მთავრობის მიერ მომზადებულ კანონპროექტში არამკაფიოდაა წარმოდგენილი ადგილობრივ თვითმმართველობასა და მმართველობას შორის განსხვავებები. ამასთანავე, ეს კანონპროექტი არ იძლევა მნიშვნელოვანი ფისკალური დეცენტრალიზაციის მუხტს და ბოლოს, ეს კანონპროექტი, ცალკე აღებული, სექტორის დასარეგულირებლად საკმარისი არ არის.

დეპუტატებმა და ექსპერტებმა დაწუნებული კანონპროექტის გაწვევა მოითხოვეს. **"თუ აღმასრულებელ ხელისუფლებას ამ მხრივ სერიოზული ნაბიჯების გადადგმა მართლა სურს, მან კანონპროექტების კომპლექსური პაკეტი უნდა შემოიტანოს და არა ასეთი პროექტი,"** - ასეთი იყო კომიტეტის დასკვნა.

წარმოდგენილი პროექტის გარდა, თვითმმართველობის საკითხებზე ორი ალტერნატიული პროექტია: ერთი, მსოფლიო ბანკისა და ქართველი ექსპერტების ერთობლივი მუშაობითაა მომზადებული, მეორე - "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციისა" და ქართველი ექსპერტების მიერ.

ალტერნატიული კანონპროექტების არსებობის მიუხედავად, ფინანსთა სამინისტრომ ისინი გვერდზე რომ გადადო და პარლამენტში "აბსოლუტურად არაფრის მომცემი" კანონპროექტი შეიტანა, ამ ფაქტს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის თავმჯდომარე თენგიზ შერგელაშვილი ასე ხსნის: **"ფინანსთა სამინისტრომ პარლამენტში ეს კანონპროექტი პირველ ოქტომბერს იმიტომ შეიტანა, რომ ვადებში ჩატეულიყო და კანონი არ დაერღვია."**

# "თანამგზავრი" "ინტურისტის" მეპატრონის ძმამ იყიდა

აჭარის დედაქალაქში, "ბათუმგორაზე" მდებარე სასტუმრო "თანამგზავრს" გუშინდელი დღიდან ერთი მეპატრონე - მურმან თურმანიძე ეყოლება. ბიზნესმენმა მურმან თურმანიძემ გუშინ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასტუმრო "თანამგზავრის" 40,5-პროცენტიანი წილი სულ 173 000 აშშ დოლარად, ანუ საწყის ფასზე სულ 3 ათასი დოლარით მეტად შეისყიდა. საინტერესოა, რომ თურმანიძემ 173 ათასად (ანუ ერთი კერძო სახლის ფასად) სასტუმროში, რომელიც დღესაც საკმაოდ კარგ მდგომარეობაშია, საკუთარი წილი 100 პროცენტამდე "შეივსო". ოფიციალური ინფორმაციით, სასტუმრო "თანამგზავრის" საწესდებო კაპიტალი 538 810 ლარია, კრედიტორული დავალიანება კი - 644 337 ლარს შეადგენს.

გუშინ "ინტერ-პრესთან" საუბარში თურმანიძემ პირობა დადო, რომ სასტუმრო მომავალში უფრო კომფორტული გახდება, რაც რეგიონში ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბათუმის სასტუმრო "ინტურისტი" ერთი თვის წინ მურმან თურმანიძის ძმამ ლევან თურმანიძემ 3 020 000 დოლარად შეისყიდა. საინტერესოა ისიც, რომ რატომღაც ამ აჭარის სასტუმროების ყიდვის სურვილი სხვას, ამ ოჯახის მიღმა, არავის უჩნდება, რაც, ვფიქრობთ, დასაფიქრებელი ფაქტი გახლავთ.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ დღეს გაყიდული საწარმოებიდან ბიუჯეტში, ერთი თვის განმავლობაში, დაახლოებით 650 000 ლარი შევა.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროში აუქციონი გაიმართა, რომელზეც საშუალო და მცირე ობიექტები იყო გატანილი. გასაყიდად გატანილი 14 ობიექტიდან, ექვსი - შპს "საქენერგოპროექტი", შპს "ავტოფარეხი", შპს "რემშენი", შპს "მშენებელი 21", შპს "სასტუმრო თანამგზავრი" და შპს "ენერგოკვებსამსახური" - გაიყიდა.

ეკონომიკური განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე ნათია თურნავა აუქციონს წარმატებულს უწოდებს და აცხადებს, რომ სამინისტრო ამ ობიექტების პრივატიზაციიდან 600 000 ლარამდე ელოდებოდა, მაგრამ ეს თანხა ვაჭრობის შედეგად 650-700 000 ლარამდე გაიზარდა. (რამდენად დიდი ზრდაა აუქციონისთვის, თავად განსაზღვრეთ). **"თუ პრივატიზაციის პროცესი ამ ტემპებით გავაგრძელეთ, მცირე და საშუალო ობიექტებიდან ყოველთვიურად ბიუჯეტში საშუალოდ მილიონი ლარი შევა,"** - განაცხადა გუშინ ნათია თურნავამ გუშინ გამართული აუქციონების შედეგების კომენტირებისას.

*24 საათი*


## "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**26 ნოემბერს, 11.00-დან 11.00-სთ-მდე:**
ქვემო ვეძისის დასახლების, გამსახურდიას, აღმაშენებლის და ვაჟა-ფშაველას გამზირების(ნაწილობრივ), დიღმის მასივის I-II კვარტალების, მარჯვენა სანაპიროს, გოთუას, ყუშიტაშვილის, ონიაშვილის, გაგარინის, კანდელაკის, შარტავას, ცაგერის, იოსებიძის, კოსტავას(ნაწილობრივ), ბროლოსანის, ბუდაპეშტის, ტაშკენტის, ბულაჩაურის, ხვიჩიას, ბენდელიანის, ბერბუკის, ტყვარჩელის, კოდორის, საგარეჯოს, აკურის, ასლანიდის, ქუთათელის, თაბუკაშვილის, ფიზკულტურის, მიროტაძის, ხვამლის, ბაქოს, წინამძღვრიშვილის, ნიკოლაძის, ბოცვაძის, ანჯაფარიძის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**27 ნოემბერს, 11.00-დან 11.00-სთ-მდე:**
გამსახურდიას გამზირის(ნაწილობრივ), გოთუას, ყუშიტაშვილის, ონიაშვილის, გაგრინის, კანდელაკის, შარტავას, ცაგერის, იოსებიძის ქუჩების მაცხოვრებლებს.


# თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის მშენებლობა დაგეგმილზე ძვირი ჯდება

*ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე დანახარჯები მკვეთრად გაიზარდა. ასეთი შინაარსის განცხადება აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტმა ნატიკ ალიევმა გუშინ გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე გააკეთა. მისივე თქმით, მშენებლობა, აზერბაიჯანის გარდა, თურქეთსა და საქართველოშიც ძვირდება. ამ ინფორმაციას საქართველოში "ბრითიშ-პეტროლიუმის" წარმომადგენლობაშიც ადასტურებენ.*

ეთერ მამულაშვილი

BP-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში ნავთობსადენის მშენებლობის გაძვირების მიზეზად გაუთვალისწინებელ შემთხვევებს ასახელებენ და ამას ჩვეულებრივ მოვლენად აფასებენ. **"ამხელა მასშტაბის პროექტის განხორციელების დროს ვერ ხერხდება ღირებულების ზუსტი განსაზღვრა. ამ შემთხვევაში ფასის ცვლილება მისაღებია და იმ ფარგლებში ჯდება, რომელიც პროექტის პარტნიორებს წინასწარ ჰქონდათ განსაზღვრული,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს BP-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა რუსუდან მეძმარიაშვილმა.

აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტის ნატიკ ალიევის ინფორმაციით კი, მშენებლობაზე გაღებული დამატებითი ხარჯები, ძირითადად, გამოწვეულია დანადგარების ძარცვით, მუშახელისა და ელექტროენერგიის დანახარჯების გაძვირებითა და მშენებლობის შეფერხებით. ამ უკანასკნელში ალიევი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ბრიტანული კომპანია "ბრიტიშ პეტროლიუმის" მიმართ გამოთქმულ უსაფუძვლო პრეტენზიებსა და მასთან დაკავშირებულ სასამართლო დავებს გულისხმობდა.

მისივე თქმით, ამას დაემატა ის ფაქტიც, როცა მოსახლეობის ერთმა ნაწილმა მიწის ნაკვეთების საკომპენსაციოდ შეთანხმებულზე ბევრად მეტი თანხა მოითხოვა, ხოლო მშენებლობაზე დასაქმებულმა ადამიანებმა კი, ხელფასის გაზრდის მოთხოვნით, რამდენიმედღიანი გაფიცვები მოაწყვეს. **"არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობების გარკვევაზე დიდი დრო დაიხარჯა, კრედიტორი ბანკებისთვის მომზადდა ათასგვერდიანი ანგარიში, საჭირო გახდა ახალი კონსულტანტებისა და ადვოკატების დაქირავება. ასე რომ, პრეტენზიების გაბათილება საკმაოდ ძვირი დაჯდა,"** - განუცხადა ალიევმა ერთ-ერთ უცხოურ ინტერნეტ-გამოცემას.

თუ რა მოცულობით ძვირდება "საუკუნის პროექტი", ამას საქართველოში BP-ს წარმომადგენლობაში არ აზუსტებენ, თუმცა, როგორც ნატიკ ალიევმა გუშინ ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, ნავთობსადენის მშენებლობაზე გაწეული ხარჯები ხუთი-შვიდი პროცენტით იზრდება. მისივე განცხადებით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობაზე ამ დროისთვის თითქმის სამი მილიარდი ამერიკული დოლარია დახარჯული.

შეგახსენებთ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით პრეტენზიები ჰქონდათ საქართველოს მთავრობასა და არასამთავრობოებსაც, რის გამოც ბორჯომის მონაკვეთზე მშენებლობა თითქმის ერთი თვე იყო შეჩერებული, თუმცა პრობლემები ამ მიმართულებით სულაც არ შემცირებულა. სწორედ უსაფრთხოების კუთხით, "ბი-პი"-სთან პრეტენზიები აქვს ბრიტანეთის პარლამენტსაც, რომელიც კომპანიის საქმიანობის გამოძიებას აპირებს. პარლამენტი ნავთობსადენის უსაფრთხოების ხარისხით დაინტერესდა, რისთვისაც BP-მ ახლახან დამატებით 60 მილიონი გირვანქა სტერლინგი მიიღო.

ამ დროისთვის, მშენებლობის 99 პროცენტი უკვე შესრულებულია, ნავთობსადენის ექსპლუატაციაში შესვლა კი 2005 წლის მაისისთვის იგეგმება.

ამჟამად, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ნავთობსადენის მშენებლობა პრაქტიკულად დასრულებულია.

ცნობისთვის: ნავთობსადენის სიგრძე 1760 კილომეტრია, აზერბაიჯანში - 445, საქართველოში - 245, თურქეთში - 1070, გამტარუნარიანობა - 50 მილიონი ტონა ნავთობი წელიწადში.


საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
JOINT-STOCK COMPANY

## სს "საქართველოს ბანკის" აქციონერთა საყურადღებოდ!

მიმდინარე წლის 17 დეკემბერს, 19 საათზე დანიშნულია სს "საქართველოს ბანკის" აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

სს „საქართველოს ბანკის" წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
სს "საქართველოს ბანკის" მიერ სს "თბილუნივერსალბანკის" აქციების შეძენისა და სს "საქართველოს ბანკისა" და სს "თბილუნივერსალბანკის" შერწყმის შესახებ;
სს "საქართველოს ბანკის" მიერ სს „სადაზღვევო კომპანია ბრიტანეთი-კავკასია"-ს აქციონერებისაგან აქციების შეძენის შესახებ.
სს "საქართველოს ბანკის" 2004 წლის ფინანსური შედეგების აუდიტირებისათვის გარე აუდიტორის დამტკიცების შესახებ;
სს "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
სს "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების შესახებ.
სს "საქართველოს ბანკის" სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ.სს "საქართველოს ბანკის" სარევიზიო კომისიის წევრთა ანაზღაურების შესახებ.
სს "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭო და მმართველთა საბჭო 2004 წლის 17 დეკემბრის რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგთან დაკავშირებით აქციონერებს წარუდგენს შემდეგი სახის რეკომენდაციებს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით:

სს „საქართველოს ბანკის" წესდებაში შემოღებულ უნდა იქნას სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ინსტიტუტი და ამასთან ერთად, გაუქმებულ უნდა იქნას წესდებით გათვალისწინებული, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის დამატებითი ტიტული - პრეზიდენტი. აღნიშნული მიზნისათვის შემოთავაზებულია სს „საქართველოს ბანკის" წესდების ქვემოთმოყვანილი მუხლების ახალი ფორმულირება, კერძოდ:

1. მუხლი 11.8. საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე(ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე). კრების გადაწყვეტილებისა და მიმდინარეობის შესახებ ოქმს ადგენს ნოტარიუსი.
2. „მუხლი 12.3. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე) იწვევს სხდომებს,განსაზღვრავს დღის წესრიგს. ოქმს ადგენს თავმჯდომარე (ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე) ან სხდომის მდივანი".

3. „მუხლი 12.5.8. სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს".

4. სს „საქართველოს ბანკის" წესდების სხვა მუხლები დარჩეს უცვლელი.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით:

1. ცნობად იქნას მიღებული და მოწონებულ იქნას სს „საქართველოს ბანკის" მმართველთა საბჭოს გადაწყვეტილება სს "თბილუნივერსალბანკის" აქციების (100%-ის) შეძენის შესახებ.
2. ნება დაერთოს სს "საქართველოს ბანკის" მმართველთა საბჭოს კანონით დადგენილი წესით და ვადაში განახორციელოს სს „საქართველოს ბანკისა"და სს "თბილუნივერსალბანკის" შერწყმა, შერწყმის ხელშეკრულების პროექტით გათვალისწინებული პირობებით; კერძოდ:
- ს.ს. "თბილუნივერსალბანკი" შეერწყმება (მიუერთდება) ს.ს. "საქართველოს ბანკს";
  - შერწყმის შედეგად ს.ს. "თბილუნივერსალბანკი" შეწყვეტს არსებობას და შერწყმული (გაერთიანებული) საზოგადოების სახელწოდება იქნება ს.ს. "საქართველოს ბანკი";
  - ს.ს. "თბილუნივერსალბანკის" საწესდებო კაპიტალი და სხვა აქტივები აისახება ს.ს. "საქართველოს ბანკის" ბალანსზე ს.ს. "საქართველოს ბანკის" საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანის გარეშე;
  - შერწყმის შედეგად ს.ს. "საქართველოს ბანკის" აქციონერთა წილობრივი მონაწილეობა დარჩება უცვლელი;
  - შერწყმა ჩაითვლება განხორციელებულად მისი რეგისტრაციის მომენტიდან შესაბამის რაიონულ სასამართლოში;
  - შერწყმის შედეგად ს.ს. "საქართველოს ბანკის" მართვის ორგანოთა სტრუქტურა დარჩება იგივე;
  - შერწყმის შემდეგ ს.ს. "თბილუნივერსალბანკის" მუშაკები განაგრძობენ მუშაობას შერწყმულ (გაერთიანებულ) საზოგადოებაში; ამასთან,მართვის ორგანოების წევრთა და სხვა აღმასრულებელ თანამდებობაზე დასაქმებული პირების შემდგომი დასაქმების პირობები და ვადები განსაზღვრულ იქნება ს.ს. "საქართველოს ბანკის" შესაბამისი ორგანოების მიერ;
  - ს.ს. "საქართველოს ბანკი" იქნება ს.ს. "თბილუნივერსალბანკის" უფლებამონაცვლე, რაც კანონის შესაბამისად აისახება ს.ს. "საქართველოს ბანკის" წესდების 1.2 მუხლის ტექსტის ბოლოს, შემდეგი რედაქციით „სს „საქართველოს ბანკისა" და სს „თბილუნივერსალბანკის" შერწყმის შედეგად სს „საქართველოს ბანკი" წარმოადგენს სს „თბილუნივერსალბანკის" უფლებამონაცვლეს."

3. დღის წესრიგის მეორე საკითხის მეორე პუნქტის მეორე ქვეპუნქტით გათვალისწინებული ცვლილება მარეგისტრირებელ სასამართლოში წარედგინოს შერწყმის ხელშეკრულებაზე მხარეების ხელმოწერის შემდეგ.

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით:

1. ცნობად იქნას მიღებული და მოწონებულ იქნას სს „საქართველოს ბანკის" მმართველთა საბჭოს გადაწყვეტილება სს „სადაზღვევო კომპანია ბრიტანეთი-კავკასია"-ს აქციონერებისაგან კომპანიის აქციების 55%-ის შეძენის შესახებ.
2. ცნობად იქნას მიღებული, რომ სს „საქართველოს ბანკი" უკვე ფლობს „სადაზღვევო კომპანია ბრიტანეთი-კავკასია"-ს 45%-იან წილს.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით:

დამტკიცდეს კომპანია შპს "ერნსტ&იანგ აუდიტი" სს "საქართველოს ბანკის" 2004 წლის ფინანსური შედეგების აუდიტორად.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით:

დაკმაყოფილდეს ბატონი ვლადიმერ [illegible] განცხადება სს "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომისა და საბჭოს შემადგენლობიდან მისი გამოსვლის შესახებ;
დაკმაყოფილდეს ბატონი [illegible] განცხადება სს "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობიდან მისი გამოსვლის შესახებ;
სს "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არჩეულ იქნას ბ-ნი ტარიელ გვალია;
სს "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არჩეულ იქნას ბ-ნი [illegible].

დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით:

სს „საქართველოს ბანკის" წესდების 11.9 მუხლის თანახმად, აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა. 17 დეკემბრის კრებამ უნდა გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის შემოღების საკითხი. ამიტომ დღის წესრიგში დადგა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ანაზღაურების საკითხიც.

კრების დადგენილების პროექტი:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ხელფასი განისაზღვროს კრების მიერ რეკომენდირებული ოდენობით.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით:

დაკმაყოფილდეს ბატონი [illegible] განცხადება სს „საქართველოს ბანკის" სარევიზიო კომისიის შემადგენლობიდან მისი გამოსვლის შესახებ;
დაკმაყოფილდეს ბატონი [illegible] განცხადება სს „საქართველოს ბანკის" სარევიზიო კომისიის შემადგენლობიდან მისი გამოსვლის შესახებ;
სს "საქართველოს ბანკის" სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნას ქალბატონი [illegible];
სს "საქართველოს ბანკის" სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნას ბ-ნი [illegible].

დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით:

1. სს „საქართველოს ბანკის" სარევიზიო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების ანაზღაურება განისაზღვროს კრების მიერ რეკომენდირებული ოდენობით.

დამატებითი ინფორმაციისა და რეკომენდაციებისათვის დაინტერესებულმა აქციონერებმა უნდა მიმართონ ს.ს. "საქართველოს ბანკის" მმართველთა საბჭოს შემდეგ მისამართზე: საქართველო,თბილისი, 0105,პუშკინის ქ. № 3.

აქციონერთა საერთო კრებისათვის აქციონერთა რეგისტრაცია დაიწყება 17 საათიდან.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება გაიმართება სს "საქართველოს ბანკის" სათაო ოფისში,საქართველო,თბილისი,0105,პუშკინის ქ. № 3

"ანგარიშვალდებული საწარმოს აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შეტყობინების, გამოქვეყნებისა და აქციონერთათვის მისაწვდომი დოკუმენტების პროცედურების შესახებ" წესების შესაბამისად აქციონერთა საერთო კრების საალრიცხვო დღედ დადგენილია 2004 წლის 15 ნოემბერი.

აქციონერთა კრებაში მონაწილეობის უფლება შეიძლება გადამოწმებულ იქნას მიმდინარე წლის ნოემბრიდან სს "საქართველოს ბანკის" აქციების რეგისტრატორთან – შპს "რეგისტრში",შემდეგ მისამართზე: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 74 ა.

# დაძაბული მოლოდინი

## და მრავალათასიანი პროტესტის ფონზე "გამარჯვებული" კანდიდატისათვის გაგზავნილი მილოცვები

ხათუნა ბაბიევი

არჩევნების ორი ტურის ჩატარების შემდეგ რის ვაი-ვაგლახით პრეზიდენტად გამოცხადებული ვიქტორ იანუკოვიჩი უკვე მილოცვებს იღებს ყოფილი მოძმე სოციალისტური რესპუბლიკების ლიდერებისაგან. თუ ცსკო-ს მიერ შედეგების ოფიციალურ გამოცხადებას არ დაელოდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი და ისე მიულოცა უკრაინელ თანამოაზრესა და ერთგულ იანუკოვიჩს, შედეგების გამოცხადების შემდეგ მილოცვებმა არ დააყოვნა სომხეთიდან, ყაზახეთიდან და უზბეკეთიდან. მილოცვა იანუკოვიჩმა რუსეთის ფედერაციიდან პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დმიტრი მედვედევისგანაც მიიღო. პუტინის ხელმეორე ოფიციალურ მილოცვაში კი ნათქვამია: "უკრაინელმა ხალხმა გააკეთა თავისი არჩევანი სტაბილურობის, სახელმწიფოებრიობის გაძლიერების, დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების სასარგებლოდ. ახლა ყველაზე ხელსაყრელი პირობებია რუსეთ-უკრაინის ურთიერთობების აბსოლუტურად ახალ სტრატეგიული თანამშრომლობის სიბრტყეზე გადასატანად. ჩვენი სახელმწიფოების მოქალაქეები, რომლებიც ისოტრიულადაც დაკავშირებული არიან ერთმანეთთან, კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ჩვენი ძალების გაერთიანებით ჩვენ შევძლებთ, ბევრი რამ გავაკეთოთ ევროპული და საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერებისა და ერთიანი განვითარებული ევროპის მშენებლობისათვის". ჰააგაში სამიტის შედეგ გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის მმართველმა ევროპელ კოლეგებს უკრაინის მასობრივი არეულობისაკენ წაქეზებისაგან თავის შეკავება მოსთხოვა.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ჯეკ სთროს განცხადებით, დიდი ბრიტანეთი არ ცნობს უკრაინის ცესკო-ს ოფიციალურ შედეგებს. "ვეყრდნობით რა ევროკავშირისა და ეუთო-ს შეფასებებს, შედეგებს არაკანონიერად მივიჩნევთ მანამდე, სანამ არ დასრულდება ყველა სამართლებრივი პროცედურა,"- განაცხადა მინისტრმა. ზემოაღნიშნული პოსტსაბჭოთა სახელმწიფო მეთაურების შემართებას არ იზიარებენ არც აშშ-ში. სამართლებრივი ანალიზისა და პოლიტიკური რისკების კვლევის ცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ცნობილმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა ზბიგნევ ბჟეჟინსკიმ გამარჯვება, როგორც სახალხო პრეზიდენტს, ვიქტორ იუშენკოს მიულოცა. პოლიტოლოგის თქმით, იგი უკვე შეხვდა როგორც აშშ-ს, ასევე ევროკავშირის ზოგიერთ მაღალჩინოსანს და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა უკრაინელმა ხალხმა გაიმარჯვოს.

უკრაინას ეწვია პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტიც, "სოლიდარნოსტის" ლიდერი ლეხ ვალენსა. იგი კიევში მოქმედ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებებზე მედიატორის ფუნქციით ჩავიდა. ლეხ ვალენსა უკრაინაში ვითარების რეგულირებისათვის სრული უფლებამოსილებით ეუთო-მ აღჭურვა.


უკრაინა კვლავ ქუჩაშია.

ოპოზიციის ლიდერმა და ერთ-ერთმა საპრეზიდენტო კანდიდატმა ვიქტორ იუშენკომ თანამოაზრეებთან ერთად უკვე მიმართა უკრაინის უმაღლეს სასამართლოს სარჩელით, გადაიხედოს გაყალბებული არჩევნების შედეგები. სახალხო დეპუტატის იური კლიუჩკოვსკის განცხადებით, ისინი ბოლომდე იბრძოლებენ და თუ საჭირო გახდა, უმაღლესი სასამართლოს შემდეგ საერთაშორისო ინსტიტუტებსაც მიმართავენ.

გაყალბებულ არჩევნებს მიეძღვნა გუშინ "არჩევნების დამკვირვებელთა ორგანიზაციის ევროპული ქსელის" მიერ გამართული პრესკონფერენციაც, სადაც არჩევნებზე დაფიქსირებული უამრავი დარღვევის ფაქტების შესახებ ისაუბრეს, განსაკუთრებით ეს ეხებოდა დონეცკსა და ლუგანსკის ოლქებს, სადაც არჩევნების მსვლელობას 125 დამკვირვებელი აკვირდებოდა.

უკრაინის მოქალაქეთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ლიგამ უკრაინის უმაღლეს რადას "ნაშა უკრაინასა" და "ბატკივშინას" ფრაქციებს მიმართა წინადადებით, ჩაატარონ რეფერენდუმი საარჩევნო შედეგებთან დაკავშირებით. ორგანიზაციის წარმომადგენლის ედუარდ ბაგიროვის განცხადებით, "ხელისუფლებამ გააყალბა არჩევნები და ახლა ოლიგარქებისა და ბანდიტების მეშვეობით მართვის სადავეების მომავალში შენარჩუნებას ცდილობს". ბაგიროვი დარწმუნებულია, რომ უკრაინის მოქალაქეები მხარს დაუჭერენ რეფერენდუმის ჩატარებას.

საყოველთაო მოწოდებით გამოვიდა უკრაინის ახალგაზრდა იურისტთა ეროვნული კავშირიც. "ჩვენ მივმართავთ უცხოეთის ქვეყნების ხელისუფლებებს, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მოწოდებით, იმოქმედონ მხოლოდ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, რომელიც უკრაინის ნაციონალური კანონმდებლობის ნაწილსაც შეადგენს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უკრაინელ მოქალაქეთა უფლებები უხეშად დაირღვა, რასაც ქუჩებში კონსტიტუციური უფლებით მინიჭებული პროტესტიც მოწმობს,"- ნათქვამია მიმართვაში.

გუშინვე იუშენკოს მომხრეები პროფკავშირების სახლში შეიჭრნენ და პროფკავშირების ფედერაციის მოქმედი ხელმძღვანელი ალექსანდრ სტოიანი "უკრაინელი ხალხის ღალატისათვის" არალეგიტიმურად გამოაცხადეს. პროფკავშირების მოძრაობის ლიდერად მათ მიხაილ ვოლინცა დაასრულეს.

არ ეთმობათ "მოპოვებული" გამარჯვება კუჩმას მემკვიდრე იანუკოვიჩის მომხრეებს. იანუკოვიჩის ცენტრალური საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის სერგეი ტიგიპკოს განცხადებით, არავითარი საფუძველი არ არსებობს არჩევნების შედეგების ნაწილობრივი თუ მთლიანი გადახედვისათვის. "არჩევნები შედგა, ის ცესკო-მ ცნო და გამოიტანა უკანასკნელი გადაწყვეტილება. არავინ, თვით უმაღლესი სასამართლო არაა უფლებამოსილი იგი შეცვალოს. "უკრაინის პრეზიდენტის არჩევის შესახებ" კანონი უმაღლეს რადაში ოპოზიციის წინადადებით იქნა მიღებული და მას ხმა 400 დეპუტატმა მისცა. ამდენად, არავითარი იურიდიული საფუძველი მისი შეცვლისა უმაღლეს სასამართლოს არ გააჩნია,"- აღნიშნა მან.

ვიქტორ იუშენეკოს განცხადებით კი არ მოხდება ხალხის ნების უგულებელყოფა. "არავითარ ინაუგურაციაზე არ შეიძლება იყოს საუბარი, როცა ქუჩაში სამართლიანობის მოთხოვნით 300 000 ადამიანია გამოსული. მე არავის ვურჩევ ინაუგურაციის ჩატარებას,"- განაცხადა თავისუფლების მოედანზე მრავალათასიან მიტინგზე სიტყვით გამოსვლისას "ნარინჯისფერთა" ლიდერმა. ოფიციალურად კი ინაუგურაციის ცერემონიალი დაგეგმილია ხუთშაბათს სასახლეში "უკრაინა".

გუშინ ვრცელდებოდა ინფორმაცია კიევში რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმების მობილიზების შესახებ, რაც უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, სინამდვილეს არ შეესაბამება. ასეთ განცხადებებს სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, ზოგიერთი საინფორმაციო საშუალება და პოლიტიკოსთა გარკვეული ჯგუფი ავრცელებდა. როგორც უკრაინის შსს-ის საზოგადოებასთან ურთიერთოების დეპარტამენტი აცხადებდა, მათ საკმარისი რესურსი გააჩნიათ საჭიროების შემთხვევაში ამოქმედებისათვის. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გუშინვე მილიციელთა ნაწილი ოპოზიციის მხარეს გადავიდა და მომიტინგეებს შეუერთდა.

# დემოკრატია უკრაინაში - გრძელვადიანი პერსპექტივა თუ ახლო მომავალი?

დიდი ბრიტანეთის გაზეთები კვლავაც კიევის ფოტოებითაა აჭრელებული. როგორც ჩანს, ბრიტანელ მკითხველზე მართლაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს კიევში, ყინვასა და თოვლში, დამოუკიდებლობის მოედანზე მყოფი ათასობით ხალხის ყოფნა.

კონსერვატული გაზეთის "დეილი ტელეგრაფი"-ის მიხედვით "საბჭოთა კავშირის ფერფლზე იმპერიის აღდგენის კრემლისეულ გეგმებზე სწორედ ასეთი ქუჩის დემოკრატია მოქმედებს მომაკვდინებლად".

"გარდიან"-ის მიმომხილველი საიმონ ტისდალი კი წერს, რომ "უკრაინულმა კრიზისმა რუსეთსა და გაყოფილ ევროკავშირს შორის ურთიერთობების დაძაბვა გამოიწვია. ევროკავშირი ვერ წყვეტს, როგორ მოიქცეს ამ ვითარებაში. უკრაინაში არჩევნების დისკრედიტირების ოთხი დღის შემდეგაც გრძელდება მსოფლიოში გეოპოლიტიკური დარტყმების ტალღა. უკრაინა "ცივი ომის" შემდგომ მიღწეულ კონსენსუსს არყევს". გაზეთი, ასევე, ამახვილებს ყურადღებას ევროკავშირის 10 ქვეყნის (სკანდინავიური, ბალტიისა და აღმოსავლეთევროპული ქვეყნები) ოქტომბრის შეხვედრაზეც, სადაც განხილვის თემას "პრეზიდენტ პუტინისადმი უფრო მკვეთრი პოზიციის" შემუშავება წარმოადგენდა. თუმცა, "გარდიანი" მიიჩნევს, რომ დასავლეთევროპული ქვეყნების ლიდერებს აშკარად არ სურთ პრეზიდენტ პუტინის გაღიზიანება. "უკრაინაში გაყალბებულ არჩევნებზე მეტად ევროკავშირის ძირითად მოთამაშეებს ხანგრძლივი კრიზისი უფრო აღელვებთ, რომელმაც გავლენა შესაძლოა, რუსეთთან თანამშრომლობაზეც (დაწყებული ვაჭრობითა და ტერორიზმით დამთავრებული ირანის, ჩრდილოეთი კორეის საკითხებითა და ისრაელ-პალესტინის კონფლიქტით) იქონიოს,"- აღნიშნავს გაზეთი.

"დეილი ტელეგრაფ"-ის შეფასებით მისასალმებელია ის ფაქტი, რომ უკრაინის ორივე ბანაკი თავისი უცხოელი მომხრეებითურთ, როგორც ჩანს, კომპრომისისაკენ იხრება. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს პუტინისა და შრიოდერის სატელეფონო საუბრის მნიშვნელობას, სადაც ორი ქვეყნის ლიდერმა შექმნილი ვითარების კანონიერი ხერხებით გადაჭრის სურვილი გამოთქვა. გარდა ამისა, გაზეთი დადებითად აფასებს როგორც ვიქტორ იუშენკოს გადაწყვეტილებას, როცა მან არ დაუშვა თავისი მომხრეების მხრიდან ძალადობა, ასევე ხელისუფლების ბრძნულ გადაწყვეტილებას, თავი შეეკავებინათ ძალისმიერი ქმედებებისაგან. გაიცემა თუ არა კიდევ ერთი ევროპული "ხავერდოვანი რევოლუციის" გვირგვინი, სვამს კითხვას "გარდიანი". ბრიტანეთის ლიბერალური გაზეთის თანახმად, ამჟამად არა მარტო უკრაინის ბედი წყდება, არამედ საქმე რუსეთის და მთლიანად ევრაზიის მომავალსაც ეხება.

"რუსეთი, რომელიც კვლავ თავის კონტროლს დაუქვემდებარებს ბელორუსსა და უკრაინას, ხელახლა გახდება იმპერიალისტური, პუტინის სურვილის შესაბამისად. რუსეთს, რომელიც მშვიდად მიიღებს უკრაინის ევროპისა და საერთოდ დასავლეთისაკენ სწრაფვას, თვითონ აქვს შანსი, გახდეს გაცილებით ნორმალური, ლიბერალური, დემოკრატიული ერი და სახელმწიფო. თუმცა, ამჟამად, პუტინის მმართველობის დროს, რუსეთს განსხვავებული ტრაექტორია აქვს, თანაც დასავლელი ლიდერები ამას აქამდე ნაკლებად აკვირდებოდნენ", -წერს "გარდიან"-ის მიმომხილველი ტიმოთი გარტონ ეში.

"ფაინენშლ თაიმს"-ის თანახმად, იანუკოვიჩის მოგება ევროკავშირისათვის მეტი სიმშვიდის მომგვრელი უნდა ყოფილიყო, ვიდრე იუშენკოსი. ევროპული სახელმწიფოების უმრავლესობას ურჩევნია არ გამოიწვიონ პუტინის განრისხება. მით უფრო, რომ ევროკავშირს უკრაინის მიღება თავის სივრცეში, სულ მცირე, მომავალი 20 წლის განმავლობაში არ შეუძლია. "უკრაინელებისათვის მკაცრი რეალობა იმაში მდგომარეობს, რომ თვითონ მოუხდებათ დამოუკიდებლად თავისი პოზიციების დაცვა. ყველაზე მეტი, რისი გაკეთებაც ევროპასა და აშშ-ს შეუძლია ისაა, რომ აიძულონ პუტინი, უკან დაიხიოს. თუმცა, ეს არც ისე ადვილი იქნება", - წერს "ფაინენშლ თაიმსი". სარედაქციო სტატიაში კი გავლენიანი გაზეთი მიუთითებს, რომ ევროკავშირი-რუსეთის სამიტზე ევროკავშირს უნდა ახსოვდეს, რომ უკრაინა მისთვის ისეთივე ახლო საზღვარგარეთია, როგორიც რუსეთისათვის. ბრიუსელმა არამარტო უნდა დაიცვას ევროპაში დემოკრატიული ცვლილებები, არამედ ნათლად უნდა მიანიშნოს, რომ არც რუსეთს და არც ნებისმიერ სხვას არ უნდა ხელეწიფებოდეს ევროკავშირის საზღვრებთან არასტაბილური გარემოს შექმნა.

ფრანგული გაზეთის "ფიგარო"-ს თანახმად, უკრაინაში საზოგადოების ორად გაყოფა მხოლოდ არჩევნების გაყალბებას არ გამოუწვევია, უფრო ღრმად არსებული მიზეზი თვითონ უკრაინულ იდენტურობაშია სადიებელი. "უკრაინა რეალურად არ არსებობს. ამ სიტყვას, რომელიც "პერიფერიას" აღნიშნავს, უპირატესობას უკიდურესად რუსი ნაციონალისტები ანიჭებენ, ხოლო ქვეყნის გაცილებით ტრადიციული აღნიშვნა "მალორუსია" დავიწყებასაა მიცემული, მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელწოდება უფრო სწორია. ეს სახელწოდება უხერხული ეჩვენება მათ, ვისაც ავიწყდება, რომ რუსეთის ისტორია კიევში იწყება და არა ჩრდილოეთში. უხერხულობის განცდას ემატება ისიც, რომ უკრაინული იდენტურობა მცირე ლინგვისტური განსხვავებით რუსული იდენტურობის ვარიანტია." თუმცა, არც ისტორია და არც გეოგრაფიული სტაბილურობის არქონა ბარიერი არ შეიძლება იყოს, თუ ქვეყანას აქვს სურვილი, შეუერთდეს ამა თუ იმ ისტორიულ თუ კულტურულ პროექტს, მიიჩნევს გაზეთი. გალიციიდან, დასავლეთ უკრაინიდან წარმოშობით იუშენკო თუ პროდასავლურია და ეკონომიკური რეფორმების გატარების აუცილებლობაში ეჭვი არ ეპარება, მისი მეტოქე იანუკოვიჩი, წარმოშობით დნეპროპეტროვსკიდან, ისევე, როგორც კუჩმა, ავტორიტარული სოციალისტი-რუსოფილების ტიპური წარმომადგენელია. ამდენად, სახეზე არსებული ფრონტალური დაპირისპირება შესაძლოა, ახალი გაფართოებული ევროპისა და ახალი პუტინისეული რუსეთის დაპირისპირებაში გადაიზარდოს, თუ გარკვეული ზომები არ იქნა მიღებული, მიიჩნევს "ფიგარო". და თუკი ავტორიტარული ცენტრიზმია გამეფებული მოსკოვში, ხოლო ბელორუსში ლუკაშენკოს პოსტკომუნისტური ფაშიზმია გაბატონებული, სავსებით გასაგები ხდება, რომ მავანს კიევსა და ოდესაში ლიბერალური დემოკრატიის დამკვიდრების მცდელობის აღკვეთა სურს - მიიჩნევს ფრანგული გაზეთი. "უკრაინის ამჟამინდელი მდგომარეობა შესანიშნავი ამოცანაა ევროპისათვის, დაეხმაროს პუტინსა და უკრაინის კრიზისის ყველა პროტაგონისტს, მონახონ კომპრომისი. საუბედუროდ, ევროპა არაფერს აკეთებს მაშინ, როცა მოსკოვში, კიევსა და ლვოვში ხელისუფლებას "მკვდარი სულები" ეპატრონებიან. თუკი მომაკვდინებელი ინერტულობა გამარჯვებული აღმოჩნდება, ბალკანეთის 90-იანი წლების ომი უეჭველად მანიშნებელი აღმოჩნდება კიდევ უფრო დიდი და სისხლიანი ტრაგედიისა,"- წერს "ფიგარო" დასკვნის სახით.

იტალიური გაზეთის "რეპუბლიკა"-ს თანახმად, კიევის მღელვარება ააშკარავებს იმ ფაქტს, რომ მოსკოვი და დასავლეთის დედაქალაქები ჯერ კიდევ არ იზიარებენ ერთურთის პოზიციებს მრავალ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. უკრაინის საკითხთან მიმართებაში რუსეთისა და დასავლეთევროპული სახელმწიფოების ჭიდილს იტალიური გაზეთი "თოკის გადაქაჩვას" ადარებს. დღემდე რუსეთსა და ნატო-ევროკავშირის ქამარს შორის მყოფ უკრაინაზე გავლენის მოპოვებისათვის "თოკის გადაქაჩვა" ყველა საშუალებით ხდებოდა. დაინტერესებული მხარეები იყენებდნენ არა მარტო დიპლომატიურ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საშუალებებს, არამედ არ ერიდებოდნენ სხვა ზომების მიღებასაც. კიევი უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც იმ ქალაქს წარმოადგენდა, სადაც ყველაზე მეტი აგენტი საქმიანობდა, როგორც აღმოსავლეთიდან, ისე დასავლეთ სამყაროდან.

ამდენად, ასეთი გაზრდილი ფსონების ფონზე, რთული წარმოსადგენი არაა მოსკოვის სამხედრო ისტებლიშმენტის განწყობა, გენერალთა გუნდისა, რომელთა ნაწილიც მართალია დღეს უმუშევარია, მაგრამ მაინც აქვს შენარჩუნებული კრემლზე გავლენა. ბოლოს და ბოლოს, პუტინიც ხომ არასოდეს ივიწყებს იმის შეხსენებას, რომ დღეს თუ რუსეთი აღარ წარმოადგენს ზესახელმწიფოს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი საკუთარ საზღვრებთან სტრატეგიული სურათის შეცვლას დაუშვებს. ის, ვინც შეძლებს საკუთარი ძლიერების დამტკიცებას, დიდად განსაზღვრავს იმასაც, კიდევ დიდხანს მოუწევს თუ არა უკრაინას ნანატრი დემოკრატიის ლოდინი.

# ახალი ევროპული განხეთქილება

*რუსეთი და ევროკავშირი, შემდგომი წლების მანძილზე, მათ შორის მდებარე ქვეყნებისათვის ბრძოლას და სხვა საკითხებზე კამათს კიდევ დიდ დროს დაუთმობენ.*

ხუთშაბათს ჰააგაში ევროკავშირისა და რუსეთის ლიდერები სამიტზე შეიკრიბნენ. ორი კვირის წინ დანიშნული სამიტი იმის გამო გადაიდო, რომ იმ მომენტისათვის ევროკავშირის ახალი შემადგენლობა დამტკიცებული არ გახლდათ. გამორიცხული არაა, რომ სამიტის დღევანდელ მონაწილეებს გული სწყდებოდეთ, რომ შეხვედრა 11 ნოემბერს არ გაიმართა, როგორც ეს დაგეგმილი იყო. მას შემდეგ, უკრაინის სკანდალური საპრეზიდენტო არჩევნების გამო, მოსკოვსა და ევროკავშირს შორის არსებული რთული ურთიერთობები კიდევ უფრო დაიძაბა. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა იჩქარა და გამარჯვება მიულოცა ვიქტორ იანუკოვიჩს, რომელიც მოსკოვთან კავშირების გამყარების მომხრეა. ევროკავშირმა კი პირიქით, შეშფოთება გამოთქვა მასობრივი გაყალბებების გამო, რასაც პროდასავლური კანდიდატის ვიქტორ იუშენკოსათვის პრეზიდენტობის წართმევა შეუძლია.

ევროკავშირი-რუსეთის სამიტი ოთხი "საერთო სივრცის" ბაზაზე კავშირების გამყარებისაკენ არის მიმართული. ეს გახლავთ ეკონომიკა, სასამართლო და ადამიანის უფლებები, განათლება და მეცნიერება, შიდა და საგარეო უსაფრთხოება. როგორც უკრაინასთან დაპირისპირება ცხადყოფს, უკანასკნელი "სივრცე" ყველაზე რთულია. ის, რასაც ევროკავშირი "საერთო მეზობლებს", ხოლო რუსეთი "ახლო საზღვარგარეთს" უწოდებს – უკრაინა, ბელორუსი, მოლდოვა, საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი – საკმაოდ არაკეთილმეზობლური სკანდალის საგნად იქცა.

რუსეთი და ევროკავშირი ამ რეგიონის გამო არაერთხელ ეჯახებიან ერთმანეთს. როდესაც, არცთუ დიდი ხნის წინ ალექსანდრ ლუკაშენკომ ბელორუსში რეფერენდუმი "მოიგო", რომელიც პრეზიდენტის პოსტზე მის განუსაზღვრელი ვადით დარჩენას უზრუნველყოფს, მოსკოვმა დიქტატორს მიულოცა, ხოლო ბრიუსელმა მწვავე პროტესტი გამოთქვა და ლუკაშენკოს რეჟიმის წინააღმდეგ სანქციები გაამკაცრა.

სამაგიეროდ, უკრაინა ის არეალია, სადაც რუსეთსა და ევროკავშირს შორის გავლენისათვის ბრძოლის მთავარი საომარი ქმედებები მიმდინარეობს. ის სიდიდით საფრანგეთს აღემატება, ხოლო მისი მოსახლეობა 50 მილიონამდეა. ის ერთდროულად ესაზღვრება ქვეყნებს, რომლებიც ახლახან ევროკავშირის წევრები გახდნენ და მის ყოფილ "უფროს ძმას" – რუსეთს. სწორედ ამიტომ, უკრაინის გამო მიმდინარე სიტყვიერი ბატალიები ბევრის მიერ, 1999 წლის კოსოვოს კონფლიქტის, ან შესაძლოა, ცივი ომის დასრულების შემდეგაც კი, რუსეთსა და დასავლეთს შორის ყველაზე სერიოზულ შეტაკებად განიხილება.

რუსეთი მხარს უჭერდა აღმოსავლური ორიენტაციის კანდიდატ იანუკოვიჩს, რადგან მას უკრაინის სახით მოკავშირის დაკარგვის ეშინია, რომელიც მან "დობილი-რესპუბლიკის" სახით უკვე დაკარგა. როგორც რუსმა პოლიტოლოგმა ლილია შევცოვამ გაზეთ Financial Times-თან ინტერვიუში განაცხადა, "რუსეთს უკრაინის დაკარგვასთან დაკავშირებით ფანტომური ტკივილები ჯერაც აწუხებს, როგორც პაციენტს, რომელსაც ფეხი მოკვეთეს".

მოსკოვმა, როგორც ჩანს, საკმაოდ ბევრჯერ ნახა, თუ როგორ მცირდებოდა მისი გავლენის სფერო 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. მისი მეზობლები სოციალისტური ბანაკიდან ერთი მეორეს მიყოლებით ნატო-ში შედიან, წლის დასაწყისში კი, მთელი ჯგუფი ასეთი ქვეყნებისა, მათ შორის სამი საბჭოთა რესპუბლიკა, ევროკავშირში გაწევრიანდა.

სულ მალე მათ რუმინეთი და ბულგარეთი შეუერთდებიან. ევროკავშირის ახალმა წევრებმა რუსეთიდან ჩამოსულთათვის სავიზო რეჟიმი უკვე


ჰააგაში სამიტზე რუსეთი რთული მოლაპარაკებების წინაშე დადგა.

გაამკაცრეს და ზოგიერთი რუსული საქონლისათვის საზღვრები ჩაკეტეს. ყველაფერმა ამან რუსეთს თავისი სისუსტე აგრძნობინა, რაც ნიშნავს, რომ ის მეზობელ ქვეყნებში მუსკულების დემონსტრირებას სულ უფრო შეეცდება.

მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვს უკრაინაში დასავლეთის გავლენა ძლიერ აშფოთებს, რეალური შანსები იმისა, რომ უკრაინას ევროკავშირში უახლოეს მომავალში მიიწვევენ, არცთუ დიდია. ევროკავშირი ქვეყნის ტერიტორიაზე (როგორც ბელორუსში) დემორკატიისა და ადამიანის უფლებების გაუმჯობესებას განაგრძობს, მაგრამ მთლიანობაში უკრაინის მიმართ ევროკავშირის პოლიტიკა არათანმიმდევრულია. ეს აისახება შიდა წინააღმდეგობებში, რაც მაისში ევროკავშირის რიგებში ყოფილი აღმოსავლური ბლოკის ქვეყნების შესვლის შემდეგ უფრო აშკარა გახდა.

პოლონეთს - ყველაზე დიდ ქვეყანას, რომელიც ახლახან ევროკავშირის წევრი გახდა, უკრაინასთან მჭიდრო კავშირები აქვს. დასავლეთ უკრაინა, ერთ დროს, პოლონეთის ნაწილი იყო, რომელიც ავსტრო-უნგრეთის იმპერიიდან გამოვიდა, ხოლო უკრაინის ზოგიერთი ოლქი მის შემადგენლობაში მხოლოდ 1945 წელს შევიდა. პოლონეთი უკრაინისათვის (მოგვიანებით კი ბელორუსისთვისაც) სპეციალური სტატუსის მინიჭების საკითხს ინტენსიურად ლობირებს, რაც დროთა განმავლობაში მის ევროკავშირის წევრად გახდომას შეუწყობდა ხელს. პოლონელთა აზრით, რაც მეტ უარს ეტყვის ევროკავშირი ამ ქვეყნებს, მით უფრო იზრდება მათი დაკარგვის შანსები.

თუმცაღა, ევროკავშირის წევრი ქვეყნები, რომლებიც უკრაინისაგან შორს მდებარეობენ, უფრო მეტად რუსეთთან ორმხრივი ურთიერთობების დამყარებით არიან დაკავებული. მეტიც, ისინი მიიჩნევენ, რომ უფრო უპრიანი იქნებოდა იმ ქვეყნებზე კონცენტრირება, რომელთა ევროკავშირში შესვლაც უახლოეს მომავალშია დაგეგმილი. ეს არა მარტო რუმინეთსა და ბულგარეთს, არამედ თურქეთსაც ეხება, რომელიც რიგით მომდევნო დგას. ისინი დაჟინებით ირწმუნებიან, რომ ევროკავშირს უახლოეს მომავალში დიდი და ღარიბი ქვეყნის მიღება არ შეუძლია.

ამგვარად, პოლონეთის ლობირების მიუხედავად, უკრაინის ევროკავშირში მიღებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე კონსენსუსის მიღწევა ვერ მოხერხდა. თანხმობა არ არსებობს საქართველოსთან დაკავშირებითაც, სადაც ერთი წლის წინ მომხდარმა "ვარდების რევოლუციამ" ხელისუფლებაში პროდასავლური მიხეილ სააკაშვილის მთავრობა მოიყვანა და რომელიც უდიდესი სიხარულით გახდებოდა ბრიუსელის ჯგუფის წევრი.

### სხვა ბატალიები

უკრაინისათვის ბრძოლა იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობებმა პოსტ-საბჭოთა პერიოდის სიღრმეებს მიაღწია. მართლაც, მხარეებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს ეკონომიკური კავშირები: რუსეთის ექსპორტის ნახევარზე ოდნავ მეტი აწ უკვე გაფართოებულ ევროკავშირში გადის, რომელიც, თავის მხრივ, რუსეთის ნავთობსა და გაზზეა დამოკიდებული.

სამაგიეროდ, პოლიტიკურ დონეზე ნდობა ნელ-ნელა ქრება. ბრიუსელი შეშფოთებულია იმით, რომ, როგორც წლის დასაწყისში მიღებულ ევროკომისიის დოკუმენტშია ნათქვამი, რუსეთის ზოგიერთი ქმედება "საერთო და ევროპულ ფასეულობებს ეწინააღმდეგება". ევროკავშირს აფიქრებს რუსული დემოკრატია, უფრო სწორედ კი მისი არარსებობა (რაც ოპოზიციის სისუსტისა და არჩევნების დროს დაშვებული დარღვევების ბრალია) და აშფოთებს, რომ პოლიტიკური რეფორმები, რომელიც ბესლანის ტრაგედიის ტალღაზე დაიწყო, რეალურად დიქტატურისაკენ გადახრას გულისხმობს. ევროკავშირის ახალი წევრები ცენტრალური ევროპიდან მოუწოდებენ მოსკოვთან მიმართებაში მკვეთრი პოზიციის გატარებას: მათ თავიანთი ყოფილი მბრძანებლის დამარცხებულად და დაშოშმინებულად ხილვა სურთ.

რუსეთი კი, თავის მხრივ, ჩივის, რომ მას გემბანს მიღმა ტოვებენ. ის უკმაყოფილოა, რომ მრავალი საკითხის მიმართ ევროკავშირის პოზიციის საქმის კურსში არ აყენებენ, დაწყებული ემიგრაციიდან, დამთავრებული ნარკოტიკების გავრცელებით. ამ პრობლემებთან ევროკავშირის დამოკიდებულების შესახებ რუსეთი მხოლოდ მაშინ იგებს, როდესაც რაიმე გავლენის მოხდენა უკვე საკმაოდ გვიანია.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ისედაც სარგებლობს ევროკავშირის განსაკუთრებული დამოკიდებულებით (რაც რეგულარულად, წელიწადში ორჯერ მიმდინარე რუსეთ-ევროკავშირის სამიტში გამოიახატება), მას სურს, რომ შეიქმნას ერთობლივი ინსტიტუტები, რომელიც რუსეთს სხდომათა დარბაზში გამოჩენის შესაძლებლობას მისცემდა. გარდა ამისა, რუსეთი ფიქრობს, რომ ევროპის მთავრობებს ქვეყნის შიდა პრობლემების მიმართ უფრო მეტი გაგებით მოპყრობა შეეძლოთ: რუსეთის ხელისუფლება ერთგვარად გაცოფდა, როდესაც ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრმა ის ბესლანში სამაშველო ოპერაციის ცუდად ჩატარებაში დაადანაშაულა.

იზრდება აღშფოთება იმის გამოც, რომ ევროკავშირის ზოგიერთი წარმომადგენელი რუსეთის ინტერესებს მისგან დასავლეთით მდებარე ქვეყნებში, როგორიც უკრაინაა, საშიშს უწოდებს. რუსი მიმომხილველები უკვე ბრიუსელის "რუსოფობიაზეც" კი საუბრობენ.

შედეგად, რუსეთს კვლავ რთული მოლაპარაკებების წარმოება უწევს. ის მეგობრულ ურთიერთობებში იმდენად დაინტერესებული არ არის, როგორც კომერციულ და დიპლომატიურ მიღწევებში. რუსეთმა კიოტოს პროტოკოლის რატიფიცირებით ბრიუსელის გულის მოგება შეძლო, მაგრამ ეს მხოლოდ მას შემდეგ გააკეთა, როდესაც ევროკავშირი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში მის შესვლას დათანხმდა.

თუ ამჯერად, ევროკავშირის დახმარებით რუსეთი უკრაინაში თავის ამბიციებს გაანელებს, ამას შედეგად შეიძლება მოჰყვეს ის, რომ მოსკოვი თავის პოზიციებს როგორც პოლიტიკაში, ისე ეკონომიკაში, უფრო მტკიცედ დაიცავს.

# ძალადობა ოჯახში - კერძო თუ საზოგადოებრივი პრობლემა?



ფსიქოლოგების მტკიცებით, ოჯახურ ძალადობას აქვს სხვა ადამიანებზე ზემოქმედებისა და განვრცობის ტენდეცია, რაც უკვე აგრესიისა და ძალადობის ციკლის მიზეზი ხდება.

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*ფსიქოლოგიური მრგვალი წრე კავშირ "საფარში" გუშინ, ჟურნალისტებისთვის შეიკრა. ოჯახში ძალადობის თემაზე და აგრესიის ციკლზე "საფარის" ფსიქოლოგები, ფსიქოთერაპევტები და ექიმები საუბრობდნენ. "ისეთი დელიკატური თემა, როგორიცაა "ძალადობა ოჯახში", კიდევ ერთხელ საჭიროებს იმის განმარტებას, თუ რა პრობლემები გვაქვს მედიასთან ურთიერთობაში", - ასე დაიწყო ჟურნალისტებთან საუბარი "საფარის" დირექტორმა, ფსიქოთერაპევტმა ნინო მახაშვილმა. წამოჭრილი პრობლემა და სემინარი, მართლაც, პრობლემატური და მნიშვნელოვანი იყო.*

ნანა ბასილაშვილი

საქართველოში ოჯახში ძალადობის პრობლემის წარმოჩენა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაცია "საფარის" საერთო მიზანს წარმოადგენს. ამ საქმეს კავშირის წევრები, ოფიციალურად, უკვე ოთხი წელიწადია, ემსახურებიან. ამ ხნის განმავლობაში ისინი უამრავი მძიმე ოჯახური შემთხვევის მომსწრენი, ხშირად უშუალო მონაწილენი გამხდარან. ჩვენში ხშირად იტყვიან ხოლმე "ცოლ-ქმრის ჩხუბი სულელს მართალი ეგონაო". დიახ, ოჯახური დრამები საქართველოში, რატომღაც, ტაბუირებული თემაა. არადა, ოჯახში ძალადობის ფენომენი მხოლოდ ერთი ოჯახის პრობლემა, კერძო მოვლენა როდია. ფსიქოლოგების მტკიცებით, ამ პრობლემას აქვს სხვა ადამიანებზე ზემოქმედებისა და განვრცობის ტენდეცია, რაც უკვე აგრესიისა და ძალადობის ციკლის მიზეზი ხდება.

სწორედ ოჯახში ძალადობისა და აგრესიის ერთ-ერთი ფორმის - ზემზრუნველობის (რასაც ფსიქოლოგები შეფარული ძალადობის გამოვლინებას უწოდებენ) შედეგია ბოლო ათწლეულში თბილისში გავრცელებული საკუთარი დედის გინების დამკვიდრება.

"სემინარზე წამოჭრილ პრობლემას აღრმავებს სოციალურ-ეკონომიკური მიზეზებიც – უმუშევრობა, სიდუხჭირე, პიროვნების სულიერი გაღარიბება. სტრესების, დაძაბულობის, ფრუსტრაციის ფონზე იზრდება აგრესია, ხშირად, ოჯახი ასეთი პრობლემებისაგან განტვირთვის ერთადერთ ასპარეზად გადაიქცევა ხოლმე და ოჯახური ძალადობის შემთხვევაც "მზადაა". ამდენად, ოჯახში ძალადობის პრობლემის გამოკვლევა, შესწავლა და მასთან გამკლავების გზების დასახვა დროის ფუჭად ხარჯვა ნამდვილად არ არის.

ტრენინგ-სემინარზე, "საფარის" წევრები: ფსიქიატრი, ფსიქოთერაპევტი ნინო მახაშვილი, ფსიქოლოგი ნატო ზაზაშვილი, ექიმი-რეპროდუქტოლოგი ნანა ძნელაძე და ფსიქიატრი, ფსიქოთერაპევტი ზურაბ ბებერაშვილი, ჟურნალისტებთან ერთად, სწორედ ამ პრობლემის საზოგადოებამდე მიტანის გზებს ეძებდნენ. ძალადობა ოჯახში და მისი შედეგები, ძალადობა და აგრესია – მათი მიზეზები და მართვა, მასთან გამკლავების გზები, ძალადობა და ბავშვები – ეს ის ძირითადი საკითხებია, რაც გუშინ საერთო მსჯელობის საგნად იქცა. თუ რა შედეგს გამოიღებს ეს შეხვედრა, მომავალში, ალბათ, ყველანი ერთად ვიხილავთ.

წერილები ჩემი გვირაბიდან

## აქ მიწას სტკივა

ვიტალი მიროტაძე
*ჭიათურა*

კაკაბაძის იმერული პეიზაჟები გახსოვს ალბათ: დედის ხელით შეკერილი, დალიანდაგებული, ათასფერადი პაწაწკინტელა ნაჭრით ნაკოწიწევი საბანივით თბილი და საყვარელი. აღარ არის! დაღრღნილ-დაკბეჩილია ჯაყოს დროინდელი "კაპრატივებისაგან" დედამიწა. გაიხედავ, ეზოა, ეზოს აღარ ჰგავს. ალაგედან დაწყებული კარის წირთხლამდე, აზელილ-დაზელილია ერთმანეთში მარგანეცი და მიწა, ქვა და ღორღი. ეზო აღარ უნდა აქაურ გლეხკაცს. როგორ არ უნდა, მაგრამ ფულს შოვნაც უნდა და ოჯახის დღიური ლუკმისათვის ნაწილ-ნაწილ გაჰყიდა კარ-მიდამო. ხვალ-ზეგ საყრდენმორღვეული სახლიც იხუვლებს. მოიშლება ფუძე-ჭერი...

ასეა ძირძველ სოფლებში: ბუნიკაურში, რგანში, მღვიმევში, ხალიფაურში, ყვირილას გაღმა-გამოღმა, მარგანეციან სოფლებში.

აკაკი წერეთელი წერდა, წირქვალურ ხორბალს სხვა სოფელში მოყვანილ ხორბალში არ ვურევდით, შავი ქვის მარცვლები ერია და პურიც შავგვრემანი ცხვებოდაო. გაგეცინება მწარედ. სადღაა აქ ხორბლის მოსაყვანი ადგილები – ხელისგულისოდენაა საყანე, საბოსტნე და სამოსახლოღა შერჩენია გლეხს და იმასაც იმეტებს. რატომ? უკეთ უნდა იცხოვროს დღეს. ხვალ რა იქნება, ამაზე არავინ ფიქრობს.

მილიონები ჩაიყარა მარგანეცის გამამდიდრებელი ქარხნებისაგან გაუბედურებული მდინარე ყვირილას საშველად – აშენდა გამწმენდი, საფილტრი კომპლექსები. უთავჟამობის დროს დაინგრა, გაუბედურდა, გაიყიდა თითქმის ყველა მათგანი ჯართად და აგურად. ისეთი შავია ახლა ყვირილა, არასდროს რომ არ ყოფილა ალბათ. თვით "ჭიათურმანგანუმის" და 100-მდე კოოპერატივის პრიმიტიული სარეცხებიდან ყოველგვარი გაწმენდის გარეშე ჩაედინება ნარეცხი წყალი.

საინტერესო რა არის იცი? თუ არ გვჭირდებოდა, რატომ ვაშენებდით და თუ გვჭირდება, რატომ ვანგრევთ. ალბათ სახვალიო ფიქრი აღარ გვაწუხებს დღეს და იმიტომ. აი, ეგაა ყველაზე დიდი უბედურება – "ხვალემ იფიქროს ხვალისა!"

ხვალ? აღარ იქნება მაყრულივით ტკბილი იმერული ნიავი. იქნება "ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი" და გვიანი იქნება თითზე კბენანი.

აი, ამიტომ ვუფრთხილდები ჩემს პატარა კუნძულს – ხელის გულისოდენა მიწას. ვქსოვ და ვაგვირისტებ, ვხნავ, ვთოხნი და ვთესავ. მინდა, დედის ხელით შეკერილ, მხიარული ფერებით შემკულ საბანს დავამსგავსო. დრო მოვა და შეციებული, დაღლილი, შვებით დავიფარებ. გამათბობს და დამიამებს დაღლას.

**P.S.** არა, არ ვაჭარბებ, ჭიათურის ზონის სოფლები ეკოლოგიური კატასტროფის წინაშეა. მოიცალე, ჩამოდი და შენი თვალით ნახავ.

ფოსტა

## დაგვინიშნეთ კიდევ ერთი ავტობუსი!

*აბაშის, ტაშირის, სენაკისა და სხვა მიმდებარე ქუჩების მცხოვრებლებმა თბილისის მერს და ჩვენს რედაქციას შემდეგი განცხადებით მიმართეს:*

მოგეხსენებათ, ჩვენი და სხვა მრავალი ქუჩის დასაკავშირებლად ვაგზლის მოედნიდან მოძრაობს მხოლოდ ერთი ავტობუსი № 68, რომელიც სადგურიდან საათში ერთხელ გამოდის. ბოლო რეისი კი 7-8 საათზე სრულდება, თითქოს ამ დროის შემდეგ ქალაქი კვდება. როგორ დაბრუნდეს ხალხი საღამოს სახლში?!

ამ ერთი ავტობუსის გარდა კიდევ დადის 2-3 მ/ავტობუსი № 112, რომლის მგზავრობის ფასი 40 თეთრია. მანძილი სულ 4-5 კმ-ია, ამიტომ გადასახადი მეტისმეტად ძვირია.

ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, მოგვაქციოთ ყურადღება და დაგვინიშნოთ კიდევ ერთი ავტობუსი მაინც და მ/ავტობუსის ღირებულებაც შეამციროთ.

*იუნანოვა, გორგოლაძე, თოდუა, შენგელია, - სულ 52 ხელმოწერა*

# „თანამედროვე მსოფლიოში არავინ არაფერს გჩუქნის, შენს თავს შენ უნდა მიხედო"

ლელა მარგიანი

*ბასკეთის განათლების მინისტრის მრჩეველი, ევროპის ერების ინსტიტუტის ბასკური ფონდის ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი, ბასკეთის ავტონომიური მხარის პარლამენტის ორი (1980-1987 წლების) მოწვევის თავმჯდომარე, ესპანეთის სენატის სენატორი ბასკეთის მხრიდან – ეს ჩვენი რესპონდენტის, ხუან ხოსე პუხანა არზას რეგალიების არასრული ჩამონათვალია. მიუხედავად საქართველოში პირველი სტუმრობისა, მან ბევრი რამ იცის ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესახებ და თავს საქართველოს მეგობრად მიიჩნევს.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ბასკებსა და ქართველებს ძალიან ბევრი საერთო გვაქვს ლინგვისტური და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით. საინტერესოა, რომ ბოლო წლების განმავლობაში მეცნიერების მიერ გამოვლენილია სამას ერთეულზე მეტი პირდაპირი ლექსიკური დამთხვევა. ამას გარდა, ბევრი საერთო გვაქვს ისტორიული თვალსაზრისით.

**- მეცნიერებაში არსებობს ჰიპოთეზა, ბასკებისა და ქართველების ნათესაობის შესახებ...**

- ცნობილი ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ შორეული პალეოლითის ხანაში თანამედროვე ბასკების წინაპრები კავკასიიდან, კერძოდ კი, საქართველოდან წავიდნენ, სწორია. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ეს ნამდვილად ასეა - მე მჯერა, რომ ჩემი ხალხის წინაპრები ნამდვილად ამ მიწიდან წავიდნენ ბასკეთში. ბასკებსა და ქართველებს ძალიან ბევრი საერთო გვაქვს ლინგვისტური და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით. საინტერესოა, რომ ბოლო წლების განმავლობაში მეცნიერების მიერ გამოვლენილია სამას ერთეულზე მეტი პირდაპირი ლექსიკური დამთხვევა. ამას გარდა, ბევრი საერთო გვაქვს ისტორიული თვალსაზრისითაც.

**- როგორია თანამედროვე ბასკეთი?**

- ბასკეთი ორ ქვეყანას - საფრანგეთსა და ესპანეთს შორის არის მოქცეული; საერთო ფართობი 20 ათასი კვადრატული კილომეტრია, ხოლო მოსახლეობა - სამი მილიონი ადამიანი; დაახლოებით, ამდენივე ბასკი ცხოვრობს ემიგრაციაში. იყო საუკუნეები, როცა ბასკეთი გაერთიანებული იყო ნავარის სამეფოში და ერთ ქვეყანას წარმოადგენდა. 1839 წლამდე შეინარჩუნა მან თავისი დამოუკიდებლობა და თვითმყოფადობა იმ ფორმით, რა ფორმითაც ჰქონდა მიღებული. სწორედ 1839 წელს მოაქციეს ბასკები პირველად ესპანური კონსტიტუციის ქვეშ. განსაკუთრებით ძნელი იყო ბასკი ხალხისთვის გენერალ ფრანკოს რეჟიმის დროს ცხოვრება.

1979 წლიდან გვაქვს ახალი სტატუსი - ავტონომიური, თავისი შესაბამისი კანონებით. ჩვენ კვლავ დავიბრუნეთ ძალაუფლება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორიცაა ჯანდაცვა, განათლების სისტემა, ინდუსტრია და, მთლიანად, ეკონომიკა. ჩვენი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი, როგორც შიდა პროდუქციაზე, ასევე წარმოების ზრდის მხრივ, არის საშუალო ევროპულ მაჩვენებელზე ბევრად უფრო მაღალი და კიდევ იზრდება.

**- რითია ბასკეთი საინტერესო, როგორც იმპორტიორი ქვეყანა?**

- ბასკეთში არის განვითარებული მრავალპროფილიანი მეურნეობა. მართალია, ბასკეთის ტერიტორია ესპანეთის მთელი ტერიტორიის მხოლოდ 1,4 პროცენტს შეადგენს, მაგრამ ჩვენ ესპანეთის წარმოების ცხრა პროცენტს ვაწარმოებთ, ხოლო ზოგ დარგში, მაგალითად მეტალურგიაში, ეს მაჩვენებელი 32 პროცენტს აღწევს.

ჩვენთან განვითარებულია მაღალი ტექნოლოგიის პროდუქტების: მანქანა-დანადგარების, საავიაციო და კოსმოსური წარმოება; განვითარებულია მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქიმიური წარმოება. ძირითადად, ამაზე ვართ გადასული. ამდენად, ბასკეთი იქცა კომპეტენტურ და ძლიერი ეკონომიკის ქვეყნად. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რადგან, როგორც იცით, თანამედროვე მსოფლიოში არავინ არაფერს გჩუქნის, შენს თავს შენ უნდა მიხედო.

ამავე დროს ბასკეთი არის ქვეყანა, რომელიც ინარჩუნებს და ინახავს თავის ტრადიციებს, ამაყობს ამ ტრადიციებით და იმითაც, რომ იგი თანამედროვე ქვეყანაა.

ჩვენ მეგობრებად გთვლით ქართველებს, თქვენც მეგობრებად უნდა მიგვიჩნიოთ. ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, გისურვებთ, რომ თქვენმა ქვეყანამ მიაღწიოს მშვიდობას, სტაბილურობას. სტაბილურობა იქნება თქვენი ქვეყნის განვითარების გარანტი, ისევე, როგორც ჩვენი სტაბილურობა იყო ჩვენი განვითარების გარანტი.

**- როგორ მოახერხეთ მცირე დროში ასეთი წარმატების მიღწევა?**

- ერთადერთი იარაღი, რაც ბასკეთის ხელისუფლებამ გამოიყენა, იყო ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, რაც გულისხმობდა ინფრასტრუქტურის (გზები, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი) აღდგენასა და განვითარებას; რა თქმა უნდა, არ დავიწყებიათ ინდუსტრიული ბაზის გაფართოებაც არა მხოლოდ რაოდენობრივად, არამედ – სახეობრივადაც; მოხდა ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და, რაც მთავარია, საბიუჯეტო-ფისკალური სისტემის სწორად წარმართვა და განვითარება, პრინციპით - ვისაც მეტი აქვს, ის მეტს იხდის. რა თქმა უნდა, ვებრძოდით კორუფციას და "საგადასახადო აფიორას".

**- ამჟამად საქართველოშიც ებრძვიან კორუფციას, "შავ ბუღალტერიას". ბევრმა ყოფილმა ჩინოვნიკმა, თავისუფლების სანაცვლოდ, ბიუჯეტის სასარგებლოდ საკმაო თანხა გადაიხადა. ბიუჯეტის შევსების სხვა საშუალება გადასახადები და პრივატიზაციაა. თქვენი აზრით, რისი გაყიდვა არ შეიძლება?**

- ვფიქრობ, სახელმწიფო სექტორის არსებობა სავალდებულოა ქვეყნისთვის. იგი, აუცილებლად, განვითარებულიც უნდა იყოს. რასაც ვერ აკეთებს კერძო სექტორი, სახელმწიფო სექტორმა სწორედ ის უნდა შეავსოს და განავითაროს. ხოლო სტრატეგიული დარგები (რკინიგზა, პორტები, კავშირგაბმულობა) უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო. ამავე დროს უნდა გაიზარდოს კერძო სექტორი, მცირე ბიზნესი, რადგან ის ქმნის სამუშაო ადგილებს. მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ხალხმა მხარი დაუჭიროს სახელმწიფოს მიერ სტრატეგიული ობიექტების პრივატიზაციას, თანაც - უკონტროლოდ. სახელმწიფომ პრივატიზაცია უნდა გააკეთოს აბსოლიტურად გამჭირვალე პოლიტიკით, ხალხთან შეთანხმებულად. პრივატიზაცია არ უნდა იქცეს ერთეულებისთვის მეგობრების რაოდენობის გაზრდის ერთ-ერთ ფორმად, მით უმეტეს, როდესაც ხდება საერთაშორისო ფირმებისთვის სახელმწიფო ქონების მიყიდვა. გასაგებია, რომ უნდა მოიზიდო უცხოელი ინვესტორი, მაგრამ რის ფასად და ვის ხარჯზე ხდება ეს, საზოგადოებამ უნდა იცოდეს.

**- საქართველოში ახლა განათლების სისტემის რეფორმა მიმდინარეობს. ჩვენი მკითხველისვის საინტერესო იქნება იმის გაგება, თუ როგორი განათლების სისტემაა ბასკეთში, სადაც ოციოდე წლის წინ საკუთარ ენაზე ლაპარაკიც კი იკრძალებოდა?**

- თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ ავტონომიური ბიუჯეტის 30 პროცენტი იხარჯება განათლებაზე, 30 პროცენტი - ჯანმრთელობის დაცვაზე, ხოლო დანარჩენი 40 პროცენტის უდიდესი ნაწილი - საზოგადოების სოციალურ დაცვაზე. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბასკეთს აქვს "სოციალური ბიუჯეტი". ბასკეთში არის აბსოლუტურად უფასო სავალდებულო სწავლება 18 წლამდე; უფასოა სწავლება ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტში; კერძო უნივერსიტეტების ბიუჯეტის გარკვეული ნაწილი კი სახელმწიფოსგან ფინანსდება, რითაც სახელმწიფო ეხმარება კერძო უნივერსიტეტების წარჩინებულ სტუდენტებს, ხელმოკლე სტუდენტებს კი სწავლის საფასურს უხდის.

ბასკეთში ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ პროფესიულ განათლებას. ვამაყობთ, რომ ჩვენთან ძალიან განვითარებულია ეს სისტემა და იმ ახალგაზრდებს, ვისაც არ უნდა სწავლის გაგრძელება უმაღლესში, შესაძლებლობა აქვთ, სპეციალურ სასწავლებლებში დაეუფლონ პროფესიას. ამავე დროს ჩვენ, თანდათან, სწორი პოლიტიკის წყალობით, შევძელით ძალიან მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარება - განათლების სისტემის, თითქმის, მთლიანად გადაყვანა ბასკურ ენაზე. ასე მაგალითად, თუ 2000 წელს მხოლოდ 26 პროცენტი იყო განათლების სისტემაში ბასკურენოვანი სწავლებისა, ოთხი წლის შემდეგ ეს მაჩვენებელი უკვე 90 პროცენტამდეა. ვფიქრობ, ჩვენ შევქმენით საინტერესო მოდელი, პრინციპი იმისა, თუ როგორ აღვადგინოთ თანდათან განათლების სისტემაში სახელმწიფო ენა.

**- საქართველო ევროგაერთიანებისკენ ისწრაფვის. საინტერესოა, თქვენი ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით.**

- ჩვენ ვცდილობთ ერთიანი, მშვიდობიანი ევროპის ჩამოყალიბებას. თქვენც ევროპა ხართ. ამიტომ, თქვენს ინტერესებშიც შედის, რომ ევროპა იყოს სტაბილური, ერთიანი და თანასწორუფლებიანი. უნდა იყოს არა ქვეყნების ევროპა, არამედ ერების ევროპა, რადგან ერების იგნორირება არ შეიძლება. ჩემთვის ნამდვილი ევროპა არა მხოლოდ სახელმწიფოების გაერთიანებაა, არამედ ქვეყნებისა და ერების ევროპა, სადაც ყველას ექნება შენარჩუნებული თავისი ტრადიციები, კულტურა, ეთნიკური განსხვავებები. ესაა ჩვენი ნამდვილი სიმდიდრე. ოღონდ, ამ სიმდიდრის მხოლოდ დაცვა არაფერს მოგვცემს, უნდა განვავითაროთ ეს სიმდიდრე. ევროპაში მშვიდობას მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, თუ იქნება ურთიერთპატივისცემა, თუ მოხდება ყველა ერის, ადამიანის ინდივიდუალური თუ კოლექტიური ეროვნული უფლებების ცნობა და პატივისცემა. თუ ასე არ მოხდა, თუ ევროგაერთიანება იქნება მხოლოდ სახელმწიფოების ხელოვნური ერთობა, რასაკვირველია, ის დაინგრევა.

**- თქვენ მიერ დაარსებული ფონდი და ჟურნალი ამ საკითხებს ითვალისწინებს?**

- ფონდის შექმნის ძირითადი მიზანია ევროპის ერების შესწავლა და მათი დაახლოება. ჩვენთან ხდება ყველანაირი ინფორმაციის შეგროვება, რათა შეიქმნას საინფორმაციო ბანკი. ვაპირებთ, ბასკეთის რომელიმე უნივერსიტეტში შევქმნათ ევროპის ერების შემსწავლელი კათედრა. ჩვენ უკვე შევქმენით ძალიან დიდი, საკმაოდ საინტერესო რუკა, სადაც თავისი ეთნიკური დაჯგუფებებით არის წარმოდგენილი ევროპის ყველა ერი - კანარის კუნძულებიდან ურალის მთებამდე. გამოვეცით ევროპის ერების წიგნის პირველი არასრული გამოცემა, სადაც ზოგადი ცნობებია მოთავსებული ყველა ერის შესახებ. ამჟამად ვმუშაობთ მეორე სრულ გამოცემაზე. ჩვენ გავაკეთეთ ვიდეო-მოდელი ბასკეთის შესახებ, რომელიც ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათია. ასეთივე ფილმების გადაღება გვინდა ევროპის ყველა ერზე. ეს ვიდეო ფილმები განკუთვნილია განათლების სისტემისთვის, რათა სკოლის მოსწავლეებმა, ბავშვებმა თავიდანვე ისწავლონ, რომ, დიდი ერების გარდა, არიან პატარა, მცირერიცხოვანი ერებიც. უკვე გამოვეცით ორი ჟურნალი, რომელთაც ვავრცელებთ ყველა ევროპულ ქვეყანაში. გადავწყვიტეთ, რომ, ინგლისური ენის გარდა, გამოვიყენოთ იმ მცირერიცხოვანი ერების მშობლიური ენებიც, რომელთა შესახებაც დაიწერება ჟურნალში - ყოველი სტატია იქნება ორენოვანი. გვინდა, ჩვენი ჟურნალი გახდეს ერების ჟურნალი, სადაც ნებისმიერს ექნება თანასწორუფლებიანი ხმა. მომავალში ვაპირებთ ვებ-ჟურნალის შექმნასაც. ჟურნალის საშუალებით, მკითხველს გავაცნობთ ერების ინტერესებს, მიზნებს, კულტურასა და ტრადიციებს. რამდენადაც ვიცით, მსგავსი გამოცემა ევროპაში სხვა არ არსებობს. ამიტომ, ჩვენ გვაქვს იმის ამბიცია, რომ, რაც შეიძლება მეტ ერს გავაცნოთ ეს ჟურნალი. ჟურნალის გარეკანზე გამოსახულია ჩვენი ფონდის ანაგრამა - მზის ყვავილი, როგორც სიმბოლო ნებისმიერი დიდი და პატარა ერის მშვიდობიანი თანაცხოვრებისა. ჩვენ ყველა სხვადასხვა ვართ, მაგრამ ერთი მზის ქვეშ ვართ მოქცეულები.

# რატომ ერწყმიან სკოლები ერთმანეთს

დალი კუპრავა

*"იმ ფონზე, რომ განათლების სამინისტრო ესტონური წარმატებული პროექტის "ვეფხვის ნახტომის" მოდელით სკოლების კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტიზაციის პროექტის განხორციელებას იწყებს, გაუგებარია ამგვარი პროფილის სკოლის პრაქტიკულად გაუქმება - გრუშევსკის სახელობის სკოლის ფართობით უზრუნველსაყოფად, მისი სხვა სკოლასთან შერწყმა", - აცხადებენ 41-სკოლის პედაგოგები და მშობლები.*



იური ლობოდინის ფოტო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად, თბილისის მიხეილ გრუშევსკის სახელობის სკოლის ფართობით უზრუნველყოფის მიზნით, თბილისის 41-ე შრომითი პროფილის სკოლისა და 43-ე საშუალო სკოლის რეორგანიზაცია უნდა მოხდეს - კერძოდ კი, მათი შერწყმა.

30 სექტემბრით დათარიღებული ბრძანება სკოლამ 13 ნოემბერს მიიღო. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად, თბილისის მიხეილ გრუშევსკის სახელობის სკოლის ფართობით უზრუნველყოფის მიზნით, თბილისის 41-ე შრომითი პროფილის სკოლისა და 43-ე საშუალო სკოლის რეორგანიზაცია უნდა მოხდეს - კერძოდ კი, მათი შერწყმა. სკოლების შერწყმა კლასების რაოდენობის, თანამშრომლების არსებული რიცხოვნობის, თანამდებობრივი სარგოების და დაფინანსების შენარჩუნებით მოხდება და იფუნქციონირებს 43-ე სკოლის შენობაში. რაც შეეხება გრუშევსკის სახელობის სკოლას, ის განთავსდება გამოთავისუფლებული 41-სკოლის შენობაში, მისამართზე კოჯრის ქუჩა №1; არსებული კლასების რაოდენობის, პედაგოგთა რიცხოვნობის და დაფინანსების შენარჩუნებით.

რედაქციაში შემოსული წერილიდან ირკვევა, რომ 41-ე სკოლა ინფორმატიკის პროფილისაა და ეს სტატუსი მას მინიჭებული აქვს 2003 წლის სექტემბერში განათლების სამინისტროსგან (ბრძანება 172. 05.09.03). წერილის ავტორებს - 41-ე სკოლის მოსწავლეებსა და მშობლებს დაუშვებლად მიაჩნიათ სკოლის გაუქმება და სხვა სკოლასთან შერწყმა, რადგან ამ შემთხვევაში, სკოლა ვერ შეინარჩუნებს ინფორმატიკის პროფილს. ისინი დაუშვებლად მიიჩნევენ სხვა სკოლის შენობაში გადასვლასაც, ვინაიდან, განათლების ახალი კანონ-პროექტის მიხედვით, არ შეიძლება ერთ შენობაში ორი მსგავსი სასწავლო დაწესებულების განთავსება. ისინი მოითხოვენ, გაუქმდეს განათლების სამინისტროს ბრძანება და სკოლამ გააგრძელოს თავისი საქმიანობა.

41- სკოლაში ოთხი კლასია; ორი - მეათე და ორი - მეთერთმეტე; ასამდე მოსწავლეა, რომლებიც ინფორმატიკის შესასწავლად ქალაქის სხვადასხვა სკოლებიდან გადმოვიდნენ. როგორც გაირკვა, ეს სკოლა ერთადერთია, სადაც ხდება საგამოცდო ნაშრომებისა და პროექტების დაცვა ინფორმატიკაში. ამავე დროს აქ საგამოცდო ნაშრომების თემატიკა შეზღუდული არ არის და საგანთა ინტეგრირებული სწავლების საშუალებას იძლევა. ინფორმატიკას კვირაში ექვსი საათი აქვს დათმობილი და კომპიუტერულ ლაბორატორიაში ოცი კომპიუტერი მუშაობს. სკოლას მიღებული აქვს გრანტები: 2000-2003 წწ. ფონდი "ღია საზოგადოება საქართველოს"- წლის მანძილზე უფასო ინტერნეტისთვის 10 კვირეული საათი; 2002 წელს განათლების სამინისტროს გრანტი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით; 2004 წელს მერიის საკრებულოს გრანტი "თბილისის საგანმანათლებლო სისტემის ინფორმატიზაციისათვის".

"წელს ოქტომბერში ესტონეთის, ტალინის პედაგოგიური უნივერსიტეტის განათლების ტექნოლოგიების ცენტრის დირექტორი მარტ ლენპერი განათლების მინისტრის მოადგილესთან ბელა წიფურიასთან ერთად სტუმრად იყო ჩვენს სკოლაში, გაეცნო ინფორმატიკის შესასწავლ სპეციალურ პროგრამებს, სკოლის საიტს, ინტერნეტში განთავსებულ საგამოცდო ნაშრომებს და მოიწონა აქაური მუშაობის პრინციპები და მეთოდები", - ამბობს სკოლის პედაგოგი ქეთევან ქიქოძე.

როგორც 41-ე სკოლის დირექტორმა ამირან დარჩიამ განაცხადა, მას არანაირი პრეტენზია არ აქვს, რომ აღარ იქნება "შერწყმული" სკოლის დირექტორი; კორექტული ქმედება კი ითვალისწინებდა ამ ბრძანების გამოქვეყნებამდე სკოლის დირექტორის საქმის კურსში ჩაყენებას და ბრძანების დროულად, სწავლის დაწყებამდე მიწოდებას. სამწუხარო ის არის, რომ დაიკარგება წლების განმავლობაში მოპოვებული და ჩამოყალიბებული სპეციფიური შინაარსობრივი სტრუქტურა. დირექტორის თქმით, სწორედ ამის წინააღმდეგნი არიან მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები.

თბილისის ინფორმატიკის პროფილის 41-ე საშუალო სკოლა უნდა დაიშალოს მაშინ, როცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს კონკურსს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტიზაციის პროექტის სახელწოდებისა და ლოგოს შესაქმნელად.

# შარაძის გახსენება

*გურამ შარაძე პოზიციას არ იცვლის. ორგანიზაცია "ენა, მამული, სარწმუნოების" თავმჯდომარე კვლავ ცდილობს, საზოგადოებას თავი მოაჩვენოს, რომ საკუთარი ორგანიზაციის დევიზის დასაცავად გამოდის და ამჯერად სამართალდამცველების "მსხვერპლიც" ხდება. მას შემდეგ, რაც გურამ შარაძემ ქართული მართლმსაჯულების გზით ვერა და ვერ დაამტკიცა, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტი" და ამერიკის ელჩი რიჩარდ მაილსი მართლმადიდებელი სარწმუნოების მტრები არიან, ერთადერთ გზად, როგორც ჩანს, ღია "ომი" დარჩა. ამჯერად ყოფილი პარლამენტარის თავდასხმის ობიექტი ამერიკის მოქალაქის, პოლონელი ფოტოხელოვანის რაფაელ ოლდინსკის ნამუშევრები აღმოჩნდა.*

თამარ კაციტაძე

"ეს ექსპოზიცია ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ ორგანიზებული "სატანისტური პორნოგრაფიაა," - განაცხადა გუშინ ეროვნულ ბიბლიოთეკაში მისულმა გურამ შარაძემ.

ამერიკელი ხელოვანის გამოფენა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში რამდენიმე დღის წინ გაიხსნა. რაფაელ ოლდინსკიმ საკუთარი შემოქმედების ნიმუშების გაყიდვიდან შემოსული თანხის ნაწილი საქართველოს სამხატვრო აკადემიას გადასცა, რაც აკადემიის სტუდენტთათვის საღებავებისა და ფუნჯების შეძენას უნდა მოხმარებოდა.

"ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა მსგავსი სატანისტურ-პორნოგრაფიული ექსპოზიციების მოწყობისათვის სატანისტებისგან ფულს იღებს. მე ჯოკონდასა და ლეონარდოს შეურაცხყოფის უფლებას არავის მივცემ," - განაცხადა გურამ შარაძემ და ბიბლიოთეკის თანამშრომლების ნამუშევრების ჩამოხსნა მოსთხოვა.

ხელოვნების ნიმუშების ჩამოხსნაზე უარის მიღების შემდეგ, შარაძემ ნამუშევრები, არც მეტი, არც ნაკლები, ჩამოხია.

სწორედ ამ ქმედების გამო იგი პატრულის "მსხვერპლი" აღმოჩნდა.

კულტურის, სპორტის და ძეგლთა დაცვის მინისტრი გიორგი გაბაშვილი მიიჩნევს, რომ ყოფილი პარლამენტარის, გურამ შარაძის მიერ ეროვნულ ბიბლიოთეკაში პოლონელი მხატვრის რაფაელ ოლდინსკის ნამუშევრების ჩამოხევის ფაქტი "სისხლის სამართლის დასჯადი დანაშაულია".

**"მან დახია და დააზიანა საგამოფენო ექსპონატები, რაც დანაშაულია,"** - განაცხადა შემთხვევის ადგილზე მისულმა მინისტრმა, რომელსაც სამხატვრო აკადემიის რექტორი გია ბუღაძეც თან ახლდა.

ხელისუფლების წარმომადგენელთა პოზიციის საწინააღმდეგოდ, გურამ შარაძის მომხრეები მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციასთან შეიკრიბნენ, სადაც საპატრულო პოლიციამ შარაძე გადაიყვანა.

გურამ შარაძის დაკავების გამო, მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ პოლიციასთან მანანა არჩვაძე-გამსახურდია და მისი მხარდამჭერებიც მივიდნენ.



*მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურორის პაატა ტყეშელაშვილის განცხადებით, ეროვნულ ბიბლიოთეკაში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით შარაძე წვრილმან ხულიგნობაში იქნა დადანაშაულებული.*

**"დაკავების რეალური მიზეზები საკმაოდ ნათელია: იგი უკავშირდება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და გურამ შარაძეს შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობას. გურამ შარაძემ, მას შემდეგ, რაც იგი მიხეილ სააკაშვილმა ნაციონალური მოძრაობის ყრილობაზე უტაქტოდ მოიხსენია, მას ორი საგაზეთო წერილით გასცა პასუხი. მისი დაკავება სწორედ ამას უკავშირდება,"** - აღნიშნა ელიზბარ ჯაველიძემ, რომელსაც საპროტესტო აქციით ზურგს "მრგვალი მაგიდის" წევრები უმაგრებდნენ.

შარაძის დაკავებასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის დაფიქსირება არც "საქართველოს ლეიბორისტულ პარტიას" დავიწყებია. ამ ფაქტს "ლეიბორისტულმა პარტიამ" სპეციალური განცხადებაც მიუძღვნა.

**"შარაძეს ერთმნიშვნელოვნად შეიძლება პოლიტპატიმარი და სააკაშვილის მუქარის მსხვერპლი ეწოდოს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ხელოვნებასთან გურამ შარაძის დამოკიდებულება არაფერ შუაშია და ეს ფაქტი პოლიტიკური ანგარიშსწორების კლასიკური მაგალითია,"** - აღნიშნავს შალვა ნათელაშვილის პარტია და გურამ შარაძის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს.

შარაძის დაპატიმრება და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა კი ქართველ სამართალდამცველებს არც უფიქრიათ. მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურორის პაატა ტყეშელაშვილის განცხადებით, ეროვნულ ბიბლიოთეკაში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით შარაძე წვრილმან ხულიგნობაში იქნა დადანაშაულებული, რაც ადმინისტრაციულ სახდელს ანუ ჯარიმას ითვალისწინებს. რა რაოდენობის ჯარიმით განისაზღვრება "ენა, მამული, სარწმუნოების" თავმჯდომარის მიერ ჩადენილი ვანდალური აქტი, ამას მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სასამართლო გადაწყვეტს.

# ცვლილებები კანონმდებლობაში

ევროკავშირის ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე, სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები შედის. საქმე ისაა, რომ იუსტიციის სამინისტრომ ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან თანამშრომლობით, სისხლის სამართლის სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი შეიმუშავა, რომელიც იურიდიული პირების (შპს, სააქციო საზოგადოება, კორპორაცია და სხვ.) სისხლის სამართლის წესით დასჯას ითვალისწინებს.

იუსტიციის სამინისტროს სპეციალური სამსახურის ინფორმაციით, ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა მხოლოდ ფიზიკური პირების დასჯას ითვალისწინებს, თუმცა თანამედროვე სამართალწარმოების პრაქტიკაში არცთუ იშვიათია დანაშაულები, რომლებიც ჩადენილია ამა თუ იმ იურიდიული პირის სასარგებლოდ ან იურიდიული პირის გამოყენებით.

დღეს მოქმედი კანონებით კი, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ფიზიკური პირის დასჯა და არა იურიდიული პირისა, რომელიც, მისი თანამშრომლის სისხლის სამართლის წესით დასჯის შემთხვევაშიც, ჩვეულებრივ, აგრძელებს მუშაობას.

იურიდიული პირები ხშირად ჩართული არიან უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაში, ტერორისტული და დანაშაულებრივი ორგანიზაციების ხელშეწყობაში, ტრეფიკინგში და სხვ. პროექტის თანახმად, იურიდიულ პირს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება, თუ იურიდიული პირის სახელით, მისი მეშვეობით ან მის სასარგებლოდ ჩადენილია ადამიანებით ვაჭრობის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, კომერციული მოსყიდვის, რეკეტულ დაჯგუფებაში მონაწილეობის, ტერორისტული აქტის, ტექნოლოგიური ტერორიზმის, კიბერტერორიზმის, პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმის, საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე თავდასხმის, ტერორისტული ორგანიზაციის შექმნის, მისი ხელმძღვანელობის ან მონაწილეობის ფაქტები. ასევე, იურიდიული პირის დასჯას ითვალისწინებს უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებულ ასეთ ორგანიზაციაში მონაწილეობა ან ხელშეწყობა, მძევლად ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით, სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება, ტერორიზმის დაფინანსება, ქრთამის აღება ან მიცემა, კორუფციული ზემოქმედება, სამართალწარმოებისათვის ან წინასწარი გამოძიებისათვის ხელის შეშლა, მათზე მუქარა ან ძალადობა, მოწმის, დაზარალებულის, ექსპერტის ან თარჯიმნის მოსყიდვა ან იძულება.

იურიდიული პირი, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაში, შეიძლება დაისაჯოს ჯარიმის დაკისრებით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და, უკიდურეს შემთხვევაში, ლიკვიდაციით.

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, იურიდიული პირების სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის შესახებ ქვეყნის კანონმდებლობაში შესაბამისი ნორმის არსებობას საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციები ურჩევენ. ასეთი მოთხოვნაა დაყენებული იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებშიც, რომელთა მონაწილეა საქართველო.

სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანასთან ერთად, შესაბამისი ცვლილებები შევა "საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში" "არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" კანონში, "საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ" ორგანულ კანონში, "სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვების გაცემის საფუძვლების შესახებ" კანონში, "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონში, "მეწარმეთა შესახებ" კანონსა და "საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.

*პრაიმ-ნიუსი*

## აუხსნელი თვითმკვლელობა

*იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში თერჯოლის გამგებლის თვითმკვლელობის მიზეზად სამსახურებრივ საქმიანობას არ მიიჩნევენ*

თერჯოლის რაიონის გამგებელს, პოლიციის გადამდგარ გენერალს გურამ ქარქაშაძეს, რომელმაც თბილისში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში კეთილსინდისიერ და პატიოსან ადამიანად ახასიათებენ. "სამსახურებრივად, მას თვითმკვლელობისთვის არანაირი მიზეზი არ უნდა ჰქონოდა. ბატონ გურამს ჩვენ ვენდობოდით. თერჯოლის გამგებლის თანამდებობაზე სამი კვირის მანძილზე გაწეული საქმიანობით, მან შეუძლებელის გაკეთება მოახერხა. ყველა დაპირისპირებულ მხარესთან საერთო ენა უკვე გამოძებნილი ჰქონდა," - განაცხადა იმერეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ ზურაბ ქაჯაიამ.

საპირისპიროს ამტკიცებენ თერჯოლაში. სარწმუნო წყაროს ცნობით, გურამ ქარქაშაძეს რაიონის "ნაციონალები" და ზაურ გურგენიძის გუნდი უპირისპირდებოდნენ, რომელიც ჯერ კიდევ სახელმწიფო რწმუნებულად დავით მუმლაძის მუშაობის პერიოდში უპირისპირდებოდა თერჯოლის მაშინდელ გამგებელს ლაშა ზედაშიძეს.

ჩვენი ინფორმაციით, ახალ გამგებელს იგივე გუნდი საკადრო პოლიტიკას უწუნებდა და, მათი ინტერესების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინა გამგებლის ბედს უწინასწარმეტყველებდა. აღნიშნულ გუნდს ელდარ ცქიფურიშვილის კანდიდატურა არ მოსწონდა, რომელიც ქარქაშაძემ თავის მოადგილედ დანიშნა.

საუბარია იმაზე, რომ ცქიფურიშვილი წარსულში ნასამართლევია. თავად გამგებლის მოადგილე კი აღნიშნულ ფაქტს შევარდნაძის ხელისუფლებასთან პოლიტიკური დაპირისპირებით ხსნის. ყოფილი გამგებელი აღნიშნული დაპირისპირების გამო ძალზედ სერიოზულად ნერვიულობდა. თუმცა, ამ ფაქტს გურამ ქარქაშაძის მეგობრები და ოჯახის წევრები კატეგორიულად უარყოფენ. **ინტერ-პრესი**

## ყაჩაღობის ბრალდებით თავდაცვის მინისტრის დაცვის ყოფილი წევრი დააკავეს

საპატრულო პოლიციამ დიდ დიღომში ყაჩაღობის მცდელობის ფაქტზე დანაშაულში ეჭვმიტანილი სამი პირი დააკავა. ერთ-ერთი მათგანი, დავით ლიქოკელი საქართველოს თავდაცვის მინისტრის გიორგი ბარამიძის დაცვის ყოფილი წევრია. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის განცხადებით, ლიქოკელი კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადის ყოფილი წევრიც არის, თუმცა ბოლო ერთი კვირაა, ის კადრების განკარგულებაში იმყოფება.

აღნიშნული ჯგუფის შესახებ 022-ს ერთ-ერთმა მოქალაქემ შეატყობინა, რომელმაც საინფორმაციო სამსახურს აცნობა, რომ უცნობი პირები მის ბინაში შეჭრას ცდილობდნენ. შემთხვევის ადგილზე მისულმა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა სამივე დამნაშავე დააკავეს. ერთ-ერთ მათგანს ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩნდა. დაკავებულები ამჟამად პოლიციის განყოფილებაში არიან მოთავსებული. **ინტერ-პრესი**

## თბილისში ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისადმი მიძღვნილი სემინარი იმართება

ეუთო-ს ორგანიზებით თბილისში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებისადმი მიძღვნილი სემინარი გაიხსნა. სემინარის მუშაობაში საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის, იუსტიციის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები მონაწილეობენ. ეუთო-ს ორგანიზებით, საქართველოში იმყოფებიან საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და ევროპის საბჭოდან მოწვეული ექსპერტები, რომლებიც ქართული მხარის წარმომადგენლებს საკუთარ გამოცდილებასა და მოსაზრებებს უზიარებენ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის დახვეწის მიზნით.

საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელის როი რივის განცხადებით, საქართველოში წარმატებით მუშაობს ფულის გათეთრების წინააღმდეგ შექმნილი კანონმდებლობა. **"საერთაშორისო საზოგადოებას ორგანიზებული დანაშაულისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების მიზნით სხვადასხვა ღონისძიების გატარება უხდება და ორდღიან სემინარზე სწორედ ამ საკითხებზე იქნება საუბარი,"** - განაცხადა როი რივმა.

საერთაშორისო ექსპერტების მხრიდან წინადადებებსა და შენიშვნებს ელოდება ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი ნიკა გეგუჩაძე. გეგუჩაძის განცხადებით, უცხოელი ექსპერტები საქართველოში შავი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებულ კანონმდებლობას გაეცნობიან და საკუთარ მოსაზრებებსა და შენიშვნებს გამოთქვამენ. **"ჩვენ უკვე მოვამზადეთ კანონპროექტების პაკეტი, რომელიც ფულის გათეთრების წინააღმდეგ შექმნილ კანონმდებლობაში გარკვეულ ცვლილებებს ითვალისწინებს. ეს ევროპასთან საქართველოს მომავალი ინტეგრაციისთვის აუცილებელია,"** - განაცხადა გეგუჩაძემ.

სემინარი ეუთო-სა და გაერო-ს დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის ერთობლივი ორგანიზებით იმართება. ამგვარი სემინარები უკვე გაიმართა აზერბაიჯანში, სომხეთსა და შუა აზიის ქვეყნებში. **ინტერ-პრესი**


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________________

______________________________________

______________________________________

______________________________________

______________________________________

______________________________________

______________________________________

______________________________________

______________________________________

______________________________________

______________________________________

**ანკეტა**

**სახელი, გვარი** ..............................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი** ..............................

**საკონტაქტო ტელეფონი** ..............................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# რეფორმირებული სასამართლო - ჩაკეტილი წრე ინფორმაციის თავისუფლებისათვის?

## სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

თითქოს უკვე აღარავინ დავობს იმის შესახებ, რომ ინფორმაციის თავისუფლება უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების გამჭირვალობას, რაც, თავის მხრივ, დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. იგი შესაძლებლობას გვაძლევს, თვალყური ვადევნოთ, თუ რამდენად კანონმორჩილია ხელისუფლება და რამდენად სრულყოფილად ასრულებს იგი ჩვენს მიერ დაკისრებულ ფუნქციებსა და მოვალეობებს.

**იმის უფლება, რომ ჩვენთვის საინტერესო ნებისმიერი ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შეგვეწუხებინა ჩვენი ხელისუფლება, ჯერ კიდევ საქართველოს კონსტიტუციამ 1995 წლის 24 აგვისტოს მოგვცა.** აღნიშნულმა უფლებამ ასახვა ჰპოვა კონსტიტუციის 24-ე და 41-ე მუხლებში. თუმცა, ამ უფლების რეალობად ქცევისათვის აუცილებელი იყო ისეთი აქტის მიღება, რომელიც უფრო დეტალურად მოაწესრიგებდა ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

1999 წლის 23 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომლის III თავიც მთლიანად ინფორმაციის თავისუფლებას მიეძღვნა. კოდექსმა დაარეგულირა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: საჯარო ინფორმაციის რაობა, ინფორმაციის გაცემის ვადები, დახურული ინფორმაციის სახეები და მათი განსაზღვრის ზოგადი კრიტერიუმები; ასევე, დადგინდა საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ვალდებულება და ა.შ.

**თუმცა, სამწუხაროდ, კანონის ძალაში შესვლა, მით უმეტეს, საქართველოში, სრულიადაც არ ნიშნავს მის ეფექტურ გამოყენებასა და ხელისუფლების მხრიდან უსიტყვო მორჩილებას. სწორედ კანონის განმარტების, ცხოვრებაში დანერგვისა და ეფექტური აღსრულებისათვის დიდი ხნის წინ მოიგონეს სასამართლო, როგორც სამართლიანობისა და კანონიერების მოდარაჯე დამოუკიდებელი ინსტიტუტი.**

**წინამდებარე სტატიაში თქვენთან ერთად შევეცდებით იმის გარკვევას, თუ რამდენად ახერხებდა და ახერხებს ხელისუფლება მისი ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულების - საზოგადოებისათვის ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზებას, ხოლო ბიუროკრატიის მიერ პრობლემების შექმნის შემთხვევაში, რამდენად დიდია სასამართლოს მეშვეობით დარღვეული უფლებების აღდგენის შანსი.**

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია შეეცადა, საქართველოს მთელი მასშტაბით, ყველა ინსტანციის სასამართლოდან გამოეთხოვა ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საქმეები. სამწუხაროდ, სასამართლოები, რომლებიც სხვა სახელმწიფო ორგანოებს უნდა აძლევდნენ კანონმორჩილების მაგალითს, ხშირად არაფრად დაგიდევდნენ საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნას. არა გვგონია, ამის მიზეზი მხოლოდ კანონის არცოდნა ან მისი არასწორად გაგება იყოს. უბრალოდ, მოსამართლეები ინფორმაციის თავისუფლებას სერიოზულად არ აღიქვამენ. მაგალითად: მთაწმინდა-კრწანისისა და ისანი-სამგორის სასამართლოებმა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული საქმეების მოწოდებაზე უარი იმ მოტივით განაცხადეს, რომ გამოთხოვილი საქმეები ***პერსონალურ მონაცემებს წარმოადგენდა და მათ მისაღებად სათანადო პირების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა იყო საჭირო.*** ეს მაშინ, როდესაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის "ზ" პუნქტის თანახმად, ძგასასაიდუმლოებლად **დაუშვებელი** ინფორმაციის კატეგორიას განეკუთვნება "სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომლებშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს".

კვლევის ჩატარებისას ვეცადეთ გაგვერკვია, თუ რამდენმა ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირმა ისარგებლა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის შემთხვევაში, უარყოფითი გადაწყვეტილების სასამართლო წესით გასაჩივრების შესაძლებლობით. სტატისტიკა არც თუ სახარბიელოა: ჩვენ მიერ მოპოვებული მონაცემების მიხედვით, ოთხი წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ დავებზე სასამართლოს მხოლოდ 38 სარჩელით მიმართეს; აქედან 16 შემთხვევაში მოსარჩელე იურიდიული პირია (არასამთავრობო ორგანიზაცია), ხოლო 21 შემთხვევაში - ფიზიკური პირი;

დაინტერესებულ მკითხველს საქმეების სიმცირე ლოგიკურად მოეჩვენება, როცა შეიტყობს, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სასამართლოში სარჩელის შეტანიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, ხანდახან არც მეტი, არც ნაკლები, **18 თვე გადის**; აქედან მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განსახილველად ხანდახან 10 თვე და 24 დღეა საჭირო, ხოლო თუ მოსარჩელე ან მოპასუხე სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილო დარჩა და საქმე სააპელაციო ინსტანციაში გაგრძელდა, შეიძლება კიდევ 13 თვე და 3 დღეც მოგიწიოს ლოდინი.

**რას ამბობს კანონმდებლობა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებული საქმეების სასამართლოში განხილვის ვადებთან დაკავშირებით?**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის I I I ნაწილის თანახმად, **"...საქმეებს სასამართლოები განიხილავენ განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს ორი თვისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე, განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს ხუთი თვისა..."**

ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, რომ პრაქტიკაში ეს ვადები ძალიან იშვიათად არის დაცული და ხშირად ხდება მათი იგნორირება და გაჭიანურება. მაგალითად, საქმეზე - "ვ.კ. საქართველოს გენერალური პროკურატურის წინააღმდეგ", რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო 8 თვისა და 8 დღის შემდეგ (24.07.2001-1.04.2002), ეს მხოლოდ პირველ ინსტანციაში. ადვილი წარმოსადგენია, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა აღნიშნული საქმე, ის ზედა ინსტანციაშიც რომ გასაჩივრებულიყო. საქმეზე - "პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისათვის" ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის წინააღმდეგ", რაიონული ინსტანციის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სარჩელის შეტანიდან 10 თვისა და 24 დღის შემდეგ (04.03.2002-24.01.2003).

არის საქმეები, რომლებმაც სამივე ინსტანცია გაიარეს და სარჩელის შეტანიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე წელიწადი ან მეტი დროც გავიდა. მაგალითად, საქმეზე - "ძალია" საქართველოს გენერალური პროკურატურის წინააღმდეგ", საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა თითქმის ათი თვის შემდეგ (14.02.2003-3.12.2003); საქმეზე - "მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირი "- სოლიდარობა" ქუთაისის N13 საშუალო სკოლის დირექტორის წინააღმდეგ", საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო ზუსტად ერთი წლის თავზე (16.10.2002-16.10.2003).

ალბათ, ძალიან უხეში შედარება არ გამოგვივა, თუ ვიტყვით, რომ საჯარო ინფორმაცია "მალეფუჭებადი" პროდუქტია. იგი დაინტერესებული პირისთვის ღირებულია დროის გარკვეულ, მცირე მონაკვეთში. სწორედ ეს გახდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიერ ინფორმაციის გაცემისთვის მაქსიმალურად მცირე ვადების დადგენის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი (საჯარო დაწესებულება ვალდებულია, ღია საჯარო ინფორმაცია გასცეს დაუყოვნებლივ, ან განსაკუთრებულ შემთხვევებში, 10 დღის ვადაში). თუ პირმა მცირე დროში ვერ მიიღო მისთვის საჭირო ინფორმაცია, ის მისთვის ან აზრს კარგავს, ან მცირდება დაგვიანებული ინფორმაციის ღირებულება. იმ შემთხვევებშიც კი, თუ სასამართლო დაინტერესებული პირის სასარგებლოდ გამოიტანს გადაწყვეტილებას, "გამარჯვების" მიუხედავად, იგი მაინც წაგებულია, ვინაიდან შედეგად რამდენიმე თვით დაგვიანებულ ინფორმაციას იღებს. ამიტომაც ხშირია შემთხვევები, როდესაც დაინტერესებული მხარე, მართალია, დარწმუნებულია, რომ სასამართლო დააკმაყოფილებს მის მოთხოვნას, მაგრამ მაინც თავს არიდებს სარჩელის შეტანას, რადგანაც იცის, რომ სასურველი შედეგის დადგომამდე რამდენიმე თვე, ან შესაძლოა, მთელი წელიც გავიდეს. ამ დროის შემდეგ კი მისთვის აღნიშნულ ინფორმაციას არანაირი ღირებულება აღარ ექნება.

**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სასამართლოში აღძრული სარჩელების სიმცირის ერთ-ერთი მთავარ მიზეზს სწორედ საქმის განხილვის გაჭიანურებული ვადები წარმოადგენს.**

**რა გვიშლის ხელს, სრულფასოვნად ვისარგებლოთ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებით?**

ინფორმაციის თავისუფლების თავში არის მთელი რიგი ნორმები, რომლებიც პრაქტიკაში არაერთგვაროვნად იქნა გაგებული როგორც საზოგადოების, ისე საჯარო დაწესებულებების მიერ. ამან, თავის მხრივ, უამრავი პრობლემა წარმოშვა. ამ შემთხვევაში, ერთადერთი გამოსავალი ბუნდოვანი ნორმების სასამართლოსეული განმარტებაა, რაც აუცილებელია მათი პრაქტიკაში დანერგვისათვის.

თუმცა, სამწუხაროდ, იმის მაგივრად, რომ სასამართლოს ერთხელ და სამუდამოდ თუ არა, დროებით მაინც მოეხსნა პრობლემა და ამა თუ იმ ბუნდოვანი ნორმის განმარტებისას ერთგვაროვანი პრაქტიკა დაედგინა, იყო შემთხვევები, როცა უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს სხვადასხვა შემადგენლობამ ერთი და იგივე მუხლი სხვადასხვა გადაწყვეტილებაში სხვადასხვანაირად განმარტა. აღნიშნული გადაწყვეტილებები ეხება არც მეტი, არც ნაკლები, სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებში დაცული თითოეული ჩვენგანის პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს.

**როგორ განმარტავს კანონმდებელი პერსონალურ მონაცემებსა და პირად საიდუმლოებას?**

*ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით: "პერსონალური მონაცემები - საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა" (მუხ.27, "თ"); "პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია" (მუხ/ 271).; "... სხვისი პერსონალური მონაცემების ან კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას (მუხ.37)"; "საჯარო დაწესებულება ვალდებულია, არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში - სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე, თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა" (მუხ. 44);*

მართალია, ზემოთ მითითებული ნორმის მიხედვით, პირი თავად წყვეტს საკუთარი პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, მაგრამ ხშირად სადავო ხდება, თუ რა იგულისხმება "გადაწყვეტაში, ანდა "როდის უნდა გადაწყვიტოს პირმა ამ მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი? წინასწარ უნდა მიმართოს ასეთი მონაცემების მფლობელ საჯარო დაწესებულებას და აცნობოს, რომ მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს პირად საიდუმლოებად მიიჩნევს, თუ პერსონალური მონაცემები თავისთავად პირად საიდუმლოებად ითვლება და პირის მიერ მათი პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხის "გადაწყვეტაში "იგულისხმება სწორედ ის, რომ დაუშვებელია ამ პირის ნებართვის გარეშე მათი გაცემა. ანდა სხვისი პერსონალური მონაცემების მისაღებად წერილობითი თანხმობის წარდგენის აუცილებლობისათვის, აქვს თუ არა მნიშვნელობა პერსონალური მონაცემების სტატუსს - მიჩნეულია თუ არა უკვე პირად საიდუმლოებად?

სამწუხაროდ, უზენაესმა სასამართლომ არა თუ ვერ გასცა პასუხი ამ კითხვებს, არამედ ორი იმდენად რადიკალურად განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო, რომ დაინტერესებულ პირს შეძლება საერთოდ დაეკარგოს სასამართლოში წასვლის სურვილი.

**1)** საქმეზე - "თ.გ. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს წინააღმდეგ", სადაც მოსარჩელე ითხოვდა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის მიღებას, უზენაესმა სასამართლომ განმარტა: **"ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას, რაც, მოცემულ შემთხვევაში, დაცული იყო, მაგრამ იმავე ნორმის ბოლო წინადადების თანახმად, სხვისი პერსონალური მონაცემების გაცნობის თაობაზე განცხადების შეტანისას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, განმცხადებელი წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას. საკასაციო პალატის აზრით, გამოთხოვილი ინფორმაცია ნამდვილად შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, რომელთა საშუალებით შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია. ამიტომ აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე საჯარო ინფორმაციის მისაღებად აუცილებელ პირობას წარმოადგენდა სათანადო წესით დამოწმებული მხარეთა თანხმობები ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რასაც მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია".**

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ, თუ პირს საჯარო დაწესებულებისათვის საკუთარი პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის მოთხოვნით არ მიუმართავს, ეს არ ნიშნავს, რომ პერსონალური მონაცემები ღია და ყველასათვის ხელმისაწვდომია. სასამართლოს აზრით, ასეთი ინფორმაციის მისაღებად (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა) აუცილებელია წერილობითი თანხმობის წარდგენა.

აღნიშნულისგან სრულიად განსხვავებულ მოტივაციას იძლევა უზენაესი სასამართლო სხვა მსგავს საქმეზე:

**2)** საქმეზე - "სმთპ "სოლიდარობა" ქუთაისის N13 საშუალო სკოლის დირექტორ ნ.ლ.-ს წინააღმდეგ", უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ განმარტა: **"... რაც შეეხება (განცხადების) 9-ე და 12-ე მუხლებით მოთხოვნილ ინფორმაციას. პიროვნების სახელი, გვარი, მისამართი, ასაკი, სამუშაო ადგილი, განათლება, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის "თ" ქვეპუნქტის თანახმად, არის პერსონალური ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის I ნაწილით დადგენილია, რომ საჯარო დაწესებულების ვალდებულებაა, არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის, სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ან თანამდებობის პირთა პერსონალური მონაცემების გარდა, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მე-20 და 41-ე მუხლებით აღიარებულია ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩაურევლობა".**

სასამართლო ეყრდნობა კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტს და აღნიშნავს, რომ **"... ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი იმპერატიულად ადგენს, სხვისი პერსონალური ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისი პირის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობის წარდგენას ინფორმაციის გაცემის თაობაზე. მაგრამ საჯარო დაწესებულებაში არსებული ყველა პერსონალური ინფორმაცია არაა პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული, არამედ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 271-ე მუხლის მიხედვით: პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია". ამ მუხლის შესაბამისად, კასატორმა სასამართლოს ვერ წარუდგინა სკოლის პედაგოგებისაგან სპორტული წრის ხელმძღვანელების წერილობითი განაცხადი N13 საშუალო სკოლის დირექტორისადმი, მათი პერსონალური ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ. ამიტომ მე-9 და 12-ე მუხლებით გათვალისწინებული ინფორმაცია არ მიეკუთვნება პირად საიდუმლოებას და სასამართლო ეთანხმება საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, ამ ინფორმაციის გაცემის დავალდებულების ნაწილში".**

როგორც უკანასკნელი მოტივაციიდან ჩანს, ზემოთ განხილული შემთხვევისაგან განსხვავებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ, თუ პირს საჯარო დაწესებულებისათვის საკუთარი პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის მოთხოვნით წინასწარ არ მიუმართავს, მაშინ მისი პერსონალური მონაცემების მისაღებად აუცილებელი არ არის წერილობითი თანხმობა და ის ყველასთვის ხელმისაწვდომია.

მოცემულ საქმეებზე სასამართლოს მოტივაციებიდან შეიძლება გამოვყოთ საკითხის გადაწყვეტის შემდეგი ვარიანტები:

1) სხვისი პერსონალური მონაცემების მისაღებად აუცილებელია წერილობითი თანხმობის წარდგენა, მიუხედავად იმისა, ამ პირმა უკვე მიმართა თუ არა საჯარო დაწესებულებას საკუთარი პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის მოთხოვნით;

2) სხვისი პერსონალური მონაცემების მისაღებად წერილობითი თანხმობის წარდგენა მხოლოდ იმ შემთხვევაშია აუცილებელი, თუ პირმა უკვე მიმართა საჯარო დაწესებულებას საკუთარი პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის მოთხოვნით. თუ მას ასეთი მიმართვა არ გაუკეთებია, მისი პერსონალური მონაცემები ღიაა და ყველასათვის ხელმისაწვდომი;

*იმის მაგივრად, რომ უმაღლესი ინსტანციის სასამართლომ "გამოასწოროს" ქვემდგომი სასამართლოების "შეცდომა" და ერგვაროვანი პრაქტიკა დაადგინოს, მისი სხვადასხვა შემადგენლობა ერთი და იგივე საკითხზე ურთიერთგამომრიცხველ გადაწყვეტილებებს იღებს.*

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილში ცალსახად არის ნათქვამი, რომ სხვისი პერსონალური მონაცემების ან კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას, განმცხადებელი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას. აქ საუბარია პერსონალურ მონაცემებზე და, ამდენად, მათ მისაღებად წერილობითი თანხმობის წარდგენა აუცილებელია, მიუხედავად იმისა, მიჩნეულია თუ არა ეს მონაცემები პირად საიდუმლოებად.

**სხვადასხვა ტიპის საქმეების განხილვის დროს აშკარად იკვეთება ტენდენცია, რომ მოსამართლეებს ძალიან უჭირთ თავისუფალი მსჯელობა იმ შემთხვევებში, როდესაც სარჩელი მიმართულია "განსაკუთრებით მნიშვნელოვანი" სახელმწიფო დაწესებულებების წინააღმდეგ. მაშინ როცა, მაგალითად, პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ საქმეებში, უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატაც კი, უმეტეს შემთხვევებში, ფიზიკურ პირს აკისრებს მასზე არსებული მონაცემების გასაიდუმლოების ვალდებულებას.**

**რომელი საჯარო დაწესებულებიდან შეგვიძლია მოვითხოვოთ საჯარო ინფორმაცია?**

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით:

**"1. ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების და დაწესებულებების, აგრეთვე იმ პირების საქმიანობაზე, რომლებიც ამ კოდექსის შესაბამისად ითვლებიან ადმინისტრაციულ ორგანოებად.**

**2. ამ კოდექსის მოქმედება, გარდა III და არ ვრცელდება შემდეგი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე:**

**ა) საქართველოს პარლამენტი; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები;**

**ბ) საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო;**

**გ) საქართველოს სახალხო დამცველი;**

**დ) საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოები.**

**3. ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული ორგანოების და ამ ორგანოთა თანამდებობის პირების იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან.**

**4. ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია:**

**ა) დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან;**

**ბ) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან;**

**გ) სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების აღსრულებასთან;**

**დ) სამხედრო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებასთან, აგრეთვე სამხედრო დისციპლინის საკითხებთან, თუ ეს არ ეხება პირის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებს;**

**ე) საქართველოს პრეზიდენტის მიერ პირთა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანიშვნისა და გათავისუფლების, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა", "დ", "ე", "ზ", "თ", "ო" ქვეპუნქტებით, ასევე მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელებასთან;**

**ვ) საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების შესრულებასა და საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან."**

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადმა ადმინისტრაციულმა კოდექსმა აღნიშნულ საკითხს სპეციალური მუხლი მიუძღვნა, პრაქტიკაში ხშირად ხდება სადავო, თუ რამდენად ეხება მისი მოქმედება ისეთ დაწესებულებებს, როგორებიცაა:

- **სასამართლო,**
- **პროკურატურა,**
- **უშიშროების საბჭო.**

უფრო სწორად, სადავოც არაფერია. ჩვენმა სასამართლო ხელისუფლებამ, ჩვენი აზრით, კოდექსის ავტორებისა და კანონმდებლის ნების საწინააღმდეგოდ, ჩათვალა, რომ ზემოაღნიშნული ორგანოებიდან შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მხოლოდ ისეთი ინფორმაცია, რომლებიც ამ ორგანოების მიერ შექმნილია (მიღებულია, გაგზავნილია და სხვ.) **მხოლოდ ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებით** (?!).

## III თავის გავრცელება სასამართლო ორგანოებსა და საქმის მასალებზე

საქმეზე - "ძ.თ.გ. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს წინააღმდეგ", სადაც მოსარჩელე ითხოვდა სასამართლოში არსებული სამოქალაქო საქმის მასალების ასლების გადაცემას, სააპელაციო სასამართლომ განმარტა: **"ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის, რომელიც ადგენს ამ კოდექსის მოქმედების სფეროს, პირველი პუნქტით, კოდექსის მოქმედების გავრცელება განსაზღვრულია სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებისა და დაწესებულებების, აგრეთვე, იმ პირების საქმიანობაზე, რომლებიც ამ კოდექსის შესაბამისად, ითვლებიან ადმინისტრაციულ ორგანოებად, მითითებული ნორმა ზოგადი ხასიათისაა. ნორმის მომდევნო პუნქტებში კანონმდებელი აკეთებს დათქმას, რომლის მიხედვით, კოდექსის მოქმედების არეალი დიფერენცირებულია მთელი რიგი სახელმწიფო ორგანოების გარკვეულ საქმიანობებზე. კერძოდ, მე-2 პუნქტის მიხედვით, კოდექსის მხოლოდ მესამე თავი ვრცელდება რიგ სახელმწიფო ორგანოებზე, მათ შორის, სასამართლო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაზე.**

**კოდექსის 3.3 მუხლით დადგენილია, რომ ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება 3.2 მუხლში მითითებული ორგანოების და ამ ორგანოთა თანამდებობის პირების იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან.**

**სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ, ვინაიდან კოდექსის 3.2 მუხლის მიხედვით, ზაკ-ის მოქმედების სფერო ამავე მუხლში მითითებულ სახელმწიფო ორგანოებზე შემოფარგლულია III თავით, კოდექსის 3.3 მუხლში მითითებული "ამ კოდექსის მოქმედება" გაგებული უნდა იქნეს, როგორც III თავის მოქმედება, ვინაიდან ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, 3.2 მუხლით იმპერატიულად არის დადგენილი, რომ მითითებულ სახელმწიფო ორგანოებზე მხოლოდ კოდექსის III თავი ვრცელდება, ხოლო 3.3 პუნქტში მოცემული დათქმა III თავის მოქმედების არეალს კიდევ უფრო ავიწროებს და იფარგლება მხოლოდ ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობით.**

**აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ** ***სასამართლო ხელისუფლების ორგანოების მიმართ ვრცელდება ზაკ-ის III თავის მოქმედება იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან."***

იმავე საქმეზე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომლითაც ძალაში დარჩა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, არაფერია ნათქვამი კოდექსის 3.2 და 3.3 მუხლებსა და სააპელაციო სასამართლოს განმარტებაზე. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უზენაესი სასამართლო, აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იზიარებს.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების სასამართლოსეული განმარტება - **"კოდექსის 3.3 მუხლში მითითებული "ამ კოდექსის მოქმედება" გაგებული უნდა იქნეს, როგორც III თავის მოქმედება"** - ვფიქრობთ, საკამათოა. ასევე, გვიჭირს დავეთანხმოთ სასამართლოს მოსაზრებას, რომ: ძნორმის **შინაარსიდან გამომდინარე, 3.2 მუხლით იმპერატიულად არის დადგენილი, რომ მითითებულ სახელმწიფო ორგანოებზე მხოლოდ კოდექსის III თავი ვრცელდება, ხოლო 3.3 პუნქტში მოცემული დათქმა III თავის მოქმედების არეალს კიდევ უფრო ავიწროებს და იფარგლება მხოლოდ ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობით".**

მიგვაჩნია, რომ კანონმდებლის ნება ცალსახაა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის ყველა საჯარო დაწესებულებაზე უპირობო გავრცელების შესახებ (მათ შორის, სასამართლო ხელისუფლებაზეც), რაც დადგენილია 3.2 მუხლით. ხოლო 3.3 მუხლით დადგენილია მთლიანად კოდექსის მოქმედება აღნიშნული ორგანოების იმ საქმიანობაზე, რომელიც ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან არის დაკავშირებული. ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებისას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის", "ადმინისტრაციული გარიგების", "ადმინისტრაციული წარმოების" თავების გამოყენება უშიშროების საბჭოს, სახალხო დამცველის, სასამართლოებისა თუ საკანონმდებლო ორგანოების მიერ არანაირ სამართლებრივ პრობლემას არ ქმნის, მეტიც, არ არსებობს სხვა რომელიმე სამართლებრივი აქტი, რომელიც ამ ორგანოებისათვის სპეციალურად დაადგენდა განსხვავებულ წესს ადმინისტრაციული აქტის გამოცემისა ან გამოქვეყნებისათვის. შესაბამისად, თუკი დავეყრდნობით სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებას, მთელი ადმინისტრაციული სამართალწარმოება სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება.

სასამართლო გადაწყვეტილებებში არაფერია ნათქვამი ადმინისტრაციული ფუნქციისა და ამ ფუნქციის განხორციელების ფარგლებში მიღებულ დოკუმენტებზე. საკითხი, თუ რა დოკუმენტები ჩაითვლება ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელების შედეგად მიღებულ დოკუმენტებად, ბუნებრივია, ყოველთვის გამოიწვევს აზრთა სხვადასხვაობას. არადა ამ ტერმინის სასამართლოსეული განმარტება ძალზე ბევრ პრობლემებს მოხსნიდა (განსაკუთრებით იმ დროს, როცა სასამართლოები შეთანხმდნენ მხოლოდ ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელების საფუძველზე მიღებული დოკუმენტების განსაჯაროებაზე).

## III თავის მოქმედების გავრცელება პროკურატურაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის გავრცელების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია პროკურატურასთან მიმართებაში, კერძოდ, მისი გამოყენება სისხლის სამართლის საქმეების მასალებთან მიმართებაში. თუმცა, ალბათ, მკითხველისათვის მოულოდნელი არ იქნება, თუ შეიტყობს, რომ ამ შემთხვევაშიც სასამართლო ზემოთაღნიშნული მიმართულებით წავიდა და პროკურატურასაც ისევე "დაუვიწროვა" ინფორმაციის გაცემის ვალდებულება, როგორც სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს. კერძოდ, პროკურატურა მხოლოდ იმ სახის ინფორმაციის გაცემის ვალდებულება დააკისრა, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან. საქმეზე - "გაზეთი "ალია" საქართველოს გენერალური პროკურატურის წინააღმდეგ", სადაც მოსარჩელე მოითხოვდა პროკურატურაში არსებული შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცემას, სააპელაციო სასამართლომ მოგვცა "ადმინისტრაციული ფუნქციის " პირველი განმარტება:

**"სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში გენერალური პროკურატურა ახორციელებს სწორედ ადმინისტრაციულ ფუნქციას, რამდენადაც მ.ა-ის. სისხლის სამართლის საქმე წარმოებით შეწყვეტილია, რაც ნიშნავს, რომ ამ საქმეზე არ ხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, საპროცესო მოქმედებები, რაც რეგულირდება სპეციალური კანონმდებლობით და საქმე გადაცემული აქვს არქივს. მოცემულ ვითარებაში, საქართველოს გენერალური პროკურატურა სისხლის სამართლის საქმის, როგორც საარქივო დოკუმენტის, შენახვასა და დაცვას უზრუნველყოფს. აღნიშნული კი წარმოადგენს პროკურატურის არა კონსტიტუციურ და სპეციალური კანონების საფუძველზე მინიჭებულ ფუნქციებს, არამედ ადმინისტრაციულ ფუნქციას, რაც გამოიხატება სხვადასხვა სახის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში და მოქცეულია დაწესებულების ადმინისტრირების სფეროში.**

**სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ გენერალური პროკურატურის საქმიანობა მისივე არქივში დაცულ დოკუმენტებთან დაკავშირებით განეკუთვნება დაწესებულების ადმინისტრირების სფეროს, რის გამოც ამგვარი დოკუმენტები წარმოადგენს კოდექსის III თავით გათვალისწინებულ საჯარო ინფორმაციას და გენერალური პროკურატურის უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე კანონსაწინააღმდეგოა.**

**სააპელაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსაზრებას ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" კანონის ნორმათა გამოყენების თაობაზე, ვინაიდან მითითებული კანონის მე-12 მუხლში განსაზღვრულია ოპერატიული-სამძებრო ღონისძიების განმახორციელებელი ორგანოები. ასეთ ორგანოს პროკურატურა არ წარმოადგენს. კანონის 21.1 მუხლის მიხედვით დადგენილია საპროკურორო ზედამხედველობა ამგვარი ღონისძიებების განხორციელებისას კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე, აგრეთვე, ღონისძიებათა ჩატარების პროცესში გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე გენერალური პროკურატურის და პროკურორების მიერ. მოცემული სისხლის სამართლის საქმე აღძრული და წარმოებით შეწყვეტილია პროკურატურის მიერ. მოპასუხემ ვერ დაასაბუთა, საქმეზე იყო თუ არა განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობები და რა დოზით შეიცავს ს.ს. საქმე ასეთი საქმიანობის ამსახველ მონაცემებს, დოკუმენტებს და წყაროებს, რისი გაცნობაც შეზღუდულია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის 5.1 მუხლით".**

სააპელაციო სასამართლოს პოზიციას დაეთანხმა უზენაესი სასამართლოც.

ზემოთ განხილული საქმეების მსგავსად, სასამართლომ ამ შემთხვევაშიც განმარტა, რომ კოდექსის III თავის მოქმედება ვრცელდება პროკურატურის, როგორც სასამართლო ხელისუფლების დაწესებულების, მხოლოდ იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან. აღნიშნული გადაწყვეტილება ჩვენს ყურადღებას იქცევს იმდენად, რამდენადაც იგი ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებაზე, მართალია, მხოლოდ პროკურატურასთან მიმართებაში, თუმცა, მაინც გვაძლევს პირველ განმარტებას. ვინაიდან სისხლის სამართლის საქმე შეწყვეტილი იყო და გადაცემული ჰქონდა არქივს, სასამართლომ მიიჩნია, რომ პროკურატურა მის მიმართ ახორციელებდა არა კონსტიტუციური და სპეციალური კანონების საფუძველზე მინიჭებულ ფუნქციას, არამედ ადმინისტრაციულ ფუნქციას და ამიტომ, ამ შემთხვევაში მასზე ვრცელდებოდა კოდექსის III თავი. სასამართლოს აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სასამართლო არ გაავრცელებს III თავის მოქმედებას იმ საქმეების მიმართ, რომლებიც პროკურატურაშია, მაგრამ მათი წარმოება არ არის შეწყვეტილი და არქივს არ გადასცემია შესანახად.

ვფიქრობთ, სასამართლოში არსებული საქმის მასალების ხელმისაწვდომობისათვის განმსაზღვრელი უნდა იყოს არა ის, საქმე გადაცემული აქვს თუ არა არქივს, ***არამედ თითოეული საქმის მასალის ხელმისაწვდომობის საკითხი უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, კონკრეტული დოკუმენტი კანონით დადგენილი წესით არის თუ არა მიჩნეული საიდუმლოდ და მიაყენებს თუ არა ზიანს მისი გამჟღავნება კანონით დაცულ ინტერესებს.*** წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი დოკუმენტი, რომელ დაწესებულებაშიც არ უნდა იყოს იგი დაცული, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს. ანუ, არც ერთი საჯარო დაწესებულება ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტებით არ შეიძლება შემოიფარგლოს.

## დასკვნა

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილი მასალა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი იმ ხარვეზებისა და ნაკლოვანებებისა, რაც დღეს სასამართლო ხელისუფლებაშია გამეფებული. თუმცა, ნებისმიერისათვის, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია შეხება სასამართლო ხელისუფლების ორგანოებთან, ყოველივე ზემოთქმული, ალბათ, არავითარ სიახლეს არ წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ზურგს სხვადასხვა დონის სასამართლო ინსტანციებთან ურთიერთობის მრავალწლიანი პრაქტიკა გვიმაგრებს, მაინც ძნელია, არ გაგიჩნდეს შეკითხვები, რომლებიც ძალიან ცინიკურია, და მაინც, პასუხი არც "რეფორმირებული", არც "რეფორმის მომლოდინე" და არც "პოსტრევოლუციური" სასამართლო (არა მარტო) ხელისუფლებიდან არ ჩანს:

- **გრძნობს კი ვინმე ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელისუფლების გამჭვირვალობის აუცილებლობას?**
- **თუნდაც მოიგო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით აღძრული სარჩელი სასამართლოში, მოჰყვება კი მას რაიმე შედეგი?**
- **სასამართლო ხელისუფლების მიმართ ტოტალური უნდობლობის პირობებში, რამდენი მოქალაქეა მზად, ინფორმაციის საჯაროობის მოთხოვნით სასამართლოში წავიდეს?**
- **ვინაა მზად, ერთი წელი ან მეტი დრო დახარჯოს სასამართლოს დარბაზებში ლოდინით, როცა იცის, რომ საქმის მოგების სემთხვევაშიც კი, ხელში მისთვის უკვე უსარგებლო ინფორმაციის შემცველი ფარატინა ქაღალდი შერჩება?**
- **დაისჯება კი ვინმე უპასუხისმგებლობისა და გულგრილობისთვის, თუ, რა თქმა უნდა, ხელისუფლებას იგი უკვე ათვალწუნებული არ ჰყავს?**

მომზადებულია "ღია საზოგადოება - სამართლიანი ინიციატივის" ფინანსური მხარდაჭერით.

როგორია, იყო თავისუფალი, მეამბოხე ხელოვანი?



B2

ქალები და მანქანები, ან პირიქით



B5

ყველაზე სწრაფი და ყველაზე იაფი "ასტონ მარტინი"



B6

# 60 წლის ლეგენდა

ზაზა ფაჩუაშვილი

*თანამედროვე მედიცინის ცოცხალი ლეგენდა ლაური მანაგაძე 60 წლის გახდა. ეს არის ადამიანი, რომელსაც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას მუშაობის საუკეთესო პირობებს უქმნიდნენ მოსკოვში, რათა სხვაგან არ წასულიყო. შემდეგ გულმოდგინედ ექაჩებოდნენ თბილისში და აქაც საუკეთესო პირობებს სთავაზობდნენ, ოღონდ დაბრუნებულიყო. ეს არის სპეციალისტი, რომელსაც მაღალი სახელმწიფო ჩინები იქით სთხოვდნენ დიდი თანამდებობების დაკავებას. ეს არის ექიმი, რომელსაც მუდამ ეპატიჟებოდნენ საზღვარგარეთის საუკეთესო კლინიკებში სამუშაოდ და რომელსაც მუდამ ემადლიერებოდნენ, ლექსებსაც კი უძღვნიდნენ პაციენტები. ეს არის მეცნიერი, რომლის მიერ შემუშავებული მეთოდები მსოფლიო უროლოგიაშია დანერგილი და მას წარმატებით იყენებენ განვითარებული ქვეყნების წამყვან კლინიკებში. ეს არის მოღვაწე, რომელიც თავმდაბლობითაც გაგაკვირვებთ და უკომპრომისობითაც, როცა საქმეს სჭირდება.*

*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სამედიცინო აკადემიის ნამდვილი წევრი, ევროპის უროლოგთა ასოციაციის ყველაზე ახალგაზრდა საპატიო წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლაური მანაგაძე დღეს უროლოგიის ინსტიტუტის დირექტორია და თავის ჩვეულ საქმეს აკეთებს - პაციენტებს ემსახურება.*

## არჩევანი

ლაური მანაგაძემ 1961 წელს დაამთავრა 56-ე საშუალო სკოლა. იყო ძალიან კარგი ფეხბურთელი და შეეძლო სერიოზული სპორტული კარიერაც გაეკეთებინა, მაგრამ სკოლის დამთავრების შემდეგ მოსკოვში წავიდა და პირველ სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა. ამით დღემდე ძალიან ამაყობს, ვინაიდან ეს არის ძველი და ყველაზე კარგი სამედიცინო ინსტიტუტი. სხვათა შორის, ფეხბურთს მოსკოვშიც თამაშობდა და სერიოზული შემოთავაზებებიც ჰქონდა, მაგრამ ყველასთვის საბედნიეროდ არჩევანი მედიცინის სასარგებლოდ გაკეთდა.

## სტუდენტობა

წარმატებული სტუდენტისთვის სწავლა და ცხოვრება ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობდა. 1963 წელს კი, როგორც თვითონ ამბობს, მისი ბიოგრაფიის განმსაზღვრელი მოვლენა მოხდა.

ლაური მანაგაძე: **"ჩვენს საერთო საცხოვრებელში "მალაია პირაგოვსკაიაზე" ცხოვრობდა კიდევ ერთი ქართველი, ორი კურსით უფროსი სტუდენტი ლეო ბოკერია, რომელიც ინტენსიურად იყო ჩაბმული სამეცნიერო მუშაობაში. ის გახლდათ ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ქირურგიული სექციის თავმჯდომარე. სწორედ მან წამიყვანა თავის წრეში, აკადემიკოს კოვანოვის ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრაზე. უნდა ითქვას, რომ ამ წრიდან გამოვიდნენ მსოფლიო მედიცინის ვარსკვლავები და მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა თავად ბატონი ლეოა.**

**მე გავაკეთე არჩევანი ორგანოთა გადანერგვაზე. იმ დროისათვის 1963 წელს მხოლოდ თირკმლის გადანერგვის ცალკეული შემთხვევები იყო რამდენიმე ქვეყანაში. ჩვენს წრეში ამ პრობლემაზე მუშაობდა ამჟამად ცნობილი პროფესორი მარინა ბილენკო. მეც მასთან ერთად ვიყავი და, ფაქტობრივად, დღემდე მათ წრეში ვარ".**

## აღიარება

პირველი დიდი აღიარება სტუდენტობისას მოიპოვა და მას შემდეგ არც გადაუხვევია იმ გზისთვის, სადაც ერთ აღიარებას მეორე მოჰყვებოდა.

1965 წელს, როცა ლეო ბოკერიამ ინსტიტუტი დაამთავრა, სტუდენტთა სამეცნიერო სექციის თავმჯდომარე ლაური მანაგაძე გახდა. სხვათა შორის, თავმჯდომარის სიტყვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სტუდენტთა ბედის განსაზღვრაში, მაგალითად, სამსახურებრივ განაწილებაში.

1967 წელს ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სწორედ მანაგაძე გახლდათ პირველი არამოსკოველი, რომელიც მაშინდელმა სსრკ-ს სამედიცინო აკადემიამ ასპირანტად აიყვანა. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ 1970 წელს აკადემიკოსმა კოვანოვმა სრულიად ახალგაზრდა მეცნიერს მოსკოვში დარჩენა შესთავაზა.

მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა.

- რა აზრის ხართ მოსკოვში დარჩენაზე?

- სამწუხაროდ, ჩემთვის ეს შეუძლებელია, ჩაწერის შანსი არა მაქვს.

- მე თქვენ გკითხეთ, ისურვებდით თუ არა მოსკოვში მუშაობას?

- რა თქმა უნდა...

ამის შემდეგ მოხდა სრულიად უნიკალური მოვლენა. მოსკოვში ერთდროულად ჩაწერეს ლაურ მანაგაძე კოვანოვის რეკომენდაციით და ამჟამად აშშ-ში მოღვაწე ცნობილი ნეიროქირურგი ოლეგ ჩიქოვანი ნეიროქირურგიის ინსტიტუტის დირექტორის აკადემიკოს არუტიონოვის შუამდგომლობით.

ლაური მანაგაძე: **"მე და ოლეგი წავედით და ეს მოვლენა სათანადოდ აღვნიშნეთ. შემდეგ ორივეს მოგვცეს ბინა და ასე დავიწყე ჩემი მოსკოვური ცხოვრება. ჩემი ცხოვრების წესი იყო დღე და ღამე მუშაობა და ეს დღემდე ასეა. ძალიან თამამი ვიყავი სამეცნიერო დისკუსიებში და იგივე შთავაგონე ჩვენი უროლოგიის ინსტიტუტის ახალგაზრდობასაც. 1971 წლის პირველ ნახევარში დავიცავი დისერტაცია".**

## დაბრუნება

რამდენიმე თვის შემდეგ მასთან მივიდნენ პროფესორი გიზო ვასაძე (მაშინდელი ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე) და პროფესორი გურამ ტატიშვილი (ამავე ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე), რომლებმაც თბილისში დაბრუნება სთხოვეს. იმდენად დიდი იყო ახალგაზრდა მეცნიერის დაყოლიების სურვილი, რომ მას განყოფილების შექმნასა და გურამ ტატიშვილის ლაბორატორიის დათმობას დაჰპირდნენ.

ლაური მანაგაძე: **"ასე ჩამოვედი თბილისში ორგანოთა გადანერგვის ექსპერიმენტული ლაბორატორიის ხელმძღვანელად და დავიწყე კლინიკური თირკმლის გადანერგვის ცენტრის ორგანიზება. მაგრამ ამისათვის პირველ რიგში დიალიზის ამუშავება იყო საჭირო. აქ მინდა გავიხსენო დიდებული მეცნიერი ბატონი ვახტანგ ბოჭორიშვილი, რომელიც იმხანად ჯანდაცვის მინისტრი გახლდათ. 28 წლის ექიმისთვის არ იყო ადვილი, მინისტრთან მისვლა და ახალი განყოფილების შექმნის შესახებ საუბარი, მაგრამ ბატონმა ვახტანგმა მხარი დამიჭირა და განყოფილებაც დააფინანსა. ასე დავიწყეთ დიალიზი, რომელსაც 1976 წელს თირკმლის გადანერგვა მოჰყვა.**

**რომ არა ბატონი გიზო და ბატონი გურამი, მე, ალბათ, დღესაც მოსკოვში ვიქნებოდი, ისევე როგორც ჩემი თანაინსტიტუტელები ლეო ბოკერია, დემურ ჩხიკვაძე, დათო იოსელიანი და სხვები".**



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი: "ლაური მანაგაძე არა მხოლოდ დღევანდელი ქართული უროლოგიური სკოლის გამოჩენილი ლიდერია, არამედ მთელი ქართული მედიცინის ბურჯია. ჩვენი მედიცინისა და კერძოდ უროლოგიის განვითარებაში მისი წვლილი განუზომელია. ის, რომ ჩვენ დღეს გვაქვს მსოფლიო სტანდარტების შესატყვისი უროლოგიური სამსახური; ის ფაქტი, რომ დღეს საქართველოში კეთდება ყველა სახის უროლოგიური ოპერაცია, დიდწილად განპირობებულია ბატონი ლაურის ფაქტორით, რომელსაც აქვს ძალიან დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი. მე მას ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს ქართული მედიცინის საკეთილდღეოდ და იმ ათასობით პაციენტის გასახარად, რომელსაც იგი სიცოცხლეს შეუნარჩუნებს".**

**პროფესორი ამირან გამყრელიძე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ყოფილი მინისტრი: "ბატონი ლაური მანაგაძე არის ქართული სამედიცინო საზოგადოების უგამორჩეულესი პიროვნება, რომლის პროფესიონალიზმი საერთაშორისო მასშტაბითაა აღიარებული. მან შეინარჩუნა და განავითარა ქართული უროლოგიური სკოლის მდიდარი ტრადიციები. ბოლო 10-15 წლის განმავლობაში, როცა, თითქმის ყველა დარგს შეექმნა სერიოზული პრობლემები, ზოგიც საერთოდ მოიშალა, ქართული უროლოგიური სკოლა ლაური მანაგაძის ხელმძღვანელობით აღორძინდა და წინ წავიდა - აღიზარდნენ ახალგაზრდა პერსპექტიული კადრები და საფუძველი ჩაეყარა მრავალ ნოვაციას".**

**პროფესორი გელა ლეჟავა, ყოფილი ჯანდაცვის მინისტრი: "მაშინ უროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ხანში შესული იყო და მის შემცვლელს ვეძებდი. ამისათვის ქირურგიის ინსტიტუტის ყველა განყოფილების გამგეს ვთხოვე, წარმოედგინათ გაწეული სამუშაო. ლაური მანაგაძის მოხსენება გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი პროფესიონალიზმითა და ნოვატორული იდეებით, იგრძნობოდა ძალიან მაღალი ინტელექტი. მოკლედ, ლაური მანაგაძე ერთი თავით მაღლა იდგა თავის კონკურენტებზე და უეჭველი იყო იგი რაღაც ახალს მოიტანდა თავის დარგში. ამ გარემოებამ მაფიქრებინა მისი დანიშვნა უროლოგიის ინსტიტუტის დირექტორად და ყველაფერი გავაკეთე ამისათვის. სხვათა შორის, მისი კანდიდატურა ყოველგვარი კონკურენციის გარეშე გავიდა ცეკაშიც და ყველა შესაბამის ინსტანციაშიც.**

**პროფესორი გურამ ტატიშვილი: "ლაური მანაგაძეს სტუდენტობის პერიოდიდან ვიცნობდი და თვალყურს ვადევნებდი მის მოღვაწეობას. იგი წარმატებით მუშაობდა თირკმლის პათოლოგიის საკითხებზე დარგის ცნობილ სპეციალისტებთან ერთად. მე ვხელმძღვანელობდი ქირურგიის ინსტიტუტის ქსოვილების გადანერგვის ლაბორატორიას, მაგრამ, როდესაც სამედიცინო ინსტიტუტის ქირურგიის კათედრის გამგედ ამირჩიეს, ლაბორატორიის ხელმძღვანელობა ლაური მანაგაძეს შევთავაზე. ის საუკეთესო კანდიდატურა იყო. მოგვიანებით მაშინდელ ჯანდაცვის მინისტრ ბატონ გელა ლეჟავასთან ერთად გავუწიე რეკომენდაცია უროლოგიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე. დრომ გვაჩვენა, რომ არ შევმცდარვართ. ლაური მანაგაძემ დარგი ისე განავითარა, მსოფლიო სტანდარტების დონეზე აიყვანა".**

**ლაური მანაგაძე: "მოსკოვიდან დამირეკა აკადემიკოსმა ლოპატკინმა და მკითხა, როდის ჩავიდოდი მოსკოვში. მას სურდა, რომ მოსკოვის უროლოგთა ასოციაციის კრება მიეძღვნა ჩემი იუბილესთვის და მოხსენების გაკეთებას მთხოვდა. ეს ჩემთვის ძალიან ამაღელვებელი იყო, განსაკუთრებით ახლა, როცა ჩვენს ქვეყნებს შორის რთული ურთიერთობაა."**

## მორის მებელი

1975 წელს აღმოსავლეთ ბერლინიდან თბილისში ჩამოვიდა ევროპული უროლოგიის წამყვანი სპეციალისტი აკადემიკოსი მორის მებელი. სულ ორი დღით იყო, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ დიდი ექიმი ლაური მანაგაძის იდეით მოხიბლულიყო. საქმე ეხებოდა თირკმლის გადანერგვას.

ლაურ მანაგაძე: **"სამწუხაროდ, ბევრი ახალშობილი იბადებოდა სიცოცხლესთან შეუთავსებადი პათოლოგიით, მაგალითად, ნაყოფი თავის გარეშე. ამიტომ ვფიქრობდი, რომ ასეთი ნაყოფის თირკმელი მოზრდილთათვის გადასანერგად გამოგვეყენებინა. ახლა უკვე ჩემი მასწავლებელი მორის მებელი ამ იდეით ძალიან დაინტერესდა და შემომთავაზა გერმანიაში წასვლა და მის კლინიკაში ცხოველებზე ექსპერიმენტების ჩატარება".**

1975-1979 წლებში 8 და 9 თვით ლაური მანაგაძე, მართლაც, იმყოფებოდა გერმანიაში და ექსპერიმენტებს ღორებზე ატარებდა, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ მებელის კლინიკაში მანაგაძის იდეითა და ინიციატივით დაიწყო ბავშვთა გვამური თირკმლის გადანერგვა მოზრდილებში. ამ თემაზე 1981 წელს მოსკოვის მეორე მედინსტიტუტში, სადაც უროლოგიური სკოლა განსაკუთრებით ძლიერი იყო, ლაური მანაგაძემ სადოქტორო დისერტაცია დაიცვა (მაშინ გაიცნო კიდევ ერთი გრანდი, მოსკოვის უროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, რუსეთის უროლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ნიკოლოზ ლოპატკინი, რომელიც დღესაც 81 წლის ასაკში კარგ ფორმაშია და ოპერაციებს აკეთებს).

ლაური მანაგაძე: **"მორის მებელის კლინიკა წამყვანი იყო ევროპულ უროლოგიაში. ამიტომ იქ მივლინების დროს გამოვიყენე უნიკალური შანსი და მთლიანად ჩავეფლე უროლოგიაში. ეს ჩემთვის, როგორც ექიმისთვის აუცილებელი იყო, ვინაიდან მხოლოდ თირკმლის გადანერგვის სპეციალისტი საქართველოში გამოუყენებელი ვიქნებოდი. ჩვენთან თირკმლის გადანერგვის ოპერაცია იმდენად მცირე რაოდენობით კეთდება, კიდევ დიდი ხანი უნდა გავიდეს, რომ ეს ექიმის მონოსპეციალობად იქცეს. ქირურგი ყოველდღე უნდა მუშაობდეს. ასე გახდა მორის მებელი ჩემთვის მეორე საკვანძო ფიგურა".**

## ძიება

37 წლის დოქტორი ლაბორატორიის გამგე და თირკმლის გადანერგვის ცენტრის ხელმძღვანელი იყო, მაგრამ მის პროფესიულ პოტენციალს ეს არ აკმაყოფილებდა. ამიტომ დაიწყო დამატებითი საქმის ძიება. უკვე გადაწყვეტილი იყო მისი აყვანა სამედიცინო ინსტიტუტის უროლოგიის კათედრის პროფესორად, როცა ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორმა გიგლა იოსელიანმა დაიბარა და მოადგილეობა შესთავაზა.

ლაური მანაგაძე: **"ეს არ იყო ჩემთვის მომხიბლავი წინადადება, თუმცა მოგვიანებით ბატონმა გიგლამ კიდევ უფრო მოულოდნელი ამბავი შემატყობინა. თურმე მაშინდელ ჯანდაცვის მინისტრს ბატონ გელა ლეჟავას გადაუწყვეტია ჩემი დანიშვნა უროლოგიის ინსტიტუტის დირექტორად. ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო, ვინაიდან მხოლოდ 40 წლის ვიყავი. მას შემდეგ 20 წელი გავიდა."**

## გადახვევა

ლაური მანაგაძის ბიოგრაფიაში იყო ორი მომენტი, რასაც თავად ბატონი ლაური გადახვევას უწოდებს. 1991 წელს პირველი პრეზიდენტისა და მაშინდელი ჯანდაცვის მინისტრის დაჟინებული თხოვნით იგი სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი გახდა, მაგრამ სულ რამდენიმე თვე გაძლო, ჩემი სამყარო არ იყოო.

1999-2003 წლებში კი პარლამენტის დეპუტატი იყო და სრულიად კონკრეტული მიზნისთვის იღვწოდა - სურდა, სამედიცინო დაწესებულებებისთვის სრულიად ალოგიკური გადასახადები მოეხსნა. მიაღწია კიდეც თავისას და დღეს სამედიცინო დაწესებულებები აღარ იხდიან სამეწარმეო, მოგების, საგზაო, ქონების და მიწის გადასახადებს.

## ქართული უროლოგიური სკოლა

დასავლეთ ევროპაში ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ დიდმა ქართველმა მეცნიერმა ალექსანდრე წულუკიძემ გადაწყვიტა, საქართველოში უროლოგიის დარგის დაფუძნება და განვითარება. ამ მიზნით 1929 წელს თბილისში პირველი უროლოგიური საწოლები შეიქმნა. ეს სანატრელი მოვლენა იყო ბევრი ქვეყნისთვის. შემდეგ წულუკიძე გახდა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის რექტორი, შემოიკრიბა მოწაფეები და შექმნა უროლოგიის კათედრა. იმ დროისათვის საქართველოში უფრო მეტი დოქტორი იყო, ვიდრე მთელ უკრაინაში და რუსეთში ერთად (მოსკოვის გამოკლებით). 1959 წელს წულიკიძე გახდა რუსეთის სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი და შეძლო დაერწმუნებინა საბჭოთა ხელისუფლება სსრკ-ში უროლოგიის ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობაში და იმაშიც, რომ იდეის წარმატებით განხორციელება შესაძლებელი იქნებოდა თბილისში. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება (კიევში უროლოგიის ინსტიტუტი შეიქმნა 7 წლის შემდეგ, მოსკოვში - 10 წლის შემდეგ).

1962 წელს, მსოფლიო პრაქტიკიდან ერთი წლის შემდეგ, ალექსანდრე წულუკიძემ უროლოგიის ინსტიტუტში გახსნა ხელოვნური თირკმლის - დიალიზის განყოფილება. სამი წლის შემდეგ პირველად საბჭოთა კავშირში შექმნა ბავშვთა უროლოგიის განყოფილება. ამდენად ქართულმა უროლოგიურმა სკოლამ დიდი გზა განვლო. ალექსანდრე წულუკიძის ხედვა კი იმდროინდელ უროლოგიას კარგა ხნით უსწრებდა. მაგალითად, მისი რევოლუციური იდეა იყო შარდის ბუშტის პროტეზირება, რაც იმ დროისათვის წარმატებული არ აღმოჩნდა. მოგვიანებით კი იდეას ხორცი შეასხა ლაური მანაგაძემ.

წულუკიძის შემდეგ ინსტიტუტის დირექტორი გახდა სოკრატ არშბა. სწორედ მისი და მისი მოადგილის ნიკო იზაშვილის დამსახურებაა იმ შენობის აშენება, რომელშიც დღეს უროლოგიის ეროვნული ცენტრია განთავსებული. ამ შენობაში გაუკეთა ოპერაცია სოკრატ არშბამ მსოფლიო ჩემპიონს მიხეილ ტალს, რომელიც რიგაში ცხოვრობდა.

## უროლოგიის ეროვნული ცენტრი

ლაური მანაგაძე: **"ჩემი დირექტორობის პერიოდში ჩვენმა ინსტიტუტმა მართლაც ვეებერთელა გზა განვლო განვითარებისკენ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს იყო მსოფლიო უროლოგიის განვითარების პერიოდი, რასაც ჩვენ არასოდეს ჩამოვრჩენილვართ. ჩვენთან კეთდება ყველაფერი, რასაც მსოფლიო უროლოგიაში აკეთებენ".**

როგორც ზემოთ ითქვა, რევოლუციური იდეები ქართული უროლოგიისთვის უცხო ხილი არ იყო. ხშირად სწორედ აქ იქმნებოდა უახლესი მეთოდები და კეთდებოდა პირველი ისეთი ოპერაციები, რომლის ანალოგები მსოფლიოში არ მოიძებნებოდა. ერთადერთი ხელშემშლელი პირობები უსახსრობაა. მაგალითად, წელს მხოლოდ 6 ტრანსპლანტაცია გაკეთდა, ვინაიდან სახელმწიფოს მეტი ფული არ აღმოაჩნდა. ასეც რომ არ იყოს, სახელმწიფო დაფინანსება საკმარისი მაინც არ არის, მაგრამ უროლოგიის ეროვნულ ცენტრში ოპერაციები არ წყდება. როგორც დირექტორი ბრძანებს, ეს არის ერთგვარი ინვესტიცია იმისათვის რომ ცენტრი მუდმივად ვითარდებოდეს. ამ აზრს მთელი კოლექტივი იზიარებს.

საქმისადმი ასეთმა მიდგომამ, რა თქმა უნდა, დიდი შედეგიც გამოიღო და რაც ყველაზე სასიხარულოა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ახალგაზრდა მეცნიერებმა. მაგალითად, ევროპის უროლოგთა დარგობრივ-ონკოლოგიურ კონგრესზე პრიზები დაიმსახურეს ქართველმა უროლოგებმა - ზაზა მეზვრიშვილმა, ზაზა ჭანტურაიამ და გურამ ქარაზანაშვილმა. ასეთი მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

ლაური მანაგაძე: **"1995 წელს საქართველოში ჩამოვიდა ევროპის უროლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი. მოგეხსენებათ, მაშინ ქუჩაში ავტომატიანი ხალხი დარბოდა, მაგრამ ამ კაცმა თქვა, ჩემი თვალით მინდა ვნახო, რომელი ქვეყნიდან მოდიან ასეთი მეცნიერებიო."**

1991 წელს პირველ მსოფლიო კონგრესზე ნაწლავისმიერ პლასტიკაში საბჭოთა კავშირიდან 15 კაცი იყო წარგზავნილი. საბჭოთა დელეგაციიდან სულ 7 მოხსენება გაკეთდა და შვიდივე საქართველოდან იყო. უცხოელთა მოხსენებებში კი მრავლად გამოიყენებოდა წულუკიძის ციტირება. ასე იმიტომ მოხდა, რომ ამ სფეროში ქართველი უროლოგების გარდა, სხვას არაფერი ჰქონდა გაკეთებული.

1997 წელს ჩვენი უროლოგიის ცენტრი "ევროპის კიბოს საწინააღმდეგო კვლევისა და მკურნალობის გაერთიანების" სრულუფლებიანი წევრი გახდა. ერთი წლის შემდეგ კი ქართული უროლოგია ექიმთა ევროგაერთიანებაშიც გააწევრიანეს. ამრიგად ყველა წარმატება რომ ჩამოვთვალოთ, ძალიან შორს წავალთ და გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ყოველივე ეს ლაური მანაგაძის სახელს უკავშირდება. დღეს მის ანგარიშზე 300-მდე სამეცნიერო ნაშრომია. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ შარშან გამოცემული, თუ შეიძლება ასე ითქვას, საერთაშორისო მონოგრაფია, რომლის ავტორები მსოფლიო გრანდები არიან. მათ შორის პირველი ლაური მანაგაძის გვარი წერია.

უახლოეს მომავალში კიდევ ერთი მონოგრაფიის მოწმენი გავხდებით, რომელსაც ლაური მანაგაძე რუდოლფ გოგენფელნერთან ერთად აკეთებს. ეს არის "უროლოგიური ქირურგია დამწყებთათვის".

B2 რევიუ B3 რევიუ B4-5 სპორტი B6 ავტომობილი B7 კვირის TV პროგრამა B8 სხვადასხვა



# აფიშა

## კონცერტები

**დიდი საკონცერტო დარბაზი**
ფესტივალი "ოქროს ვარდი"
ქართველი მონაწილეების გალა კონცერტი და ლაურეატების დაჯილდოება
დას: 18:00 სთ.

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო სტუდია
საოპერო კიჩი პერგოლეზისა ("მოახლე ქალბატონი") და მოცარტის (ბასტიენი და ბასტიენა) თემებზე
დას: 18:00 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
არტურ შნიცლერის "წრის" მიხედვით
"პიესა ათ ინტიმურ აქტად"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ვაჟა-ფშაველა
"გველისმჭამელი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
შვარცის მიხედვით
"ჩვეულებრივი სასწაული"
რეჟისორი: გოგი თოდაძე
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
უილიამ შექსპირი
"ტიტუსი"
რეჟისორი: დავით შალიკაშვილი
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**კინოს სახლი**
პაზოლინის ფილმების ჩვენება
"დეკამერონი"
დას: 18:00 სთ.

**რუსთაველი**
"ალექსანდრე"
დას: 11:30; 15:00; 18:30; 22:00 სთ.

**ამირანი**
"ალექსანდრე"
დას: 22:00 სთ.

"რიდიკის ქრონიკები"
დას: 12:00; 14:00; 19:30 სთ.

"ტერმინალი"
დას: 17:00 სთ.

## გამოფენები

**ქარვასლა**
"ქრისტიანობის 2000 წელიწადი"

**TMS**
ეკა ხუნწარიას, ირმა ხოფერიას, ნინო ყვავილაშვილის, ქეთი ქავთარაძისა და ნინო ხოფერიას (ტექსტილის სამხატვრო სტუდია La Maison Bleue) ნამუშევრების გამოფენა

**ძველი გალერეა**
გია ბუღაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
ქართული რევოლუციის წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა

**სამხატვრო აკადემია**
აკადემიის დაარსებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა

**სალონი "ხელოვნება"**
ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა-გაყიდვა

**ბავშვთა სურათების გალერეა**
"ზამთარი ჩვენს სახლებში"

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# სარეაბილიტაციო სამუშაოები ვარძიაში

დღეს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ვაჩეიშვილი ჩატარებული სამუშაოების მონიტორინგის მიზნით ვარძიაში გაემგზავრა.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამიდან 2004 წლის ნოემბერში ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის სამთო-გამწმენდითი და წყალგადამყვანი ღარების აღდგენითი სამუშაოები დააფინანსა.

წლების განმავლობაში დაგროვილმა გადაუჭრელმა პრობლემებმა - აქტიური სეისმური ზონის მიუხედავად, არ ჩატარებულა საკონსერვაციო სამუშაოები, სახელმწიფოს მხრიდან არ არსებობდა განვითარების სტრატეგია, - დაამძიმა ძეგლის ფიზიკური მდგომარეობა. დღეისათვის ვარძიას სერიოზული რეაბილიტაცია ესაჭიროება, რომლის პირველ ეტაპზეც სამინისტროს მიერ დაფინანსდა შემდეგი ფიზიკური სამუშაოები: მთასვლელთა ჯგუფმა მთავარი კომპლექსის თავზე მდებარე კლდის ქანი გაწმინდა; მოეწყო სანიაღვრე წყლების გადამყვანი ღარები. ვარძიის აღდგენითი სამუშაოების პროგრამის პირველ ფაზას მოჰყვება კომპლექსის სრული რეაბილიტაციის ეტაპობრივი განხორციელება. *24 საათი*

# როგორია, იყო თავისუფალი, მეამბოხე ხელოვანი?

### "მას ჰქონდა ძალიან დიდი ფრთები, რომელიც სიარულში უშლიდა ხელს"

სალომე კიკალეიშვილი

*გრძელდება საფრანგეთის საელჩოსა და დიუმას სახელობის კულტურის ცენტრის მიერ ორგანიზებული ციკლი "დოკუმენტური ფილმის თვე", რომლის მასპინძელი ამჯერად კინოთეატრი "ამირანია". იქ ორი დღის განმავლობაში წარმოდგენილი იყო ფრანგი რეჟისორის პატრიკ კაზალსის "კავკასიური ფილმები": "მეამბოხე სერგო ფარაჯანოვი", "ალექსანდრე დიუმას ათას ერთი აღმოსავლეთი" (ფრანგი მწერლის მოგზაურობა თბილისში 1858 წელს) და "სარტრისა და ბოვუარის თავგადასავლები კავკასიაში".*



იური ლობოდინის ფოტო

*პატრიკ კაზალსი "ამირანის" ფოიეში.*



*სერგო ფარაჯანოვის ციხეში გაკეთებული ჩანახატები.*

კინოთეატრში შესვლისთანავე ყურადღებას იქცევდა კიბესთან მდგარი მოლბერტი, რომელზეც ხის მუქ ჩარჩოში ჩასმული, პატარა მაქმანით მორთული, ხანში შესული, თეთრწვერიანი მამაკაცის პორტრეტი იდო - სერგო ფარაჯანოვის ფოტო, რომელიც ერთდროულად სიცილს, მხიარულებას, სევდას, ნოსტალგიას ბადებდა; წელზემოთ შიშველი, უამრავი ყვავილით ხელში, თავზე რაღაც ხის გალიის მსგავსით და ზემოდან... ჩიტი - უცნაური, კოლაჟური, ბავშვური, ლამაზი და ისეთივე მიამიტური, როგორიც მისი ფილმები.

იური მეჩითოვის ეს ფოტო ერთ-ერთი საუკეთესოა მათ შორის, რომელიც ფოტოგრაფს ფარაჯანოვის თემაზე შეუქმნია. "შენ არ იცი, რა განძს გიტოვებ, ჩემ პორტრეტებს რომ გაკეთებინებ", - უთქვამს ერთხელ ფარაჯანოვს და ის ნამდვილად არ შემცდარა. რადგან, რომ არა იური მეჩითოვის სოცარი ფოტოები, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი, რიგითი პორტრეტის ჩარჩოებს და ქმნის ისეთ ფარაჯანოვს, როგორიც მისი ფილმებისა და სამყაროს გაცნობის შემდეგ წარმოუდგენია - თავისუფალი, ბავშვური, კეთილი მეზღაპრე... ჩვენ, ქართველებს, ალბათ, არაფერი შემოგვრჩებოდა, გარდა ვიდეოფირზე დარჩენილი "საიათნოვასი", "სურამის ციხის", "აშუღ-ქერიბის"...

კინოთეატრის ფოიეში გამოფენილი "ფარაჯანოვი" კი ისევ ისეთი ლაღი, თავისუფალი და უბრალო იყო: შავ მასალაზე, უბრალო თოკით დაკიდებული პორტრეტები, ექსპრომტად თუ თავად რეჟისორის იმპროვიზაციით შექმნილი სახეები, ყოველგვარი მინისა და ჩარჩოს გარეშე - ისეთი, როგორიც იყო თავად სერგო ფარაჯანოვი, მთელი თავისი ტრაგიკული, წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების მანძილზე.

რაც შეეხება ოთხშაბათ საღამოს კინოთეატრში შეკრების მიზეზს, ეს იყო ჩვენთვის უცნობი ფრანგი რეჟისორის პატრიკ კაზალსის მიერ 2003 წელს გადაღებული ფილმი "მეამბოხე ფარაჯანოვი", რომელიც რეჟისორმა ფარაჯანოვის 80 წლის იუბილეს მიუძღვნა.

ფილმი არა მარტო დაგვიანებით, არამედ კურიოზებით დაიწყო. ტექნიკური ხარვეზების გამოსასწორებლად, "ამირანის" თანამედროვე ინტერიერში მამაპაპური ხის კიბის გამოჩენამ, ზედ ამძვრალი მექანიკოსით, დარბაზში გაურკვევლობისა და მხიარულების ელფერი შემოიტანა. მთელი ყურადღება გადავიდა მექანიკოსზე, რომელიც მაყურებლის ფოტო თუ გადამღები სატელეფონი აპარატების სამიზნე გახდა. მცირე გართობის შემდეგ, როგორც იქნა, კედელში ჩამაგრებულ საპროექციო აპარატში ჩხირკედელაობამ შედეგი გამოიღო და ფილმიც დაიწყო. მხოლოდ ეგ არის, ამ სიტუაციით ძალიან დაიბნენ ფრანგი სტუმრები, რომლებიც გაოცებული იყურებოდნენ აქეთ-იქით. მე და ჩემი თანამემამულეები კი ისე ვგრძნობდით თავს, როგორც თევზი - წყალში, რადგან ერთადერთი, რაც მომავალში უცხოელებს დაგვამსგავსებს, ეს დროზე და კურიოზების გარეშე დაწყებული ღონისძიება იქნება.

თავისთავად, ფარაჯანოვი იმდენად ყოვლისმომცველი და საინტერესო ფენომენია, რომ რეჟისორი კაზალსი არც ისე იოლი ამოცანის წინაშე აღმოჩნდა. მას უნდა მოეხერხებინა, ერთ ფილმში ჩაეტია ამ ადამიანის სამყარო, მისი მეამბოხე სული, ტრაგედია და სიყვარული. თუმცა, შეუძლებელია, ეს ფილმი უინტერესო გამოსულიყო, რადგან მისი მთავარი გმირიც და მთავარი რესპონდენტიც სერგო ფარაჯანოვია. ის გვიყვება თავისი ბავშვობის, ახალგაზრდობის, ფილმების, მსახიობების შესახებ.... ეს ფარაჯანოვის აღსარება იყო. "ვერ გავიგე, ვინ უნდა გამცეს პასუხი იმაზე, თუ რატომ გავატარე მთელი 15 წელი უმუშევრობასა და უფულობაში? რატომ ვიჯექი სამჯერ ციხეში? ერთხელ სტალინის, მეორედ ბრეჟნევის, მესამედ ანდროპოვის დროს, მითხარით, ვინ იქნება მეოთხე, წინასწარ მეცოდინება, ვინ ჩამსვამს... რატომ უნდა მეძინოს ქოლგით? რატომ ვარ შემოქმედებითად გალატაკებული და რატომ მრჩება განუხორციელებელი 23 სცენარი?" - კაზალსის ფილმში უპასუხოდ რჩება ფარაჯანოვის კითხვები.

კაზალსის ფილმი არ არის მოგონება ფარაჯანოვზე. პირიქით, ის ისევ ცოცხალია, ენერგიული, თავისი თოჯინებით და კოლაჟებით, ჩალის ლამაზი თავსაბურავებით ქალებისთვის - გატაცებით, რომლითაც მას დრო გაჰყავდა ციხესა და უმუშევრობაში.

"ფარაჯანოვი 1986 წელს გავიცანი, - ჰყვება **პატრიკ კაზალსი.** - მას მერე მუდმივი კონტაქტი გვქონდა. ის იყო უნიჭიერესი, უზომოდ თავისუფალი ადამიანი, მხატვარი, დეკორატორი, რომელსაც საშინლად ავიწროებდნენ საბჭოთა კავშირში. მასზე მომზადებული მქონდა რამდენიმე რეპორტაჟი, მასალები ფრანგულ პრესაში, წიგნი, მოკლემეტრაჟიანი ფილმი. როდესაც სერგო გარდაიცვალა, მივხვდი, რომ საჭირო იყო რაღაც ახლის თქმა, ახლის შექმნა. ამიტომ დავიწყე მუშაობა ამ ფილმზე. სერგოა გვიყვება საკუთარ თავზე, ფილმებზე. როცა ფილმის შექმნაში დახმარება ვითხოვე, მართალი გითხრათ, დიდად არავინ დაინტერესებულა. მხოლოდ სერგოს მეგობრები და ნათესავები დამეხმარნენ".

დოკუმენტური ფილმი - ეს არის თავად ფარაჯანოვი ფარაჯანოვზე, მისი მეგობრები, ფრანგი კინოკრიტიკოსი, მისი მსახიობი - სოფიკო ჭიაურელი. "აშუღ-ქერიბის" გადაღებები, მუშაობა ამ ფილმის მთავარი როლის შემსრულებელთან, რომელიც სერგო ფარაჯანოვის მეზობელი იყო. "ხედავ, მსახიობი რა მასალაა, განსაკუთრებით ტიპაჟი. შეხედე ამ ბიჭს. იმდენს ვაწვალებ, ალბათ, ველარ მიტანს". - ჰყვება ფარაჯანოვი. - "როგორც გინდა, დაახურე ეს ქსოვილი, ის ხან ეგვიპტელი გახდება, ხან - არაბი, ხან - ბერძენი... ამიტომ მიყვარს პაზოლინის, ფელინის ფილმები, რომლებიც საოცარ ტიპაჟებს არჩევდნენ", - აგრძელებს საუბარს და თან ენერგიულად, სხვადასხვანაირად აფარებს ფერად ქსოვილს 22 წლის მეზობელ "ტიპაჟს".

როგორ არ ცდილობდნენ მეგობრები, დაეხსნათ საბჭოთა კავშირის მარწუხებიდან, რომელიც მუდამ სდევნიდა როგორც რეჟისორს, ისე მის ფილმებს. ივ სენ ლორანის წერილი საბჭოთა კავშირის მთავრობისადმი, სადაც ცნობილი კუტურიე ფარაჯანოვს მოდელიერის ადგილზე სამუშაოდ იწვევდა... ფრანგულ პრესაში გამოქვეყნებული სტატიები, სერგოს დაპატიმრების, წაყენებული ბრალდებების შესახებ, დაუმტკიცებელი სცენარები... "ისე არ წავალ ამქვეყნიდან, რომ თბილისში მისი მუზეუმი არ დავაარსო", - გვპირდება კაზალსის ერთ-ერთი რესპონდენტი ედუარდ შევარდნაძე და იმ პერიოდს იხსენებს - როგორ დაიხსნეს ციხიდან და ჩუმად დააბრუნეს "აშუღ-ქერიბის" გადაღებებზე. ფილმის საშუალებით ვესტუმრეთ 1991 წელს ერევანში გახსნილ ფარაჯანოვის მუზეუმს, რომელშიც რეჟისორის პირადი ნივთებია გამოფენილი, სადაც ხშირად იკრიბებიან მისი მეგობრები და შესანდობარს სვამენ. "იმ დროს ქართველები სამოქალაქო ომისთვის ემზადებოდნენ. არავის ეცალა ფარაჯანოვისთვის, რომელიც სომხებმა წაასვენეს, დამარხეს, მუზეუმი აუშენეს..." - ამბობს საფრანგეთში მოღვაწე სომეხი ხელოვანი.

ტრაგიზმით სავსე ფარაჯანოვის ცხოვრებამ ეკრანზე წარმატებით ჩაიარა. ტექნიკური კურიოზი აღარავის ახსოვდა. გინდოდა, კიდევ ცოტა ხანს გეყურებინა, მოგესმინა მისი მონაყოლისთვის. "მოდი, აიღე ახლა აპარატი და გადამიღე", - ეუბნებოდა მეჩითოვს. თან რაღაც გასაოცარ კომპოზიციას მოიგონებდა, თუნდაც, ისეთს, როგორიც "ამირანის" შესასვლელში გამოფენილი ფოტოა. მისი პანაშვიდის ფოტოებიც, რომელიც ფილმის ბოლო კადრებშია, შემაძრწუნებელად არ გამოიყურება (რაც ბუნებრივი იქნებოდა). ის რეჟისორის მორიგ იმპროვიზაციას უფრო ჰგავს, ფოტოგრაფის წინ გათამაშებულ სცენას, რადგან... მისი სამყარო ხომ მარადიული და უკიდეგანოა, დასაწყისისა და დასასრულის გარეშე.

# ვუყვარვართ თუ არა წიგნებს?

### ტრადიციული ხუთშაბათობა "წიგნის სახლში"

სალომე კიკალეიშვილი

ერთობ უცნაური შედარება - მწერლისა ბარმენთან და პასუხი კითხვაზე: "კი მაგრამ, ჩვენ თუ ვუყვარვართ წიგნებს?" ასეთი საინტერესო საუბრის მოსმენა ელოდა გუშინ წიგნის სახლში მისულ მსმენელს. ტრადიციისამებრ, ამ დროს, ხუთშაბათს, საღამოს ხუთ საათზე, საინტერესო შეხვედრები ეწყობა ზაალ სამადაშვილის ციკლში "ჩემი სამაგიდო წიგნები".

ამჯერად "წიგნის სახლის" პატარა, "შემოლობილი" ლიტერატურული სივრცე მიხო მოსულიშვილს დაეთმო.

"მე მაინტერესებს, რას კითხულობენ ის მწერლები, რომლებიც მომწონს, რომლებიც კარგად აკეთებენ თავიანთ საქმეს. დღევანდელი სტუმარი კი ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ავტორია", - ასე გააცნო დამსწრეთ ზაალ სამადაშვილმა ხუთშაბათობის სტუმარი "კარგი მწერალი". ეს ხომ იგივე ბარმენია, რომელსაც უნდა შეეძლოს შენი დატყვევება. დაგაჭერინოს ერთი ჭიქა სასმელი, გემრიელად მოკალათდე და... დაიწყოს ლაპარაკი, რომელსაც ვეღარასოდეს მოწყდები და სამუდამოდ მისი მუშტარი გახდები".



ვახო ბესელიას ფოტო

*ყოველ დილით ვფიქრობ: ნეტა ავად გავხდე, სახლში დავრჩები და ჰესეს გადავიკითხავ-მეთქი.*

საინტერესო შეხვედრა მიხო მოსულიშვილთან, საუბარი ლიტერატურის სამყაროში ცნობილ თუ უცნობ მწერლებზე, ბავშვობაში წაკითხულ და განცდილ წიგნებზე, პირველ შთაბეჭდილებაზე, წიგნის დანიშნულებაზე და ყველასთვის ნაცნობ, ბავშვურ ნატვრაზე: "თუ სკოლაში სწავლისას იმაზე ვოცნებობდი, ნეტა, ავად გავხდე, სკოლას გავაცდენმეთქი, ახლა ოცნება ოდნავ შემეცვალა, ყოველ დილით ვფიქრობ: ნეტა ავად გავხდე, სახლში დავრჩები და ჰესეს გადავიკითხავ-მეთქი".

გალაკტიონი, ბორხესი, ჯოისი და მრავალი სხვა - ასეთია მიხო მოსულიშვილის "სამაგიდო წიგნები", უფრო სწორად, უჯრის წიგნები, რომლებიც დროდადრო ამოდიან ხოლმე ზემოთ, თავიდან გადაიკითხებიან და შემდეგ ისევ ბრუნდებიან უკან, გარკვეული ხნით. "ბორხესი - ეს მეტაფორაა, სადაც ყველაფერი, ნოველები თუ მოთხრობები, ტოტალურად მეტაფორულია, რომელზეც დღესაც უამრავი გამოკვლევა იწერება", - განაგრძობს სტუმარი. - "მაგრამ იცით, რა მაინტერესებს უფრო მეტად? ჩვენ კი გვიყვარს წიგნები, მაგრამ აი, მათ თუ ვუყვარვართ?"

ბავშვობაში განცდილი უცნაური შეგრძნება, რომელიც "გრაფი მონტე კრისტოს" წაკითხვის შემდეგ დაებადა: "მე არ ვუყვარვარ "მონტე კრისტოს" ისევე, როგორც მე არ მიყვარს მისი გაბოროტებული, შურიანი პიროვნება. სამაგიეროდ, ვუყვარვარ "სამ მუშკეტერს" ისევე, როგორც მე - ისინი. მათი ერთგულების, სიყვარულის, მეგობრობის გამო". კითხვას: "თქვენ რომელი უფრო გიყვართ?" ასე უპასუხა: "ალბათ, პორთოსი. ჩვენ ხომ რაღაცით ვგავართ კიდეც ერთმანეთს".

უამრავ მაგალითს ბადებდა თითოეული მსმენელის მეხსიერებაში მოსულიშვილის მიერ გაკეთებული საინტერესო შედარება, უფრო სწორად, ტექსტის წაკითხვის მისეული მეთოდი. როდესაც წაკითხული, განცდილი ასოცირდება ხელოვნების ამა თუ იმ დარგთან, ანუ როცა რომელიმე ნაწარმოების წაკითხვისას თითქოს ხდება მისი იდენტიფიკაცია, მაგალითად, რომელიმე მუსიკალურ ნაწარმოებთან, მხატვრის ტილოსთან. "რადგან წიგნი, თავისთავად, ორგანულად აერთიანებს თეატრს, ნახატს, მუსიკას. ის სულ მოძრაობაშია, არასდროს ჩერდება". ასეთია იაპონური, ჩინური პოეზია და პროზა, აკუტაგავა... თავისი გასაოცარი მინიატიურული სივრცით. "რაკი მინიატიურაზე ჩამოვარდა სიტყვა, უნდა ვახსენო ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი მწერალი რევაზ ინანიშვილი, ერთ-ერთი სამაგიდო წიგნის ავტორი. მისი საოცარი სამყარო, ქართული სულის სიღრმისკენ დაბრუნება, რომელსაც ვიღაცებმა "ორღობის მწერალიც" კი უწოდეს. ერთი რამ ზუსტად ვიცი: მე "მთვარის ასულსაც" ვუყვარვარ", - ამთავრებს სტუმარი.

- "აბა, როგორი იყო ბარმენი მოსულიშვილი?" - გაისმა ბოლოს "წიგნის სახლში". შეხვედრამ "ჩემი სამაგიდო წიგნის" გუშინდელ სტუმართან საინტერესოდ, მე ვიტყოდი, მხიარულადაც კი ჩაიარა. ზაალ სამადაშვილის ციკლი მომავალ ხუთშაბათამდე დაემშვიდობა მსმენელს.

თუმცა, მანამდე, 28 ნოემბერს, ბავშვებს ელით საინტერესო შეხვედრა მსახიობ გია აბესალაშვილთან, რომელიც მათ ჭაბუა ამირეჯიბის ზღაპრებს წაუკითხავს.

# "მრავალჟამიერი" თოვლიან კიევში

## პოლიტიკურად ხუთიანზე შესრულებული იდეა





ვერა ნეფარიძე

*ორი დღის განმავლობაში ქართული საინფორმაციო საშუალებები ამაყად გვატყობინებდნენ ქართველი "წვიმის მუსიკოსების" კიევში გამგზავრებას. შემდეგ, წამიერად ისიც გვაჩვენეს, "დამოუკიდებლობის მოედანზე" როგორ შესრულდა "მრავალჟამიერი". "ნარინჯისფერ უკრაინელებს" გაუხარდათ მოძმე ქართველთა მხარდაჭერა; თავის მხრივ, ჩვენმა საზოგადოებამაც ბევრი იამაყა ამ ჟესტის გამო. "წვიმის მუსიკოსებს" კი, საკუთარი მისია ბოლომდე აღსრულებულად არ მიაჩნიათ.*

### თბილისის მერიიდან კიევის დამოუკიდებლობის მოედნამდე

ასე მგონია, "წვიმის მუსიკოსები" პოლიტიკური, საზოგადოებრივი, თუნდაც მუსიკალური გაერთიანებაა, რომელსაც ნებისმიერ დროს შეუერთდება მსურველი. არადა, ჯერ არავის დავიწყნია, რატომ უწოდა ხალხმა "ზუმბას", "33ა"-ს, "სოფთ ეჯექთს", ირაკლი ჩარკვიანს, პანჩოს, "მწვანე ოთახს" ამგვარად; ყველას ახსოვს ჯერ კიდევ ნოემბრის შუა რიცხვებში, მაშინ, როდესაც ბევრმა მუსიკოსმა საპარლამენტო არჩევნების წინა დღეს "ლოკომოტივის" სტადიონზე სახელისუფლებო პარტიის მხარდასაჭერ კონცერტზე გამოსვლისთვის (ცხადია, ფონოგრამაზე) ჰონორარები მიითვალა, ზემოთ ჩამოთვლილი მუსიკოსები მოძრავი სცენითა და "მი-ფა-სის" აპარატურით ამხნევებდნენ საკუთარ თავსაც და წვიმიან ამინდში შეკრებილ ახალგაზრდობას (სასწავლებლებთან), უბრალოდ, საზოგადოებას (პარლამენტის შენობასთან). სახელწოდებაც - "წვიმის მუსიკოსები" აქედან მოდის სწორედ. ამიტომაც, გუშინწინ უკრაინაში გამგზავრებული დელეგაციისთვის, უბრალოდ, ქართველი მუსიკოსების ჯგუფი რომ დაერქმიათ, არა მგონია, ეს უკრაინელ ხალხს სწყენოდა. მაგრამ, საქმე იმაშია, რომ იდეა მართლა "წვიმის მუსიკოსებისგან" წამოვიდა (როგორც გავარკვიე). სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ადამიანი, რომელიც სიყალბეს ქმნის (მომბეზრდა "ფონოგრამშიკებზე" ხაზგასმა, მაგრამ ეს ძალიან მნიშვნელოვანია), გასაკვირი არაა, რომ თავში არ მოუვა ამგვარი სურვილი. მით უმეტეს, როგორ მოიფიქრებდნენ ამას ისინი, ვინც თავის დროზე საკუთარ ხალხს არ დაუდგა გვერდში?

ამ ვოიაჟის ისტორია მოკლედ ასეთია: კიევში კონცერტის გამართვის, უფრო სწორად, უკრაინელი რევოლუციონერების მხარდასაჭერად კიევში გამგზავრების იდეა "წვიმის მუსიკოსებიდან" რამდენიმეს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ტელევიზიით კიევში განვითარებული მოვლენების გადაცემის ყურებისას დაებადა. იდეის განხორციელება სახელმწიფო უწყების (ჩვენი ინფორმაციით, ინიციატივა მერიის კულტურის საქალაქო სამსახურმა გამოიჩინა) ხელმძღვანელობის ჩარევით გადაწყვიტეს. ორგანიზატორებს ტრანსპორტირების, კიევში ქართველი მუსიკოსების დაბინავების საკითხზე უნდა ეზრუნათ და იზრუნეს კიდეც. თუმცა, თბილისის აეროპორტში შეკრებილი დელეგაცია როგორ შეირჩა, ვერ გეტყვით (ყოველ შემთხვევაში, "წვიმის მუსიკოსებს" ამაზე არ უზრუნიათ). ამგვარად შეიკრიბა მუსიკოსთა დელეგაცია (მათთან ერთად იყო დავით ოქიტაშვილიც) ამ შემადგენლობით: "სოფთ ეჯექთი", "ზუმბა", "მწვანე ოთახი", მამუკა ონაშვილი, ლექს-სენი, გიგა მიქაბერიძე, "ქუჩის ბიჭები", ზურა დოიჯაშვილი, "სეიშენი".

### რევოლუცია live-ს გარეშე

კიევში ჩასულ მუსიკოსებს ყველაფერი შარშანდელ თბილისს აგონებდათ. განსხვავება მხოლოდ მასშტაბებში იყო. ნაკლებადგანათებულ გარეუბნებში მუქი ფერები, შავ, ტყავის ქურთუკებში გამოწყობილი ხალხის ჭარბობს; კიევის ქუჩებში ოდესიდან გადასროლილი "ომონელები" დადიან იმიტომ, რომ ადგილობრივები ხელისუფლების ბრძანებას, დაარბიონ მშვიდობიანი მომიტინგეები, არ დაემორჩილებიან. ისევე როგორც შარშან თბილისში, წელს კიევში სხვადასხვა ქალაქიდან ჩაიყვანეს იანუკოვიჩის მომხრეები; დამოუკიკიდებლობის მოედანზე (რომელიც, კიევის ერთადერთი გამორჩეულად ნათელი ადგილია ამ დღეებში) დღის განმავლობაში მილიონნახევრამდე ადამიანი იკრიბება; გულანთებული კიეველები აქ ერთმანეთზე განსაკუთრებით ზრუნავენ, თავაზიანად ურთიერთობენ, - ყველაფერი ისევეა, როგორც შარშან ჩვენთან იყო. განსხვავება ერთ რამეშია - დამოუკიდებლობის მოედანზე live-ს არ უკრავდნენ; ყოველ შემთხვევაში, ასეთი პასუხი მიიღეს ქართველმა მუსიკოსებმა, როდესაც ორგანიზატორებს საკუთარი სურვილი გაანდეს. საპასუხო წინადადება იყო, ასულიყვნენ სცენაზე თბილისელი სტუმრები, მისალმებოდნენ კიეველებს და ორი ნომერიც შეესრულებინათ ფონოგრამაზე. ცხადია, ამ უკანასკნელ წინადადებას ვერ მიიღებდნენ ნამდვილი "წვიმის მუსიკოსები" და ასეც მოხდა: "ქუჩის ბიჭები" გავიდნენ სცენაზე და დანარჩენებთან ერთად "მრავალჟამიერიც" დააგუგუნეს. ერთი სიტყვით, მუსიკოსებს თუ დავესესხები, ვოიაჟი ხუთიანზე შესრულდა, ოღონდ პოლიტიკურად, რადგანაც იდეა ისე ვერ განხორციელდა, როგორც ეს ჩაიფიქრეს ჩვენმა ბიჭებმა. რას ვიზამთ, ყველაფერი, ალბათ, მაინც იმის ბრალია, რომ კიევში live-ის გარეშე ამჯობინეს რევოლუცია.

ნინია კაკაბაძის სვეტი

# გურამი და ლეონარდო



სხვათა შორის, სულ დარდი მქონდა, ვფიქრობდი - ეს პატიოსანი, პატრიოტი, ღვთისნიერი, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი გურამ შარაძე ნეტავ, რა გზას ეწია-თქო. ვერაფერი მის შესახებ ვერ შევიტყვე გარდა იმისა, რომ ახალ მთავრობას მისთვის დაცვა მოუხსნია. არადა, ნამდვილად საშიშია მისი დაცვის გარეშე სიარული, მხოლოდ იმდენად პირადად მისთვის არა, როგორც გარშემომყოფთათვის. აი, გუშინ რაც მოხდა, მხოლოდ იმის ბრალია, ასე უგზო-უკვლოდ და დაცვის გარეშე რომ დაიარება და აღარ იცის, რომელ კედელს ეცეს. ჰოდა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, საჯარო ბიბლიოთეკის კედელს მიადგა, დიდხანს იყურა თუ ცოტა ხანს, დაინახა, ჯოკონდას სახეზე რა ხდებოდა და კიდევ ერთიორი შიშველი ქალის მკერდსაც მოჰკრა თვალი. ვინ იფიქრებდა, რომ შესაძლებელი იყო, ბატონი გურამის ისედაც აღგზნებულ ფსიქიკას ეს აეტანა. გურამი რომ ვიყო, ვერც მე გავუძლებდი. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ღმერთმა ამ შემთხვევაში მართლა დამიფარა და გურამ შარაძედ არ გამაჩინა. ამ შემთხვევაში არა მხოლოდ მე, საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი დაინდო, მე გამონაკლისი არ ვარ, გამონაკლისი ბატონი გურამი გახლავთ, ის, მართლაც იმ ერთეულთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელნიც, ყველასგან გამოირჩევიან და თავს სამუდამოდ გვამახსოვრებენ.

შარაძის ბიოგრაფია, ეს იქნება საქმიანი თუ პირადი, საკმაოდ მდიდარია. სულ ახლო წარსულში, თავის თანამებრძოლთან ბასილ მკალავიშვილთან ერთად, ხმალამოღებული იბრძოდა ხან ბაპტისტების, ხან კი იეღოველების წინააღმდეგ, რომელთაც ფაშისტურ აქტებს უტარებდნენ და წიგნებს უწვავდნენ. შორეულ წარსულში, როგორც ამბობენ, უშიშროების აგენტობა, ხან ზვიად გამსახურდიას, ხან ასლან აბაშიძის და ხანაც შევარდნაძის ბანაკში ყოფნა და სხვა და სხვა. მოკლედ, ეს ძირითადი შტრიხებია მისი ცხოვრებიდან, თუმცა კიდევ ბევრია, რომელთაც ახლა ვერ ვიხსენებ, და ეს არ არის მნიშვნელოვანი. ყოველთვის მაინტერესებდა და მიკვირდა, რატომ იყო ის ყოველთვის ხელშეუხებელი პირი, რატომ არ იჭერდნენ, ან სულაც რატომ უგდებდნენ ყურს. მახსოვს, ერთხელ მისი ერთ-ერთი უზნეო საქციელის გამო, სიუჟეტი მზადდებოდა სახელმწიფო ტელევიზიით და ტელევიზიის თავმჯდომარემ ეს სიუჟეტი დაბლოკა იმ მიზეზით, რომ შარაძესთან დაპირისპირება არ სურდა. ჩემთვის გასაგებია, რომ მასთან დაპირისპირება თუ პოლემიკაში შესვლა არც საინტერესოა და არც სასიამოვნო, მაგრამ ის, რომ შარაძის გამო, დღეს მხარდასაჭერ მიტინგებს მართავენ სწორედ ამის ბრალია. იმის ბრალია, რომ მას ყოველთვის უფრთხილდებოდნენ და ერიდებოდნენ, არადა სრულიად გაუმართლებლად. თუმცა ვინც დაინტერესდა ამ სუბიექტით, ყველამ იცის, რომ გურამ შარაძე ჩვეულებრივი ინტრიგანი, პროვოკატორი, ბინძური, ბნელი და ბოროტი ადამიანია. საფრანგეთში მისი ვოიაჟების შემდეგ ქართველ ემიგრანტებს თუ გაესაუბრებით, გაიგებთ, რომ მისი სახლში შემოშვება არავის უნდოდა, ლიტერატურის ინსტიტუტში, სადაც ის წლების განმავლობაში მუშაობდა, არავის ხიბლავდა მისი არსებობა, ასლან აბაშიძემაც კი გამოაგდო აჭარიდან, საერთო ენა მხოლოდ ბასილ მკალავიშვილთან და მანანა არჩვაძესთან გამონახა. მათი დამეგობრება და თანამოაზრეობა კი მგონია, რომ ის კარმა იყო, რომელმაც ისინი ერთმანეთთან მიიყვანა. ღვთის მადლით მკალავიშვილს, სიმბოლურად რომ ვთქვათ, სამეტყველო ღრუ ამოუკერეს და აი, ქალბატონი მანანა კი მუდამ მზად არის, შარაძე და მისნაირები დაიცვას. წარმომიდგენია, რა სიხარულით გარბოდა ქუჩაში სულიერი ძმის მხარდასაჭერად და ფიქრობდა: "yesss, რა ბედნიერებაა, კიდევ ერთი საბაბი ტელევიზორში გამოვჩნდე და ახალი ქუდის ახალი მოდელი წარმოვუდგინო საზოგადოებას..." მოკლედ, ჩემზე ნამდვილად მოახდინა შთაბეჭდილება, თქმით ახალი და მოულოდნელი არაფერი უთქვამს და აი, ქუდი კი ნამდვილად სიახლე იყო.

ქუდი ახალი, მაგრამ აი შარაძე-არჩვაძის მეთოდები კი იგივეა და რაც ყველაზე სამწუხაროა, არავინ იცის როდემდე უნდა გაგრძელდეს მათი მოღვაწეობა. იმასაც ამბობენ, რომ ეს საბაბი იყო (პლაკატების ჩამოხევა), რომელსაც ეძებდნენ შარაძის დასაპატიმრებლად და ყველაზე მეტად ის მაშინებს, რომ მათ, ანუ არჩვაძე-შარაძის პროვოკაციულ სისულელეებზე დღევანდელი ხელისუფლებაც არ წამოეგოს და ადამიანი, რომელმაც ხულიგნური საქციელი ჩაიდინა, გარეთ არ გამოუშვას. ასეთი სიბრიყვეებით ატყუებდა შევარდნაძის მთავრობა ხალხს, რომ შარაძე თითქოს საშიშროებას წარმოადგენს და მისი დასჯა თუ აკრძალვა, შეუძლებელია. ასე ფიქრობდნენ ბასილ მკალავიშვილზეც, თუმცა მის დაპატიმრებას არაფერი მოჰყოლია და წარმოუდგენელიც იყო, რამე რომ მოჰყოლოდა. შარაძე კიდევ უფრო სუსტი და უმნიშვნელო ფიგურაა, მას რელიგიურ სარჩულს ამოფარებული ფანატი ექსტრემისტები მაინც არ ჰყავს. თუმცა, მისი მაინც ეშინოდათ. ერთი სიტყვით, არ შემიძლია შარაძის დაპატიმრებით არ გავიხარო, და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის მართლაც ხულიგანივით იქცევა. გუშინ ის სწორედ იქ მოათავსეს, სადაც მისი ადგილია, თუმცა აქამდე წინა ხელისუფლებაც ასე რომ მოქცეულიყო, დღეს ამგვარი პრობლემების წინაშე არ ვიდგებოდით. ხელოვნური და არაგულწრფელი ვიქნებოდი, შარაძის უფლებების დაცვა დამეწყო და მისი დაპატიმრებით შევწუხებულიყავი (ჰუმანური პრინციპებიდან გამომდინარე), მაგრამ, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ადამიანი, რომელიც მუდმივად ცდილობს საზოგადოების იდეოლოგიურად მოწამვლას, საშიშია. შესაძლებელია, დიდად ეფექტური არ არის მისი მოღვაწეობა, მაგრამ ყოველი ერთეული ადამიანის ცნობიერება საყურადღებო და მოსაფრთხილებელი უნდა იყოს ყველა ჩვენთაგანისთვის.

ამიტომ, შარაძეზე ბევრი საუბარი მისთვის ძალიან დიდი პატივია, ვასრულებ და კიდევ ერთხელ მოვითხოვ, ხელისუფლებისგან თუ სამართალდამცავი ორგანოებისგან, რომ გურამ შარაძე იმ მუხლით დაისაჯოს, რომელიც ასეთი სახის ხულიგნებს ეხებათ. ნუ გავაგრძელებთ ყოფილი ხელისუფლების ტრადიციას და ნუ დავტოვებთ მისგან ხელშეუხებელი ობიექტის ხატს, რომელიც ვითომდა რაიმე საშიშროებას წარმოადგენდეს.

**P.S.** ყველაფერი ეს კი იმიტომ მოგახსენეთ, და ამდენი ყურადღება გურამ შარაძეს იმიტომ დავუთმე, რომ ხალხში უკვე მუსირებს აზრი, თითქოს ეს სპეციალური პროვოკაციაა, რომელიც წინასწარ იყო გათვლილი კონტრრევულუციის მოსაწყობად. ამგვარი სისულელეც დიდი ხანია მსმენია. მაგრამ მაინც, მერწმუნეთ, შარაძე ის ადამიანი არ არის, ვის გამოც შესაძლებელია ოჯახში, ქუჩაში და განსაკუთრებით ქვეყანაში, რაიმე სერიოზული ცვლილებები მოხდეს.

როკის "ენერგო-გენერატორი" - ტინა ტერნერი 65 წლის გახდა

# ახლაც პირველია

თავისი ლომის ფაფარით, ძლიერი ხმით და კატისებური სხეულით, ტინა ტერნერი პენსიის ზღურბლზე ყოფნის დროსაც კი როკის ჯუნგლების განუმეორებელ დედოფლად რჩება.

ის მგრძნობიარე და სექსუალური იყო პირველივე წუთებიდან - აიკ ტერნერის "ქინგზ ოვ რითმ"-ის წამყვან მომღერლად გამოჩენისთანავე. ასეთი იყო 50-იან წლებშიც, როცა დუეტი აიკი და ტინა ტერნერი შეიქმნა. მეტიც, ეს აურა მან მესამოცე ათწლეულში შებიჯების შემდეგაც არ მორდება.

ტინა ტერნერი ის ქალია, რომელსაც საუნდთრექები თითქმის ყველა თაობისთვის აქვს შექმნილი. ადრეული ჰიტებით დაწყებული - River Deep Mountain High (1966 წ.), Proud Mary (1971 წ.), Nutbush City Limits (1973 წ.) - გრანდიოზული საცეკვაო ჰიმნებით დასრულებული, ისეთებით, როგორებიცაა: Private Dancer (1984 წ.), The Best (1989 წ.), When the Heartache is Over (1999 წ.).

ტინა ტერნერი ანა მეი ბალოქის სახელით, ტენესის შტატში, ნათბუშში 1939 წლის 26 ნოემბერს დაიბადა. ჯერ კიდევ თინეიჯერი ტინა რიტმ-ენ-ბლუზის მუსიკოსმა აიკ ტერნერმა აღმოაჩინა და ვარსკვლავობის გზას გაუყენა. მათი ბობოქარი ქორწინების წლები და შემდეგ გაყრა 1993 წელს გამოსულ ბიოგრაფიულ სურათში What's Love Got To Do With It არის აღწერილი.

მრავალგზის "გრემით" დაჯილდოებული ტერნერი პუბლიკას 60 წლის ასაკში დაემშვიდობა. გამოსამშვიდობებელი საკონცერტო ტურნე 60 წლის მომღერალმა ცხრასანტიმეტრიან ქუსლებზე ჩაატარა. ეს 2000 წელს იყო, გრანდიოზული კონცერტი ტინას მას შემდეგ აღარ გაუმართავს, მაგრამ მუსიკალურ შემოქმედებას მაინც აგრძელებს. მის ახალ ალბომში All The Best სამი ახალი სიმღერაა შესული. სამივე მათგანი ჩარტების წინა რიგებში ლიდერობენ.



© GRAPHIC NEWS
Sources: Bob Hoare, Lis Ribbans

### საინტერესო ფაქტები

როცა ტერნერმა 1985 წლის ფილმში Mad Max Beyond the Thunderdome ითამაშა, ტექნიკური პერსონალი იძულებული გახდა, მისი ავტომობილი ავტომატიკაზე გადაეყვანა, რადგან ტინამ არ იცის მანქანის ტარება, რომელშიც სიჩქარეების კოლოფს ხელით რთავენ.

რეინკარნაციის შემთხვევაში მას სურს, დედამიწაზე მეორედ ხედ მოვიდეს (ჟურნალ "ვენითი ფეართან" ინტერვიუდან).

ახალ ფილმში "ქალღმერთი" ტინა ტერნერი ინდური ქალღმერთის შაქტის როლს თამაშობს. მაგრამ ეს არ მოსწონთ ინდუსებს და ამტკიცებენ, რომ შაქტის როლისთვის ტინა ზედმეტად სექსუალურია.

ფეხბურთი

# ფორმულა 51

## გვასწავლეს პორტუგალიურიც

სანდრო ნავერიანი

უეფას ჯგუფური ეტაპის
მესამე ტური
**თბილისის "დინამო" - ლისაბონის "სპორტინგი" 0:4**

***"დინამო":*** *ზოიძე, შაშიაშვილი, სილაგაძე, ჭიჭვეიშვილი, კვირკველია, სალუქვაძე (დვალი, 75), კანდელაკი, კანკავა (მახარაძე, 87), რომერო, კაკალაძე (ქუცურია, 75), მელქაძე.*
***მთავარი მწვრთნელი:***
*გია გეგუჩაძე*
***"სპორტინგი":*** *რიკარდუ, პოლგა, კარლუშ მარტინში, ენაკარირე, მიგელ გარსია, დუალა (პაულო სერჟიო, 65), რუი ჟორჟე, როშ ემბაკი (ბეტუ, 70), კუშტოდიუ (კუშტოდიო, 70), ლიედსონი, უგო ვიანა.*
***მთავარი მწვრთნელი:***
*ჟოზე პეშეირუ*
***გოლები:*** *ლიედსონი 6, 29, 59წთ. (3:0), პაულო სერჟიო 90წთ. (4:0)*
***გაფრთხილება:*** *კვირკველია 55წთ; ქუცურია 82წთ.*
*მსაჯი: კერი რიჩარდსი (უელსი)*







დავიწყებ გია გეგუჩაძისა და ჟოზე პეშეირუს კომენტარებით, რომლებიც მათ მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე გააკეთეს.

**გია გეგუჩაძე:** ფაქტია - "სპორტინგი" დღეს ჩვენზე ძლიერია. ვფიქრობ, ჩვენმა ფეხბურთელებმა გააკეთეს ყველაფერი, რაც შეეძლოთ. რამდენიმე მომენტი შექმნეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ერთი ვერ დააგვირგვინეს. "სპორტინგმა" კარგი მატჩი ჩაატარა. კონკრეტულად ვერავის გამოვყოფ. თუმცა, ვფიქრობ, დღევანდელი შეხვედრა ლოგიკური ანგარიშით არ დამთავრებულა.

**ჟოზე პეშეირუ:** თბილისის "დინამო" საკმაოდ ტექნიკური გუნდია და ჩვენზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. პირველი ორი გოლი, რა თქმა უნდა, ნაჩუქარი იყო, მაგრამ ჩვენ მაინც იმით ვაჯობეთ, რომ კონტრშეტევებისას უკეთ ვთამაშობდით. "დინამოს" შემადგენლობიდან გამოვყოფდი მელქაძეს და კაკალაძეს (პეშეირუმ მათი გვარები არ იცოდა, ამიტომ ნომრები დაასახელა). ვფიქრობ, "დინამოს" შესწევს ძალა, "პანიონისი" დაამარცხოს. ბერძნულ კლუბი ფეხბურთელებს დიდი გამოცდილება აქვს, მაგრამ უკვე ხანდაზმულები არიან, თქვენ კი ახალგაზრდა მოთამაშეები გყავთ.

ეს იყო თითქმის ყველაფერი, რაც პრესკონფერენციაზე ითქვა.

ახლა მორიდებით მოგახსენებთ ჩემს აზრს, რომელიც შეიძლება ბევრს არც აინტერესებდეს. არის ასეთი ფილმი "ფორმულა 51". მისი მთავარი გმირი ელმო მაკელროი, ქიმიკოსი, გამოიგონებს ნარკოტიკს, რომელიც შეიცავს ყველა ნარკოტიკულ ნივთიერებას, მაგრამ ადამიანზე არ მოქმედებს. უბრალოდ, ქიმიკოსი ხალხს (ამ შემთხვევაში ნარკოტიკის მომხმარებელს) არწმუნებს, რომ ეს პრეპარატი ყველაზე ძლიერი ნარკოტიკული საშუალებაა, რაც კი ოდესმე კაცობრიობის ისტორიაში ყოფილა. მაგრამ ეს ნივთიერება, როგორც უკვე ვთქვი, ადამიანზე არ მოქმედებს, მთავარია თავდაჯერება. სწორად ამის წყალობით ელმო მაკელროი 20 მილიონ დოლარს გააკეთებს - "ფორმულა 51-ის" მომხმარებელს დააჯერებს ამ ნარკოტიკის სიძლიერეში. ალბათ, მიხვდით, რატომ მოვიტანე ეს მაგალითი: მთავარია თავდაჯერება, რომელიც 20 მილიონს კი არა, გამარჯვებას მოგვიტანს.

გუშინდელი მატჩის შემხედვარეს აზრი გამიჩნდა: ნუთუ "დინამოელები" მხოლოდ იმით დაკმაყოფილდნენ, რასაც მიაღწიეს? არა, არ იფიქროთ, თითქოს უეფას ჯგუფურ ეტაპზე გასვლას წინ გადადგმულ ნაბიჯად არ ვთვლიდე, მაგრამ ხომ შეიძლება... კი შეიძლება, მაგრამ ძალა არ შეგვწევს. მაინც ვფიქრობ, რომ დინამოელებს მეტის გაკეთება უნდოდათ, მაგრამ ძნელია ექსბარსელონელ როშემბაკთან, ციბრუტივით მოტრიალე დუალასთან და სირაქლემასავით მორბენალ ლიედსონთან თამაში. ძალიან ძნელია. თან მაშინ, როცა შენი ეროვნული ჩემპიონატის მატჩები ისეთ სტადიონებზე იმართება, სადაც თავდაღმართია, იმათი კი - მსოფლიო დონის სტადიონებზე. ამასაც რომ თავი დავანებოთ, "სპორტინგი" თამაშობს ჩემპიონატში, რომელშიც უეფას ჩემპიონთა ლიგის უკანასკნელი ტრიუმფატორი "პორტო" გამოდის.

თბილისელებს დამსახურებას არ ვუკარგავ და ვაღიარებ: "დინამო" ევროპაში ქართული საკლუბო ფეხბურთის სახეა. მაგრამ, ვაი რომ ის მეტისმეტად შეუხედავია.

რაც შეეხება "სპორტინგს", ვერ ვიტყვი, რომ ეს გუნდი ეგრეთ წოდებულ "კლასიკოს" უბერავს - ისინიც პარიკმახერები არიან, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენზე უკეთესი პარიკმახერები. ასეთი ანგარიშით გამარჯვების მიუხედავად, პორტუგალიელები პრიმიტიულ ფეხბურთს თამაშობენ. ცოტა მეტი გამოცდილება და... ვინ იცის, "დინამო" თავდახრილი კი არა, იქნებ ცამდე აწეული თავით დატოვებდა "ლოკომოტივის" სტადიონს.

მოკლედ, ასეა თუ ისე, დავმარცხდით. ფრანგულისა და ინგლისურის შემდეგ პორტუგალიურის გაკვეთილიც ჩაგვიტარეს. არ ვიცი, დინამოელებს ფეხბურთელობა უნდათ თუ პოლიგლოტობა, მაგრამ ფაქტია: სამარცხვინო ანგარიშით წავაგეთ.

# იუბილე

ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში საფრანგეთის "ლიონთან" მატჩი "მანჩესტერ იუნაიტედის" შოტლანდიელი მწვრთნელის სერ ალექს ფერგიუსონისთვის საიუბილეო, მე-1000 საერთაშორისო შეხვედრა გამოდგა. "ვერაფრით წარმომედგინა, თუ "მანჩესტერ იუნაიტედში 18 წლის განმავლობაში ვიმუშავებდი და გუნდთან ერთად საერთაშორისო ასპარეზზე 1000 მატჩს გავმართავდი, - განაცხადა ფერგიუსონმა, - ეს ნამდვილი სიურპრიზია. როცა გუნდი ჩავიბარე, მე ხომ აზრადაც არ მომსვლია მომავალზე ფიქრი".

"1000 მატჩამდე მისვლა ნებისმიერი კლუბისთვის საოცარი შედეგია, ხოლო "მანჩესტერ იუნაიტედის" დონის კლუბისთვის, უბრალოდ, წარმოუდგენელი", - განაცხადა მანკუნიანელთა მცველმა გარი ნევილმა. "ლივერპულის" ექსკაპიტანმა და ამჟამად საფეხბურთო ექსპერტმა ალან ჰანსენმა დაამატა: "ფერგიუსონის გარეშე "მანჩესტერ იუნაიტედი" ვერასოდეს გახდებოდა მსოფლიო მასშტაბის გრანდი".

სერ ალექს ფერგიუსონი ფორვარდის პოზიციაზე თამაშობდა და მისი კარიერა "ქუინზ პარკ რეინჯერსს" და შოტლანდიურ კლუბებს - "სენტ-ჯონსტონს", "რეინჯერსს", "ფალკირკს" და "ეირ იუნაიტედს" დაუკავშირდა. შემდგომში ფერგიუსონი სამწვრთნელო მოღვაწეობას შეუდგა. ამას გარდა, ის ფლობდა ბარს - Burns Cottage.

ფერგიუსონის სამწვრთნელო კარიერაში "სენტ-მირენი" პირველი სერიოზული კლუბი იყო. 1978 წელს ის "აბერდინს" შეუერთდა. სპეციალისტი გუნდში რვა წელიწადს მუშაობდა. ამ ხნის განმავლობაში მან სამჯერ მოიგო შოტლანდიის ჩემპიონატი, ერთხელ კი - ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი. შემდეგ მწვრთნელი ერთხანს შოტლანდიის ნაკრებში მუშაობდა. 1986 წლის ნოემბრიდან კი ინგლისის "მანჩესტერ იუნაიტედს" ჩაუდგა სათავეში.

ფერგიუსონის მანჩესტერული კარიერა ინგლისის თასის გათამაშებაში "ოქსფორდ იუნაიტედთან" - 0:2 მარცხით დაიწყო. მაშინ ვერავინ ივარაუდებდა, რომ სწორედ ალექს ფერგიუსონის მეშვეობით "მანჩესტერ იუნაიტედი" მსოფლიო ფეხბურთის ელიტაში დაიმკვიდრებდა ადგილს. ხოლო მას შემდეგ, რაც "მანჩესტერ იუნაიტედი" მანჩესტერულ დერბიში "სიტისთან" - 1:5 განადგურდა, ბევრი მიიჩნევდა, რომ შოტლანდიელი ახლო მომავალში თავის პოსტს გამოეთხოვებოდა.



თუმცა, კლუბის ხელმძღვანელობამ ირწმუნა ფერგიუსონის და არც შემცდარა. ალექს ფერგიუსონმა გუნდი მთლიანად შეცვალა და "მანჩესტერ იუნაიტედს" ცოტა ხანში ვეღარავინ ცნობდა. კლუბმა აღზარდა ნიჭიერ ფეხბურთელთა მთელი თაობა, რომლის მეშვეობითაც "მანჩესტერ იუნაიტედი" მსოფლიო დონის კლუბად გადაიქცა. გუნდმა რვაჯერ მოიგო ინგლისის ჩემპიონატი და 1998-1999 წლების სეზონში ჩემპიონთა ლიგა.

999 მატჩის განმავლობაში "მანჩესტერ იუნაიტედთან" ერთად ფერგიუსონმა აუღელვებელი, შეიძლება ითქვას, ცივსისხლიანი მწვრთნელის სახელი დაიმკვიდრა. ის ტელეკამერების წინაშე ემოციას არასოდეს გამოხატავდა და მათ პირადი საუბრებისთვის იყენებდა. "მას აქვს მუშაობის უნიკალური სტილი, რომელიც ახასიათებს მუშათა ოჯახიდან გამოსულ შოტლანდიელებს. სერ ალექსი კმაყოფილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი აღსაზრდელები მატჩის დროს ასი პროცენტით იხარჯებიან, - ამბობს ჰანსენი, - სანაცვლოდ ის საზოგადოებრივი აზრის მთელ სიმძიმეს საკუთარ თავზე იღებს".

ფერგიუსონი რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" სახე და სულია, ამაზე საუბარიც ზედმეტია. ის ხშირად რეპორტიორთა და მწვრთნელთა შორის ანტაგონიზმსაც კი იწვევდა, როცა არ სურდა გუნდის გაკრიტიკება და ოპონენტები ხშირად გალიზიანების ზღვრამდე მიჰყავდა. სწორედ ეს გახდა კლუბის აღმავლობის მთავარი ფაქტორი, რომელმაც 1990-იან წლებში დიდების მწვერვალს მიაღწია.

ბოლო დროს "მანჩესტერ იუნაიტედს" ევროთასებზე თამაშის დროს ფორტუნა არ სწყალობდა და სერ ალექს ფერგიუსონი წასვლაზეც კი ალაპარაკდა. ამასთან, კლუბი დატოვა ფერგიუსონის ერთ-ერთმა უნიჭიერესმა აღსაზრდელმა დევიდ ბექჰემმა, რომელიც მადრიდის "რეალში" გადავიდა. ამან სპეციალისტთა შორის ეჭვი დაბადა - ეყოფა თუ არა შოტლანდიელს ძალა იმისთვის, რომ ახალი გუნდი ააშენოს.

თუმცა, ახალგაზრდა უეინ რუნიმ, სწრაფმა და ტექნიკურმა ნახევარმცველმა კრიშტიანუ რონალდუმ და შოტლანდიელმა ჰავბეკმა დარენ ფლეტჩერმა დიდი გუნდის საფუძველი შექმნეს, რომელიც მომავალში მის შემქმნელს დიდ გამარჯვებებს მოუტანს.

"მიჭირს თქმა, თუ რამდენად დიდხანს დავრჩები "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე, - განმარტავს 62 წლის სპეციალისტი, - მიმდინარე სეზონის შემდეგ ვაპირებ, ხელი მოვაწერო ერთწლიან კონტრაქტს, რომელიც ყველა დაინტერესებულ მხარეს დააკმაყოფილებს. წასვლის წინ დარწმუნებული უნდა ვიყო იმაში, რომ ყველაფერი ვილონე, რაც კი შემეძლო. მე არ მსურს, რომ ჩემმა მემკვიდრემ ბევრი ფიქრით თავი იმტვრიოს".

ფეხბურთი

# ნაცისტების სალუტი და ესპანელი გულშემატკივრები

ნინო ტიკარაძე

*გასულ კვირას "სანტიაგო ბერნაბეუზე" ინგლისისა და ესპანეთის ახალგაზრდული და ასევე ეროვნული ნაკრებების ამხანაგური მატჩების დროს მოედანზე მომხდარი ინციდენტების ირგვლივ ატეხილმა სკანდალმა მაინც ვერ დააშოშმინა ესპანელი გულშემატკივრები. ამჯერად მათი შეურაცხყოფის ობიექტი მადრიდის "რეალის" მეტოქის ლევერკუზენის "ბაიერის" შავკანიანი ფეხბურთელი როკე ჟუნიორი გახდა. მატჩი სამშაბათს "სანტიაგო ბერნაბეუზე" გაიმართა. ახლა "რეალს" უეფასთან სერიოზული პრობლემები აქვს.*

მატჩის თითქმის მთელი მეორე ნახევარი ესპანელ გულშემატკივრებს არ შეუწყვეტიათ სტუმართა გუნდის ფეხბურთელთა მისამართით "მაიმუნის" ძახილი, მაიმუნის ხმის მიბაძვა და ნაცისტების სალუტი. მათი განსაკუთრებული რისხვა თავს დაატყდა (და თან არაერთხელ) "ბაიერის" შავკანიან მცველს როკე ჟუნიორს, რომელმაც ესპანელთა გულისწყრომა მას შემდეგ დაიმსახურა, რაც, საჯარიმო მოედანზე წაქცეულმა, მსაჯს დამნაშავის დასჯისკენ მოუწოდა. ამის შემდეგ, დაინახავდნენ თუ არა, რომ ჟუნიორი ბურთს მიუახლოვდებოდა, ესპანელი გულშემატკივრები მაშინვე მაიმუნის ხმით იწყებდნენ კივილს. აგრესია, ძირითადად, სტადიონის მარცხენა მხარეს მყოფი გულშემატკივრების მხრიდან მოდიოდა.



მადრიდელები როკე ჟუნიორს დამამცირებლად მოექცნენ.

როგორც ხედავთ, ესპანელი გულშემატკივრები წინა კვირის მატჩებზეც და ახლაც ერთი და იგივე სცენარით მოქმედებდნენ, ოღონდ პატარა განსხვავებით - შეურაცხმყოფელი სიტყვებისა და ქმედებების სერიას ნაცისტების სალუტიც დაამატეს. სხვათა შორის, ინგლისის რამდენიმე ტელეარხმა ახლო ხედით აჩვენა ის ესპანელი გულშემატკივრები, რომელთაც მოშიშვლებულ მკერდზე ადოლფ ჰიტლერის სახე და სვასტიკა ჰქონდათ გამოსახული და ნაცისტების სალამს აძლევდნენ ლევერკუზენის "ბაიერის" შავკანიან ფეხბურთელებს.

მადრიდის "რეალის" ოფიციალურ საიტზე მეორე დღეს გამოქვეყნებულ განცხადებაში რასიზმის ნებისმიერი გამოვლინება სასტიკად დაგმობილია. გარდა ამისა, კლუბის წევრები მომხდარს სასტიკად უარყოფენ: "მადრიდის "რეალი" აცხადებს, რომ გუშინ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრის დროს რასიზმის არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა. თუ ასეთი რამ, მართლაც, მოხდა, ის უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო, რადგან ჩვენ მხედველობიდან გამოგვრჩა. ჩვენს მატჩს უეფას პრეზიდენტი და მისი წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მათ ხომ მაინც არ გამოეპარებოდათ ეს ინციდენტი." მაგრამ, ასეთი განცხადების მიუხედავად, მადრიდის "რეალმა" ოფიციალურად ბოდიში მოუხადა ლევერკუზენის "ბაიერის" ბრაზილიელ მცველს როკე ჟუნიორს. უეფამ კი ამ ინციდენტის გამოძიება უკვე დაიწყო. მისი წარმომადგენლის განცხადებით, უეფა შეხვედრის ვიდეოჩანაწერის გულდასმით შესწავლას აპირებს.

მადრიდელები შეიძლება ჩემპიონთა ლიგის თამაშებს გამოეთიშონ. თუმცა, სასჯელის ზომა, რა თქმა უნდა, მაინც დანაშაულის სიმძიმეზეა დამოკიდებული.

საინტერესოა, რომ მაშინ, როცა მსოფლიოს სხვა ჟურნალ-გაზეთებმა ამ შეურაცხმყოფელ ფაქტს დიდი სტატიებიც მიუძღვნეს, რომელშიც დაგმეს ესპანელი გულშემატკივრების საქციელი, ესპანეთის ორმა მთავარმა სპორტულმა გაზეთმა "Marca"-მ და "As"-მა უყურადღებოდ დატოვა "ბაიერისა" და "რეალის" შეხვედრის დროს მომხდარი ინციდენტი.

დამეთანხმებით, პრობლემის იგნორირება გამოსავალი ნამდვილად არ არის. პრობლემას მოგვარება სჭირდება. რასიზმი უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ესპანური ფეხბურთის სამყაროსთვის, რაც მას კარგს არაფერს მოუტანს.

# ქალები და მანქანები, ან პირიქით

ბიბა ბურასაშვილი

კარგი მანქანა და ლამაზი ქალი. ორივე კარგია. აქედან გამომდინარე, მათ შორის ერთგვარი კავშირიც არსებობს - ორივე გვინდა. და მაინც, ლამაზი ქალი და კარგი მანქანა ვისთვის ოცნებაა, ვისთვის ფუფუნება და ვისთვის რეალობა. თუ ჯერჯერობით ლამაზი ქალი არ გვერდს გიმშვენებთ და კარგი მანქანის საჭესაც არ უზიხართ, მაშინ იმისთვის, რომ ორივეთი ერთად დატკბეთ, ეწვიეთ ავტოსალონებს ან რბოლებს - ინდიკარს, ნასკარს და, რა თქმა უნდა, ფორმულა 1-ს. გვერწმუნეთ, არ გაწბილდებით.

მოტოშოუს ორგანიზატორებმაც კარგად იციან ეს ყველაფერი. ამიტომაცაა, რომ ამგვარ წარმოდგენებსა თუ გამოფენებზე ნაირფერ მოდელებს შორის გრძელფეხება მზეთუნახავებს ჩაამწკრივებენ ხოლმე. ამ ორივეს მოყვარულთ ბრწყინვალე საშუალება აქვთ, დეკემბერში ეწვიონ ბოლონიის მოტოშოუს და თვალს წყალი დაალევინონ. თუ ჯიბე საშუალებას გაძლევთ, კარგი მანქანა შეიძინოთ, მაშინ არც ის გაგიჭირდებათ, სალონში თქვენი მოწონებული ბანოვანი ჩაისვათ და გზას გაუდგეთ. სილამაზე კი ბოლონიაში თავსაყრელად იქნებაო, ირწმუნებიან ორგანიზატორები.



ბოლონიელებმა ავტომოყვარულთა მოსაზიდად ჭულია დი ქუილიოს მიმართეს.

ბოლონიელებმა დამთვალიერებელთა მოსაზიდად წინდაწინ განაცხადეს, მოტოშოუს მშვენება იქნება ჯულია დი კუილიო, რომლის სილამაზესაც კარგა ხანია აფასებენ მსოფლიო სამოდელო სამყაროში. ჯულიას არა მარტო სარეკლამო რგოლებში იწვევენ გადასაღებად, არამედ მის აქტივში ბევრად მსხვილი "ჟანრებიცაა" - იგი კინოშიც ჰყავთ გადაღებული.

ამჯერად საუბარია ერთგვარ პრომოუშენში მონაწილეობაზე, რომლის მიხედვითაც დი კუილიოს მონაწილეობა მოუწევს Elaborare-ს კალენდრის სარეკლამო კამპანიაში, რომელსაც ჟურნალ Eurosport-ის დეკემბრის ნომრებთან ერთად გაიტანენ სავაჭრო ქსელში.

...საყვარლები, ოჯახური სკანდალები, გოლები, კარგი მანქანები, საერთოდ, ძვირფასი შენაძენები და ავტოსალონების სტუმრობა არც მადრიდის "რეალისა" და ინგლისის ნაკრების ნახევრმცველის დევიდ ბექჰემისთვისაა უცხო. წელიწადი ისე არ გაივლის, რომ საკუთარი ავტოფარეხი არ გადაახალისოს. "სპაის ბოიმ", რომელსაც მეუღლის - ვიქტორია ადამსის გამო სწორედ ასეც მოიხსენიებენ, ახლახან 55 ათას ამერიკულ დოლარად "ჰამერი" შეიძინა. თუმცა, მარტო ამით არ შემოიფარგლა - ავტოსერვისის დიდოსტატებს 18 ათასის დამატებით ჯიპის სრულად კომპლექტაცია მოსთხოვა. ალბათ, იფიქრეთ, რაიმე განსაკუთრებული, ულტრათანამედროვე აუდიოაპარატურის ჩაყენება მოითხოვაო. არა! ბექჰემმა, საკუთარი შვილებისთვის სრული კომფორტის შესაქმნელად, სავარძლებზე იზრუნა. საქმე ისაა, რომ მარტში ბექჰემების ოჯახში მატებაა. ვიქტორია და დევიდი მესამე შვილს ელოდებიან.

რა თქმა უნდა, "ჰამერი" ბექჰემების ოჯახის ერთადერთი მანქანა არ არის. ახლახან ბექზმა 150 ათას დოლარად BMW-760 შეიძინა - ამ შემთხვევაში სტუმრებისთვის. ამბობენ, ამგვარი შენაძენის შემდეგ ინგლისის ნაკრების ნახევარმცველის მეგობრებისა და ნათესავების (რომლებიც არცთუ იშვიათად სტუმრობენ ბექჰემებს მადრიდში) განკარგულებაში ყოველთვის იქნება BMW-760-იო. შენაძენით კმაყოფილებას არც თავად დევიდი მალავს და აცხადებს, ახალი მანქანა საგრძნობლად შეამსუბუქებს ჩემი ახლობლების ცხოვრებასო. რაკი მადრიდის "რეალის" ნახევარმცველის ავტოფარეხზეა საუბარი, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ, "ჰამერისა" და BMW-ს გარდა, მას "პორშე"-911, "რეინჯ როვერი" და "რეალის" სპონსორების მიერ ნაჩუქარი "აუდი A8" დგას.

ახლა ისაა საინტერესო, მომავალში რომელ ავტომობილს შეიძენს.

კალათბურთი

# მფრინავი ლებრონი



სანდრო ნავერიანი

გუშინ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული ჩემპიონატის მორიგი სათამაშო დღე იყო. სულ ცხრა მატჩი გაიმართა. ყველაზე საინტერესო შეხვედრა შედგა კლივლენდში, "კლივლენდ კავალიერსის" საკალათბურთო სასახლეში. კავალერებმა "დეტროიტ პისტონსს" უმასპინძლეს. ამ შეხვედრაში ლებრონ ჯეიმსმა ნამდვილი სპექტაკლი დადგა, სპექტაკლი, რომელიც გენიოსი რეჟისორის ნამუშევარს ჰგავდა.

მატჩის წინ კლივლენდელებს არავინ თვლიდა ფავორიტად, მაგრამ შეხვედრის მსვლელობამ დაგვანახა, რომ დეტროიტელებს გამარჯვების შანსი არ ჰქონიათ. მართალია, დეტროიტელთა დაცვის ბურჯი ბენ უოლასი დისკვალიფიცირებულია და გუშინ არ თამაშობდა, "პისტონზის" ისედაც ძლიერი დაცვის ხაზი ლებრონ ჯეიმსმა კი არ გაარღვია, არამედ დაანგრია, მოშალა. ეს ვუნდერკინდი ყველაფერს აკეთებდა, რაც სურდა. ლებრონ ჯეიმსი შედეგიანად და, რაც მთავარია, ლამაზად თამაშობდა. მის მიერ ჩაგდებული ყველა ბურთი ულამაზესი იყო. დეტროიტის კალათბურთელები ვერაფერს გახდნენ ლებრონ ჯეიმსის წინააღმდეგ.

ახლა კი იმაზე, რაც უშუალოდ მოედანზე ხდებოდა. პირველი მეოთხედი კლივლენდელებმა 24:17 მოიგეს. სასტარტო მეოთხედში ვერ იფიქრებდით, რომ დეტროიტს ასე ძალიან გაუჭირდებოდა კავალერებთან თამაში. მეორე მეოთხედში "კლივლენდ კავალიერსმა" უფრო გაზარდა უპირატესობა. ლებრონ ჯეიმსმა, შეიძლება ითქვას, მთელი გუნდი თავის მხრებზე გადაატარა. პირველი ტაიმის მეორე ნახევარი კლივლენდელებმა 30:20 მოიგეს. შესვენების შემდეგ დეტროიტელები გამოფხიზლდნენ და შედარებით უკეთესად ათამაშდნენ. მესამე მეოთხედში "პისტონზმა" ხუთი ქულა ამოქაჩა, მაგრამ 12 ქულას მაინც აგებდნენ. დეტროიტელები მთელი მატჩის განმავლობაში აგებდნენ, ამიტომაც სამართლიანობამ იზეიმა და უკანასკნელ მეოთხედშიც კლივლენდელებმა სძლიეს მეტოქეს. საბოლოო ანგარიში იმაზე მეტყველებდა, რომ ოჰაიოელებმა გაანადგურეს შარშანდელი ბეჭდების მბრძანებლები და 92:76 გაიმარჯვეს. ლებრონ ჯეიმსი, რა თქმა უნდა, შეხვედრის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო, მან 43 ქულა, 5 შედეგიანი გადაცემა, 6 მოხსნა და 1 ბლოქშოტი გააკეთა. ჯეფ მაკაინისმა 16 ქულა მოუტანა კლივლენდურ კლუბს, ხოლო დანარჩენმა კალათბურთელებმა 10-10 ქულაც კი ვერ მოაგროვეს. "დეტროიტ პისტონზის" შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი რიჩარდ ჰამილტონი გახლდათ. რიპერმა (რიჩარდ ჰამილტონის მეტსახელი.-რედ.) 28 ქულა და 4 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. რაშიდ უოლასის ანგარიშზე 11 ქულა და 9 მოხსნაა, ხოლო, ჩონსი ბილაფსმა და ანტონიო მაკდაიესმა 7-7 ქულა მოუტანეს დეტროიტულ გუნდს.

მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე, რიჩარდ ჰამილტონი ლებრონ ჯეიმსის თამაშით გაოცებული იყო და თქვა, რომ მას ჯორდანის შემდეგ არ უნახავს ასეთი მფრინავი კალათბურთელი.




შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამორჩეული სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა ყველაზე ჭკვიანის მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:
შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.
მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაში კი თუ საქართველოს ყველაზე მოშორებულ კუთხეში სცხოვრობ.

იმისათვის, რომ გაეცნო გადაცემაში თამაშის წესებს და კარგად იცნობდე გადაცემის წესებს, უყურე ყოველ ორშაბათს, 9 საათიანი კურიერის შემდეგ, რუსთავი 2-ის ეთერში, გადაცემა ყველაზე ჭკვიანს.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს ! მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

| | | |
|---|---|---|
| 1 სახელი, გვარი და მამის სახელი | 4 დაბადების თარიღი | 7 მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი |
| 2 მისამართი | 5 სკოლა | 8 მშობლის ან მეურვის ხელმოწერა |
| 3 საკონტაქტო ტელეფონის ნომრები | 6 კლასი | 9 დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები |

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 იანვრისთვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2, ვაჟა ფშაველას 45, 0177 თბილისი

TV-სპორტი

**პარასკევი. 26 ნოემბერი**

**НТВ+ФУТБОЛ**
06:00 NBA TV. სეზონის ხმები. პირველი ნაწილი
06:30 NBA TV. "LOS ANGELES CLIPPERS" - "NEW JERSEY NETS". პირდაპირი ტრანსლაცია
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
12:20 ჩემპიონთა ლიგა. "ოლიმპიაკოსი" - "დეპორტივო"
14:10 ჩემპიონთა ლიგა. "რეალი" - "ბაიერი"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 "FUTBOL MUNDIAL"
16:40 ჩემპიონთა ლიგა. მატჩების მიმოხილვა
18:40 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
19:10 თავისუფალი დარტყმა
19:25 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
19:55 სახვალიო ტელეპროგრამა
20:00 "ფუტბოლისტიკა"
20:30 ჩემპიონთა ლიგა. "ჩელსი" - პსჟ
22:25 თავისუფალი დარტყმა
22:40 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი
00:25 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:20 01:20-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: მაიკლ ჯორდანი
03:30 NBA TV. სეზონის ხმები. მეორე ნაწილი
04:00 NBA TV. "MINNESOTA TIMBERWOLVES" - "MEMPHIS GRIZZLIES". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:15 პრესცენტრი
10:20 "ქრონიკა"
10:25, 13:30 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჭადრაკი. რუსეთის ჩემპიონატი. სუპერფინალი
11:30 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
12:00 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
12:30 "მოტოვებული კვირა"
13:45 "ჰოკეი-პლუს"
14:00 ტაილანდური კრივი
14:55 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი "CUP OF RUSSIA". გახსნის საზეიმო ცერემონიალი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:30 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
23:15 "ნოკაუტი" - ტელეჟურნალი
23:45 ჭადრაკი. რუსეთის ჩემპიონატი. სუპერფინალი
00:20 ახალი ამბები
00:35 "ჰოკეი-პლუს"
00:50 ცურვა. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრალიაში

**EUROSPORT**
10:30 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
11:00 ფეხბურთი. უეფას ჩეპიონთა ლიგა
13:00 ფეხბურთი. უეფას თასი
14:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი ფინეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
15:15 ფუტზალი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:30 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი ფინეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
21:00 სკელეტონი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 ფეხბურთი. ევროპის საუკეთესო კლუბები
22:30 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასის ეტაპი აშშ-ში
00:30 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:15 ახალი ამბები
01:30 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის ღია ჩემპიონატი
03:00 ფეხბურთი. ევროპის საუკეთესო კლუბები

# ევროპის "წლის ავტომობილი" - "ტოიოტა პრიუსი"

სპეციალურმა ჟიურიმ, რომელშიც ევროპის 22 ქვეყნის 58 წამყვანი საავტომობილო ჟურნალი მონაწილეობდა, ევროპის 2005 წლის საუკეთესო ავტომობილად დაასახელა იაპონური კომპანია "ტოიოტას" წარმოების ჰიბრიდული ავტომობილი "პრიუსი", რომელმაც არნახულად დიდი უპირატესობით მოიტოვა უკან კონკურენტები.

კონკურსი ორ ეტაპად ჩატარდა. ჟიურის საუკეთესო უნდა გამოევლინა იმ 32 ახალ ავტომობილს შორის, რომლებიც ევროპული ბაზრისთვისაა განკუთვნილი. ტრადიციულად, კონკურსის ფინალურ ეტაპზე ჟიურის თითოეული წევრის განკარგულებაში 25 ქულა იყო, რომლებიც მათ ფინალურ ეტაპზე გასულ შვიდ ავტომობილს შორის უნდა გაენაწილებინათ (შესაძლებელი იყო რომელიმე მოდელის სიის გარეთ დატოვებაც). ამასთან, თითოეული ავტომობილისთვის მაქსიმალური შეფასება ათ ქულაზე მეტი არ უნდა ყოფილიყო.

პირველი ეტაპის შემდეგ დასახელდა ის შვიდი ავტომობილი, რომელთა შორისაც უნდა არჩეულიყო "წლის ავტომობილი". ეს შვიდეული ასე გამოიყურებოდა: "ბეემვე 1-ლი სერია", "ფორდ ფოკუსი", "სიტროენ C4", "რენო მოდუსი", "ტოიოტა პრიუსი", "ოპელ ასტრა" და "პეჟო 407".

კონკურს "ევროპის წლის ავტომობილი" ჟიურის 37-მა წევრმა საუკეთესოდ "პრიუსი" სცნო, ათი პირველი ხმა დაიმსახურა "სიტროენ C4"-მა, "ფორდ ფოკუსს" კი მხოლოდ ხუთი პირველი ადგილი ერგო. სწორედ ამ სამმა ავტომობილმა დაიკავა პირველი სამი ადგილი. საბოლოოდ, "პრიუსმა" 139 ქულით ჩამოიტოვა მეორეზე გასული "სიტროენი". ასეთი დიდი უპირატესობით, ბოლო ექვსი წელია, კონკურსი არც ერთ სხვა ავტომობილს არ მოუგია. ექვსი წლის წინ კი ბადალი არ ჰყავდა პირველი თაობის "ფორდ ფოკუსს", რომლის განახლებული ვარიანტი ამჯერად მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა.

აღსანიშნავია, რომ "პრიუსი" შარშან წლის საუკეთესო ავტომობილად დაასახელა პოპულარულმა ამერიკულმა ჟურნალმა "მოტორ ტრენდმა". გარდა ამისა, გაზაფხულზე ამ ავტომობილის ძალური დანადგარი წლის საუკეთესო აგრეგატად აღიარეს. კონკურსში "პრიუსის" ძრავმა ჟიურის ყველა მონაწილისგან უმაღლესი შეფასება მიიღო. გარდა ამისა, იგი დაჯილდოვდა პრიზებით: "საუკეთესო ახალი ძრავი" და "ყველაზე ეკონომიური ძრავი".

ჟიურის იმ წევრთა უმეტესობამ, რომლებმაც პირველობა "პრიუსს" მიანიჭეს, ამ ავტომობილის მთავარ უპირატესობად მისი ჰიბრიდული ძალური დანადგარი დაასახელეს, რომლის წყალობითაც, იგი ეკონომიურობითა და ეკოლოგიურობით გამოირჩევა.

"პრიუსი" პირველად ბაზარზე 1997 წელს გამოჩნდა, მაგრამ მაშინ, ჯერ ერთი, ძვირი იყო, მეორეც, არცთუ საუკეთესო დინამიკური მახასიათებლები ჰქონდა. შარშან ავტომობილმა ძირეული მოდერნიზაცია გაიარა და ეს მაშინვე დაეტყო მის გაყიდვებს - წლის პირველ ცხრა თვეში უკვე გაყიდულია 37 000 ცალი ახალი "პრიუსი". უფრო მეტიც, მოთხოვნა უკვე მიწოდებასაც სჭარბობს, რის გამოც, იაპონური კომპანია იძულებულია, ორჯერ გაზარდოს მისი წარმოება, უახლოეს მომავალში კი წარმოების მოცულობა 180 000 ცალს გადასცდება.



"ტოიოტა პრიუსის" ძირითადი ტექნიკური მახასიათებლებია: გაბარიტები - 4.45X1.72X1.49 (სიგრძეXსიგანეXსიმაღლე) მეტრი, ძარის ტიპი - ხუთკარიანი ორმოცულობიანი ჰეტჩბეკი, წინა წამყვანი თვლები. ბენზინის ძრავი ოთხცილინდრიანია, 1.5 ლიტრი მუშა მოცულობით და 57 კვტ (77 ცხ.ძალა) სიმძლავრით. სინქრონული ელექტროძრავის სიმძლავრეა 50 კვტ, საწვავის ხარჯი საქალაქო ციკლში - 2.82 ლიტრი 100 კილომეტრზე.

"პირველმა "პრიუსმა" 1997 წელს ახალი სტანდარტი დაუწესა ბენზინისძრავიან კონკურენტებს, მაგრამ ის ავტომობილი არც ტემპერამენტით, არც მართვადობით და არც დახვეწილობით გამოირჩეოდა. სამაგიეროდ, 2005 წლის საუკეთესო ავტომობილს ყველა ეს თვისება გააჩნია და გარეგნობითაც იზიდავს მყიდველს. როცა შიდაწვის და ელექტროძრავები ერთდროულად მუშაობენ, მათი კომბნირებული სიმძლავრე 110 ცხენის ძალაა, რაც ავტომობილს შესანიშნავ ტემპერამენტს ანიჭებს, ეკონომიურობით კი იგი ნებისმიერ კონკურენტს მისცემს ფორას", - ნათქვამია კონკურსის ჟიურის შემაჯამებელ შეფასებაში.

"პრიუსი" სულ მესამე იაპონური ავტომობილია, რომელმაც ევროპის "წლის ავტომობილის" კონკურსი მოიგო. ეს კონკურსი 1964 წლიდან ტარდება (მისი პირველი გამრჯვებული იყო "როვერ 2000") და მასში პირველად იაპონურმა ავტომობილმა 1993 წელს გაიმარჯვა, როცა საუკეთესოდ "ნისან მიკრა" (იაპონიაში "მარჩი") იქნა დასახელებული. 2000 წელს იგივე აღიარება დაიმსახურა "ტოიოტა იარისმა" (იაპონიაში "ვიტცი").

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: ამ კონკურსის არსებობის 40 წლის განმავლობაში, სულ რამდენიმე ავტომობილი დასახელდა საუკეთესოდ მასში გამოყენებული მოწინავე ტექნოლოგიების გამო. პირველი იყო ვანკელის როტორული ძრავით აღჭურვილი გერმანული NSU Ro80, რომელმაც შმდგომში ვერ გაამართლა ის იმედები, რომელთა გამოც საუკეთესოდ დაასახელეს.

საინტერესო ტექნიკური გადაწყვეტების გამო, 1979 წელს საუკეთესო ავტომობილად დასახელდა ფრანგული "ტალბო ჰორიზონი", 1980 წელს ამავე მიზეზით გამოირჩა იტალიური "ლანჩა დელტა", რომელმაც მოგვიანებით რალის მსოფლიო ჩემპიონატებზეც გაითქვა სახელი, 1990 წელს კი ევროპის "წლის ავტომობილად" დასახელდა ავანგარდული "სიტროენ XM".

**კონკურსის შედეგები**

| | |
|---|---|
| ტოიოტა პრიუსი | 406 (37) |
| სიტროენ სიტროენ C4 | 267 (10) |
| ფორდ ფოკუსი | 228 (5) |
| ოპელ ასტრა | 180 (4) |
| რენო მოდუსი | 151 (1) |
| პეჟო 407 | 135 (1) |
| ბემვეს 1-ლი სერია | 83 (-) |

# ყველაზე სწრაფი და ყველაზე იაფი "ასტონ მარტინი"



"ვანქვიშ S" "ასტონებს" შორის ყველაზე სწრაფია



DBR9 "ასტონ მარტინის" საბოლოო ტრადიციას გააგრძელებს



"ბეიბი ასტონი" ყველაზე ხელმისაწვდომი იქნება ინგლისური მარკის ავტომობილებს შორის

ინგლისურმა კომპანია "ასტონ მარტინმა" პარიზის ავტოსალონზე წარმოადგინა მოდელი "ვანქვიშ S", რომელიც ამიერიდან ამ მარკის სამოდელო რიგში ყველაზე სწრაფი სერიული ავტომობილი იქნება.

ახალ ავტომობილს საბაზო მოდელისგან პირველ რიგში, ძრავი განასხვავებს. უფრო სწორად, ძრავი იგივეა, მაგრამ მოდერნიზების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა მისი სიმძლავრე. ეს არის 6-ლიტრიანი V12, რომელმაც "დოპინგის" სახით მიიღო ახალი დგუშები, მოდერნიზებული შემშვები სარქველები, ოპტიმიზებული ელექტროუზრუნველყოფა. ყოველივეს წყალობით, ძრავის სიმძლავრე 460-დან 520 ცხენის ძალამდე გაიზარდა, მაბრუნი მომენტი კი - 542-დან 577 ნ.მ-მდე.

სიმძლავრის და მაბრუნი მომენტის ზრდამ განაპირობა ავტომობილის ტემპერამენტის გაუმჯობესება - ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარეს "ვანქვიშ S" 4.8 წამში ავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 306 კმ/სთ-იდან 321-მდე გაიზარდა.

სტანდარტული ვერსიისგან "ვანქვიშ S" გამოირჩევა ახალი წინა ბამპერით, რომელშიც განთავსებულია გაზრდილი ფართობის მქონე რადიატორის ჰაერამღები, რითაც უფრო დაძაბულ რეჟიმში მომუშავე ძრავის უკეთესი გაგრილებაა უზრუნველყოფილი. დიზაინერებმა ახალი ფორმა მისცეს საბარგულის სახურავს, რითაც გაუმჯობესდა ავტომობილის აეროდინამიკური მახასიათებლები. შედეგად, უკანა ხიდმა მაღალ სიჩქარეზე აუცილებელი დამატებითი აეროდინამიკური დატვირთვა მიიღო, ძარის აეროდინამიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტი კი 0.33-დან 0.32-მდე შემცირდა (სპორტული ავტომობილისთვის კარგი მაჩვენებელია).

რა თქმა უნდა, სიმძლავრის გაზრდა უფრო ეფექტურ სამუხრუჭე სისტემას მოითხოვს. ამიტომ, "ვანქვიშ S" აღიჭურვა გაზრდილი დიამეტრის მქონე წინა სამუხრუჭე დისკებით. მოდერნიზებულ იქნა დაკიდების სისტემაც - დამოკლდა ზამბარები და უფრო ხისტი გახდა ამორტიზატორები. პარალელურად, 5 მილიმეტრით შემცირდა ავტომობილის კლირენსი (ძირის დაშორება გზის საფარიდან). "ვანქვიშ S" დგას 19-დუიმიან თვლებზე, რომლებიც შემოსილნი არიან 255/40 (წინ) და 285/40 (უკან) საბურავებით.

გარდა ამისა, ავტომობილი აღიჭურვა სპორტული ყაიდის სავარძლებით, რომელთა პოზიციის და დახრის რეგულირებასაც ავტომატურად ახდენს ელექტრონიკა, კომპიუტერით, რომელიც ყველა ძირითადი აგრეგატის პარამეტრებს აკონტროლებს და მათ მონაცემებს მძღოლს გადასცემს, CD-ჩეინჯერით (ექვს დისკზე), კონდიციონერით, საბურავებში წნევის მაკონტროლებელი სისტემით, წვიმის სენსორით და სხვა მრავალი მოწყობილობით, რომლებიც ავტომობილის კომფორტულობის მაღალ დონეს უზრუნველყოფენ.

პარიზშივე გამოცხადდა, რომ წარმოებისთვის პრაქტიკულად უკვე მზადაა სრულიად ახალი ავტომობილი, რომელიც სამოდელო რიგში ყველაზე დაბალ საფეხურს დაიკავებს და რომელსაც მოფერებით უკვე "ბეიბი ასტონსაც" უწოდებენ. დღეისათვის ამ ავტომობილს თითქმის დასრულებული აქვს ტესტების პროგრამა და ჩქაროსნულ გამოცდებს გადის ინგლისის ერთ-ერთ სარბოლ ტრასაზე. წინასწარი მონაცემებით, მისი პრემიერა მერმის უნდა შედგეს. არაა გამორიცხული, რომ პირველად იგი წლის დასაწყისშივე გამოჩნდეს დეტროიტის ავტოსალონზე - ტრადიციულად, აშშ-ის ბაზარი "ასტონ მრტინის" პროდუქციის უმთავრესი გამსაღებელია.

წინასწარი მონაცემებით, "ბეიბი ასტონი" აღიჭურვება 4.3-ლიტრიანი V8 აგრეგატით, რომლის საბაზო ვარიანტის სიმძლავრე დაახლოებით 370 ცხენის ძალა იქნება. გათვალისწინებულია ძრავის ტოპ-ვერსის შექმნაა, რომელიც დამჭირხნით აღიჭურვება და ბუნებრივია, ამით მეტ სიმძლვრეს მიიღებს. ძრავთან შეწყვილდება 6-საფეხურიანი მექანიკური, ან ნახევრად ავტომატური გადაცემათა კოლოფი, რომელიც ავტომობილის უკანა ნაწილში განთავსდება იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს მასის თანაბარი განაწილება წინა და უკანა თვლებს შორის.

"ბეიბი ასტონის" დიზაინი შესრულდება "ვანქვიშის" სტილში, მაგრამ მისი ძარა თავისუფლად შეიძლება მივაკუთვნოთ ჰეტჩბეკის კლასს, რადგან ავტომობილს საბარგულის ნაცვლად მესამე, უკანა კარი ექნება, რომელიც ზემოთ გაიხსნება.

"ასტონ მარტინს" ამ ავტომობილისთვის სახელი ჯერ არ დაურქმევია. სხვადასხვა ვარაუდით, ავტომობილს დაერქმევა ან " V8 ვენტიჯი", ან DB5. მისი ფასი იქნება დაახლოებით 60 ათასი გირვანქა სტერლინგი, ან დაახლოებით 100 ათასი ევრო. "ბეიბი ასტონი" კონკურენციას გაუწევს ბაზრის ამ სეგმენტის ისეთ ლიდერებს, როგორებიცაა "პორშე 911" და ახალთახალი "ფერარი 430".

პარიზის ვტოსალონიდან ერთი თვის შემდეგ, კომპანიამ გამოაქვეყნა რბოლებისთვის მომზადებული მოდელ DBR9-ს სურათები, რომელიც მომავალი წლიდან მონაწილეობას მიიღებს დიდი ტურიზმის კლასის რბოლებში, მათ შორის, ლე მანის (საფრანგეთი) 24-საათიანსა და სებრინგის (აშშ, ფლორიდა) 12-საათიან რბოლებშიც. უკვე მომზადებულია 12 ბოლიდი, კიდევ 20 ცალი კი ექსკლუზიური მყიდველისთვის დამზადდება, რომლებსაც სასურველი ოთხთვალას მისაღებად ასტრონომიული თანხის გადახდა (ჯერჯერობით ფასი არ სახელდება) მოუწევთ.

აღსანიშნავია, რომ "ასტონ მარტინმა" ლე მანის რბოლა უკანასკნელად შორეულ, 1959 წელს მოიგო, როცა ავტომობილს როი სალვადორი და ქეროლ შელბი მართავდნენ. იმ საჩემპიონო ავტომობილს DBR1-ად მოიხსენიებდნენ და ის ჭაობისფერ მწვანე და ყვითელ ფერებში იყო გაწყობილი. იმ გამარჯვების საპატივცემულოდ, ახალი DBR9 ზუსტად იგივე ფერებში შეიღებება.

DBR9 ბაზირებულია სერიულ და დღეისათვის ყველაზე იაფფასიანი (დაახლოებით 150 ათასი ევრო ღირს) DB9-ის ბაზაზე, რომლის დებიუტიც ფრანკფურტის შარშანდელ ავტოსალონზე შედგა, მაგრამ გაყიდვები ახლახან დაიწყო. საბაზო, 450-ცხენისძალიანი V12 ძრავის სიმძლავრე მოდიფიკაციის შემდეგ 600 ცხენის ძალას გადასცდა.

ავტომობილის რბოლებისთვის მომზადება დაევალა ინგლისურ კომპანია "პროდრაივს", რომელიც ცნობილია იმით, რომ მის მიერ მომზადებულმა იაპონურმა ავტომობილმა "სუბარუ იმპრეცამ" რამდენჯერმე მოიგო რალის მსოფლიო ჩემპიონატი. რალის გარდა, "პროდრაივის" წარმოების ავტომობილები სხვადასხვა სერიის რბოლებში, მათ შორის, ლეგენდარულ ლე მანზეც აღწევენ წარმატებებს. კომპანია კი ეკუთვნის ინგლისელ მეწარმესა და ყოფილ რალისტ დევიდ რიჩარდსს, ვინც ორი წელი ფორმულა ერთის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე გუნდ "ბრიტიშ ამერიკენ რეისინგს" ხელმძღვანელობდა და თავისი პოსტის დატოვება მას შემდეგ მოუხდა, რაც საჯინიბოს აქციების საკონტროლო პაკეტი გუნდის იაპონელმა პარტნიორმა, კომპანია "ჰონდამ" შეიძინა.

"DBR9-ით ჩვენ პირველ ნაბიჯს ვდგამთ ავტოსპორტში ღირსეულად დაბრუნების გზაზე და გვჯერა, რომ ამ მარკის ყველა თაყვანისმცემელი მოუთმენლად ელის იმ დღეს, როცა ჩვენ მიერ მომზადებული ბოლიდები სტარტზე დადგებიან. ეს მერმის მოხდება და იმედია, მიღწეული შედეგები სამომავლო გამარჯვებებს შეუქმნიან საფუძველს", - განაცხადა რიჩარდსმა.

ჯერჯერობით, უცნობია DBR9-ის კონკრეტული დინამიკური მახასიათებლები. სავარაუდოდ, ისინი იანვარში გამოცხადდება დეტროიტის ავტოსალონზე.

# "კიას" სპორტული გამოწვევა ევროპელ კონკურენტებს

იყო დრო, როცა საავტომობილო კომპანიების სამოდელო გამა სულ რამდენიმე მოდელს ითვლიდა. ზოგი მათგანი მხოლოდ მაღალი კლასის ავტომობილებს ამზადებდა, ზოგი კი - პირიქით. თითქმის ყველა "თავის" სეგმენტზე იყო სპეციალიზებული და სხვის საქმეში ცხვირს არ ყოფდა.

მაგრამ დროთა განმავლობაში კონკურენციამ არნახულ მასშტაბს მიაღწია და ახლა, როცა თითქმის ყოველწლიურად სრულიად ახალი კლასი ყალიბდება, ყოველ სიახლეს ავტოკომპანიები იმედის თვალით შეჰყურებენ და შესაბამისი კლასის ავტომობილის წარმოებას იწყებენ. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ამა თუ იმ მოდელს ერთგვარი ოჯახი უყალიბდება.

ამ სიტყვების თვალსაჩინო მაგალითია ეგრეთ წოდებული "გოლფის" კლასი, რომელიც ყველაზე გადატვირთული კლასია მსოფლიოს საავტომობილო ბაზარზე და რომელში აქტიურობაც ყველაზე მეტად განსაზღვრავს მწარმოებლის კეთილდღეობას.

დღეს, როდესაც რომელიმე მწარმოებელი ამ კლასის ახალ ავტომობილს უშვებს ბაზარზე, მაშინვე ცხადდება, რომ სიახლეს მოჰყვება უნივერსალის, მინივენის, კუპეს, კაბრიოლეტის და ხშირად უგზოობის მოდიფიკაციის გამოშვებაც. ამასთან, ყველა ამ ტიპის ძარით აღჭურვილი ავტომობილი, ფაქტობრივად, ახალ მოდელს წარმოადგენს და საბაზო მოდელისგან პლატფორმას, აგრეგატებს და დაკიდების სისტემას იღებს მცირე ცვლილებებით (საბაზო მოდელებისგან განსაკუთრებით სპორტული და ღია მოდიფიკაციები განსხვავდებიან).

ამ მოდას, გინდა ბაზრის კონიუნქტურულ მოთხოვნებს, არც კორეული კომპანია "კია" ჩამორჩება, რომელმაც პარიზის ავტოსალონზე "გოლფის" კლასის სპორტული ავტომობილის კონცეპტუალური მოდელი, სახელად "კია სპორტი" წარადგინა. ეს ავტომობილი დღეს კონცეპტუალური კია, მაგრამ კორეელებს უკვე გადაწყვეტილი აქვთ მისი წარმოება. კერძოდ კი, "კია სპორტის" საწარმოო მოდელის მსოფლიო დებიუტი მერმის, ჟენევის, ან ფრანკფურტის ავტოსალონზე შედგება.



ეს ავტომობილი სრულიად ახალ პლატფორმაზეა შექმნილი, რომელსაც კორეული კომპანიის სრულიად ახალი, "გოლფის" კლასის ავტომობილი მიიღებს (მისი სახელი ჯერაც უცნობია). სერიული მოდელი პარიზში წარმოდგენილი "სპორტისგან" თითქმის არ იქნება განსხვავებული. ტრადიციულად, ბაზარზე პირველი "სამოქალაქო" მოდელი გამოჩნდება, რასაც ერთი წლის შემდეგ მოჰყვება სპორტული, GTI კლასის მოდიფიკაციის დებიუტი.

რაც შეეხება პარიზში წარდგენილ "კია სპორტს", მის კაპოტქვეშ განლაგებულია ორლიტრიანი ბენზინის ძრავი, რომლის სიმძლავრეც 200 ცხენის ძალას აღწევს. მასთან შეწყვილებულია ხუთსაფეხურიანი ავტომატური გადაცემათა კოლოფი. ამ აგრეგატების და სპორტულ ყაიდაზე მომართული დაკიდების სისტემის წყალობით, ავტომობილს საკმაოდ დინამიკური მახასიათებლები ექნება.

"კია სპორტი" თავისი გაბარიტებითაც შეესაბამება "გოლფის" კლასს. მისი სიგრძეა 4.15 მეტრი, სიგანე - 1.8, სიმაღლე - 1.47, თვლებს შორის ბაზა კი - 2.5 მეტრი. ავტომობილის გარეგნობაში ყურადღებას იქცევს სახურავის უკანა ნაწილში განლაგებული სპოილერი, დიდი ზომის თვლის თაღები, რომლებიც 18-დუიმიან თვლებს ფარავენ, ასევე დიდი ზომის წინა და უკანა ბამპერები, რომლებიც ავტომობილს საკმაოდ აგრესიულ იერს სძენენ.

ავანგარდულ სტილშია გადაწყვეტილი "კია სპორტის" ინტერიერი, სადაც ყურადღებას იქცევს ხელსაწყოთა უცნაური ფორმის ცენტრალური დაფა, ძარის ფერის, შავთან შეხამებული ტყავით გაწყობილი სავრძლები. ცენტრალურ დაფაზე ერთი, დიდი ზომის მონიტორია, რომელზეც ხდება მრავალფეროვანი, მათ შორის, სანავიგაციო ინფორმაციის გამოტანა.

სხვათა შორის, ეს ავტომობილი განკუთვნილი იქნება 20-30 წლის მყიდველისთვის, რომლებიც უპირატესობას მომცრო ზომის, დინამიკურ ავტომობილებს ანიჭებენ. ჯერჯერობით ცნობილი არაა, თუ რა ფასში გაიყიდება "კია სპორტი" და კონკრეტულად სად და როდის დაიწყება მისი წარმოება. სავარაუდოდ, ამ ინფორმაციას "კია" სერიული ავტომობილის დებიუტისას გამოაქვეყნებს.

## ორშაბათი 29.11

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** პერეკროსტიკი **18.20** "რობოტი და რობოტუნა" **18.55** პატრული **19.45** ქართ. ფეხბურთი **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **23.00** დოკ. ფილმი "როგორ უნდა გახდე პრინცი" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "მეომარი" (18) (ჩჯან ცზი) **02.40** პატრული

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.40** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **10.00** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი "ჯვარცმული კუნძული" (გ) **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **13.00** კონცერტი -მ. კვალიაშვილი **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **15.20** დოკ. ფილმი "ლენინის შეცდომები" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** დოკ. ფილმი "დიზაინი" **16.30** ფრაგმენტები სურათისთვის **17.00** სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის თუ ბეწვის ქვეშ" **17.25** ჩემი მშვენიერი ლედი **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუშლენდის სკოლა" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "დიდი ოჯახები" (გ)

### კავკასია

**11.00** ვარსკვლავები გვამცნობენ **13.00** საბავშვო პროგრამა "ინკოგნიტო" **14.00** ინდ. მხ. ფილმი "დისკოს მოცეკვავე" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.00** ქართული მუსიკა **22.30** "საქმე და ეკონომიკა" **23.00, 00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "სცენა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **10.30** სერიალი "ვუპი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "მარია ემილია" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** პუბლ. გადაცემა "პატრიოტთა თამაშები". ზურაბ წერეთელი. **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "ბინძური სიყვარული" (18) (ვალენტაინ დემი)

### მეორე არხი

**19.00** საბ. სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის და ბეწვის ქვეშ" **19.25** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **20.15** "იმღერე რამე" **20.45** ბასტი-ბუბუ **21.00** კონცერტი **22.45** მხ. ფილმი "ზერიკაცები" (გ)

### ობიექტივი

**18.00** მხ. ფილმი "ლიფტი ეშაფოტზე" (გ) **19.30** დოკ. ფილმი **20.30** კონცერტი **22.30** მხ. ფილმი "შენი ხელები ჩემს თეძოზე" (12)

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** ბრიფინგი **12.40, 16.25, 03.05** ტვ-მარკეტი **13.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.55** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "შვეიცარია" 1-ლი ნაწ. **17.10, 03.35** იმედის მელოდიები **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "მტვრის გემო" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" მე-8 ს. **23.15** "არჩევანი თქვენ" **00.35** სპ. პროგრამა "გოლი" **02.00** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### აჭარა

**09.00** მუსიკა **09.20** სათავგად. ფილმი "შავი ბურთი" **10.50** ისტორ. ფილმი "ატილა" **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **13.55** დოკ. ფილმი **14.45** ბოევიკი "სიკვდილზე ნადირობა" **16.15** მულტფილმი **17.45** დოკ. ფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** დრამა "მსოფლიოს მწვერვალზე" **20.15** მუსიკა **21.00** დეტექტივი "ცუდი კომპანია" **23.00** დოკ. ფილმი **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** კომედია "ბუმერანგი"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Харрисон Форд в боевике **"ИНДИАНА ДЖОНС И ПОСЛЕДНИЙ КРЕСТОВЫЙ ПОХОД". 11.30** "Шутка за шуткой". **12.10** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.10** Дисней-клуб: "Новые приключения Винни Пуха". **13.40** Людмила Гурченко в фильме **"ПРОЩАЛЬНЫЕ ГАСТРОЛИ" 15.20** "Угадай мелодию" **15.50** "Последний герой". Суперигра. **17.00** "Пять вечеров". Понедельник. **18.20** "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. **19.00** Сериал **"КЛОН". 20.00** Жди меня. **21.00, 23.30** Время. **21.30** Чулпан Хаматова в фильме **"ДЕТИ АРБАТА". 22.40** Спецрасследование. "Лесная мафия". **23.50** "Фабрика звезд". **00.10** Искатели. "Китеж. След пропавшего города". **00.40** ДеЦл в программе "Русский экстрим". **01.10** Чак Норрис в приключенческом фильме **"ИДУЩИЙ В ОГНЕ" 02.50** Люк Перри в триллере **"НОРМАЛЬНАЯ ЖИЗНЬ" 04.30** Чего боятся люди. "Страх". Фильм 1-й.

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Криминальная Россия. **11.15** Анатолий Солоницын в фильме **"ОДИН ШАНС ИЗ ТЫСЯЧИ". 13.35** Сериал **"ТАКСИСТКА". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"РОКИРОВКА". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ТОЛЬКО ТЫ...". 20.50** Игорь Лифанов в сериале **"ПАРАЛЛЕЛЬНО ЛЮБВИ". 1**-я с. **22.00** "Страна и мир" **22.40** Юлия Меньшова в сериале **"БАЛЬЗАКОВСКИЙ ВОЗРАСТ, ИЛИ ВСЕ МУЖИКИ СВО...". 1**-я с. **23.45** Чрезвычайное происшествие. **00.15, 01.45** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 01.15** Особо опасен! **02.30** Совершенно секретно. Информация к размышлению. **03.15** Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: народ великой пустыни". **04.10** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА". 04.55** Сериал **"МОРСКАЯ ПОЛИЦИЯ: СПЕЦОТДЕЛ". 05.40** Чрезвычайное происшествие.

## სამშაბათი 30.11

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "პოლიციელი და ქურდები" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელელიპუცები" **18.20** "რობოტი და რობოტუნა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ღამის შოუ **23.00** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი "ეშმაკეულნი" (18) (შერონ სტოუნი) **02.20** პატრული

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.40** სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის თუ ბეწვის ქვეშ" **10.00** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი "დიდი ოჯახები" (გ) **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **13.00** "მატარებელი" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი **15.20** "ანშლაგი" -"ბაგრატიონები" (1-ლი ნაწ.) **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** დოკ. ფილმი "დიზაინი" **16.30** "ისტორიანი" **16.55** სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის თუ ბეწვის ქვეშ" **17.20** დოკ. ფილმი "ამერიკის ბიოგრაფია" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუშლენდის სკოლა" **19.10** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **20.45** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **22.00** ქიმერიონი **00.00** მხ. ფილმი "წკიპურტები" (გ)

### კავკასია

**14.00** ქართული მუსიკა **16.00** "საქმე და ეკონომიკა" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.30** მხ. ფილმი "მდივანი" (გ) **00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "მოდა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **10.30** სერიალი "ვუპი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** პუბლ. გადაცემა "პატრიოტთა თამაშები". ზ. წერეთელი. **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "მარია ემილია" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **19.50** "ჯეოსტარი" შესარჩევი ტური **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **00.00** მხ. ფილმი "ჰელოუინი" (18) (ჯემილი ლი კერტისი)

### მეორე არხი

**19.00** საბ. სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის და ბეწვის ქვეშ" **19.25** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **20.15** "იმღერე რამე" **20.45** ბასტი-ბუბუ **21.00** დოკ. ფილმი "ბუშლენდის სკოლა" **21.55** ლერერის შოუ **22.35** მხ. ფილმი "თემო" (გ)

### ობიექტივი

**18.00** მხ. ფილმი "მუსიკის ჰანგები" (გ) **20.45** დოკ. ფილმი **21.40** კონცერტი **22.30** მხ. ფილმი "ეშმაკი ქურდი" (15)

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "მტვრის გემო" **12.20, 17.10, 03.45** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.15** ტვ-მარკეტი **13.15** "ბი-პი" ჩვენი პარტნიორი **13.25** მხ. ფილმი "სამი ალვის ხე პლიუშჩიხაზე" (ო. ეფრემოვი) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 03.05** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "შვეიცარია" მე-2 ნაწ. **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "მტვრის გემო" **22.40** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.00** "პირველები" **23.40** მხ. ფილმი "ექვმიტანილი" (15) (ლ. ნისონი) **01.15** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **02.10** "გოლი - სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი)

### აჭარა

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** სათავგად. ფილმი "პატარა პრინცესა" **10.50** ისტორ. ფილმი "მეფეთა მეფე" **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **12.30** მხ. ფილმი "ბრაუნინგის ვერსია" **14.00** მუსიკა **14.45** კომედია "გაუფრთხილდი ავტომობილს" **16.15** მულტფილმი **17.45** თრილერი "დიდი ლებოვსკი" **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** თრილერი "დიდი ლებოვსკი" (გაგრძ.) **20.00** მუსიკა **21.00** დრამა "ჰამლეტი" **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** დრამა "ჰამლეტი" (გაგრძ.)

### ОРТ

